დ ი მ ი ტ რ ი მ ა ჩ ხ ა ნ ე ლ ი

<u>სიყვარულის ამბავი</u>

(ხალხის ცხოვრებიდგან)

თვალ-გულ წარმტაცი და ნაზ-ნარნარი, ღაღანა მაისის მშვენიერი ოქროს დილა იყო, მზიანი, ათასფერად გაშლილ-აყვავებულს მცენარე-ვენახებში ჩამალული სოფელი მ-ნი სადედოფლოდ მოპრანჭულს კოპწია პატარძალს ემსგავსებოდა. დილის ნამით ნამტირალი ვარდ-ყვავილები სამოთხის სურნელებას უკმევდნენ ნელ-ნიავ-ქარის მიმოქროლვით ყველა ღვთის დანაბადს სულდგმულს განურჩევლად. და ამ სანეტარო სურნელებით დამთვრალი სხვადასხვა ფრინველი თავის დამბადებელ ზენას ათასგვარად უგალობდნენ და უჭიკჭიკებდნენ სამადლობელს ქება-დიდებას და თანაც სულ-გულს იტკბობდნენ მაღალი, დიდრონი ხეების კენწეროებიდგან იმ ტურფად აყვავებულ მცენარე-ვენახებიან სოფლის ცქერით. ალმასის წინწკლებსავით გახუნძლული დილის ცვარ-ნამი ისე საოცნებოდ იალ-ციალ-ბრჭყვიალებდა ახლად ამოსულ მზის სხივებზედ, როგორც მაღალნიჭიერების უფასო თვალ-მარგალიტებით ბრჭყვიალებენ მსოფლიო ლიტერატურაში სამთელქვეყნო მწერალ-პოეტთა უკვდავი ქმნილებანი, რომელშიაც ქვეყანა თავის სულ-გულ-გონებას კითხულობდა წარსულ საუკუნოებში, კითხულობს დღესაც და წაიკითხავს მომავალ საუკუნოებშიაც ადამიანთა საავკარგო ცოდვა-მადლის გასარჩევად და განუსჯელ პირუტყვთა მისწრაფებით აღსავსე კაცობრიობის მოსარჯულებლად...

ერთი ჩალური ქოხის წინ, უზარმაზარი კაკლის გრილოში, მწვანეზედ იჯდა სიყრმიდანვე ერთად შეზრდილი ორი დობილი ქალი: უმანკო ანგელოზივით დახატული მალალო და მთის ვარდივით ღაღანა, მთელი სოფლის ქალმანდილოსნებში განთქმული მოლაპარაკე _ მომღერალი დარო. დობილები საბაზრო წინდებსა ჰქსოვდნენ ხელმარდად, ჩინებულად გავარჯიშებულის თითებით და თან ერთმანეთს კარგა ხნის გულის პასუხს უზიარებდნენ, რადგანაც მალალო ხუთი თვე ბებიანთას იყო, სხვა სოფელში.

_ ეს მაისიც აღარაფერი. მალე დადგება გიორგობაც. წამოჰპოლორწიკდები სადედოფლოდ დაყაჯრულს ცხენზე, შე დასაქცევო, გუგუნ-გრიალით შემოსძახებენ შენი მაყრები: მოგვყავ და მოგვიხარიან დედალ-მამალი ხოხობიო, და, ჰერიიი, პრასიანისაკენ. ნეტავი შენ, დარო!

_ იჰ, ნუ შემომნატრი, მალალო, ნუ, შენ გახარებას, ბოღმით ვივსები: მეშინიან, ცხენზე მუცელი არ წამიხდეს უეცრად და მეც თან არ გადავყვე ცოდვიშვილს. ამბობენ: ღვდელს კიდე თუ ერთი სამად არ მისცეს ჯვარისაწერი, უიმისოდ ფეხმძიმეს ჯვარს არ დასწერს, კანონი არარიო. ე, რაღა ქაჯ-ეშმაკური კანონი მოუგონიათ.

_ საქმე არა გაქვს, მაგისათვის შენ რა განაღვლებს, შენმა კაცმა იდარდოს. რაც მოგივა, ალიაო, ყველა შენი ბრალიაო.

_ ი, რას, ამბობ, მალალო, თავი ნუ მოგიკვდება, შენ არ იცი, რა ჭირის ოფლით მონაგრობს თითო აბაზობით საწყალი ნიკო და რამთენი ჯან-ღონე უნდა

დაწყვიტოს სხვათა მუშაობაში, მინამ ჯვარისაწერს შააქუჩებს, და ახლა ჩემი ფეხმძიმობისა კიდევ სხვა უნდა იშოვნოს, რო ღვდელმა ჯვარი დაგვწეროს. ქორწილის სამზადისისათვის ხო ერთი ზღვა ფული უნდა, და, აბა, ეხლა იფიქრე: რამთენი ჭირის ოფლი უნდა დაღვაროს სიცხე პაპანაქებით თონესავით გავარვარებულ სამკალში ტრიალ მინდორზე საწყალმა ნიკომ, მინამ საქორწილო ფულს იშოვნის. მებრალება!.. _ ათრთოლებული ხმა-ტუჩებით წარმოსთქვა გულაჩუყებულმა დარომ და შავი ჟუჟუნა თვალების წამწამებზედ უფასო ალმასის ბრჭყვიალა წინწკლებივით გადმოეკიდა ორი ცრემლი თანაგრძნობიანი სიბრალულისა: წმინდა, უმანკო სიყვარულისა. ეჰ, ღმერთმა რა უყოს ახლანდელ ადათ-ჩვეულობას. დღეს საითაც კი მივიხედავთ, ყველგან ეგრეა ჩვენს გლეხობაში: მისცემს თუ არა სამეფო თავის დანიშნულს სამ მანათს ბელგას, თითქმის წლამდინ ჯვარდაწერილებივითა ცხოვრობენ. განა ცოტა ქალები იღუპებიან?

_ მაგრეც იღუპებიან და იგრეც იღუპებიან, რო ბევრი სამეფო ქორწილამდინა კვდება კიდეც და...

_ ნაქვრივალი კაცებიც აღარ ირთავენ ისეთსაო, ეს უნდა გეთქვა, არა? _ სიტყვა ჩამოართვა დარიკომ და ზედაც ეს დააყოლა ბრაზიანად: ის, ვინც თავდაპირველიდამვე მაიგონა და დააწყო ეგეთი აჯმური ადათი, დაინიშნე და ერთ წლამდინ ელოდე ჯვრის წერას, რათა, რისათვინ, რა მინდაო!.. აბა, ამას რა ჰჯობია, რომ დანიშნულები ორ-სამ კვირაშივე დაქორწინებულიყვნენ და ყველა თავის პატრონს ჩაჰბარებოდა. მაშინ ხო აღარც ამოდენა უბედურობა, დარდი, ბოროტი, სევდა, ნაღველი და ტანჯვა-წამება დაატყდებოდა დანიშნულ ქალს და აღარც თვალები დასწყდებოდა დღე და ღამ ლოდინში გზისაკენ: აცა, როდის მომივა გულის საყვარელი კაციო.

_ რით ვერ გაჰძეხი ი შენი გულის საყვარლის სიყვარულით, შე დასაქცეო, დარიკოიავ!

_ ალილო და ხვალეო, ღმერთო, შეგვიწყალეო, აი დღეს თუ ხვალ შენც დაინიშნები _ არ გედროვება, თუ ცხრამეტის წლისა მე ვარ, თვრამეტისა შენ, და შენცა გნახავ, ქალო, რო თვალები შენი დანიშნულის ლოდინში გწყდებოდეს და უიმისოდ ყველა ჯოჯოხეთად და შხამ-ნაღველად გეჩვენებოდეს: თაფლიც, შაქარიც, შარბათიც, ჭამა-სმაც, ძილიც და სხვა სუყველა ღვთის დანაბადის ხილული თუ უხილავი, უსულო თუ სულიერი.

_ რას ამბობ, დარიკო, შენ ჩემი ცოდვით სავსევ! გამიგონია, სიყვარულზე ტკბილი, იმაზე სანატრელი და კარგი სხვა არა გაუჩენია რა ღმერთს ქვეყანაზეო, და შენ კი ეხლავე გულს მიხეთქავ: დანიშვნის უმალვე სუყველა გაგიშხამდება და გაგიჯოჯოხეთდებაო. უი, ნეტავი გამაქრო, ეგ რა გამაგონე, ქა!

_ მართალს მოგახსენებ, თუ ყურს დამიგდებ, ჩემო მალალო, უფრო მზესავით ცხადად დაგანახვებ და ჩაგახვედრებ ჩემი გულისა და სულის გამონაცადში. რო თუმცა, მართალია, სიყვარულზე სანატრელი და კარგი სხვა არა გაუჩენია რა ღმერთს და ესაც ხო გაგვიგონია ხალხში: სიყვარული რო არ გაეჩინა ღმერთს, მთელი ქვეყანა უსულ-გულო ქაჯ-ეშმაკების ჯოჯოხეთი იქნებოდაო, და რა ადამიანის გულშიაც სიყვარული დაბერებულა და მომკვდარა, ის ადამიანი აღარასფერში ვარგებულაო. მაგრამ ესაც კი მართალია: ქვეყნის მალამოსანატრელ სიყვარულს იგეთი ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წამებაცა სცოდნია ადამიანისა, რო მთელი ცა-ქვეყნის ჯოჯოხეთის გენიაც ვერ დაგტანჯავს იგრე უწყალოდ, იგრე უღვთოდ, იგრე შეუბრალებლად.

_ მართალს ამბობ, დარიკო, მართალს, _ ეხლა კი დაეთანხმა მალალო, რადგან ბევრი რამ მოაგონა დარიკოს სიტყვებმა.

_ ჯერ დამაცა, გიამბო ჩემი სიყვარულის ამბავი და მაშინ უფრო კარგა გეცოდინება სიყვარულის ავ-კარგი და წყეულ ადამიანების ბოროტი სული. ხო ყურს დამიგდებ?

_ რას ამბობ, ქალო, რატომ მაგრე ჰლაპარაკობ. მე არ შეგეხვეწე: არ მინახივხარ, რაც დაინიშნე და დაწვრილებით მიამბე შენი სიყვარულის ამბავი-მეთქი.

_ ზეციერო მამაო! რა ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამება გამოვიარე ჩემი დანიშვნისწინა კვირეებში!.. ვინ იცის, ქვეყანაზე რამდენი უანგარიშო და უთვალავი ქალები დატანჯულან ჩემსავით და იტანჯებიან და იღუპებიან დღესაც ავი-ბოროტი ადამიანების წყეულ-კრული ენისაგან. ღმერთო, სად იყო შენი სამართალი, როცა მე სიკვდილს ვნატრობდი, და იმ ჩემი სიკვდილის მიზეზი ჩემი მტრები კი სიხარულით ცაში დაჰფრინავდნენ: მაგრამ დაილოცოს შენი ძლიერება, ცოდვას არავის შეარჩენ და დღეს არა, ხვალ მოჰკითხავ. შავ და უკუღმა ის დღე და საათი, როცა საწყალი მამა გაჯავრებული სახით შამოვიდა სახლში და გულნაღვლიანად უთხრა დედაჩემს: «ჩვენი დარიკო იმ ძაღლ დორაყაულს და სხვებსაც უძაგებიათ ნიკოსთან ათასი მოგონილი ჭორებითა და ცილებით და დღეს ყური მოვკარ ხალხში, ინიშნება ვიღაც ბატიაანთ ქალზეო».

_ მემრე, მემრე? _ სულწასულ ცნობისმოყვარეობით, მოუთმენლობით შეეკითხა მალალო დარიკოს, რომელსაც უცბად თეთრშუქიან სახეზედ რაღაც სიმწარის ღრუბელი გადაეფარა, მისმა მგრძნობიარე გულმა კიდევ იგრძნო ნაგრძნობი ჭირი და, თითქმის ენა ჩაჰვარდაო, ისე გაჩუმდა.

_ მემრე, რაღა, მალალო, ისე შენს ავათ მახსენებელ მტერსა და დუშმანს მოსწყდეს წელი, როგორც მე ამ თავზარდამცემმა ამბავმა ცივად წელი მომწყვიტა და გულში ათასი ცხელი ტყვია და გესლიანი ლახვარი გამიტარა, დარიშხანასავით მომშხამა უეცრად და სიკვდილი მომაწყურა. ღმერთო, უფალო, რა გამოსაცდელი გამოვცადე და რას მემართლებოდა: ყელთამდე მობჯენილმა გულის ბრაზმა-ვაებამ ყელში სახრჩობელის თოკივით წამიჭირა სიკვდილმოწყურებულს და მოჭრილ ხესავით ტორტმანი დავიწყე გადასაქცევად გულგაპარებულმა, მაგრამ თანაც ძალზე მრცხვენოდა, სიყვარული არ შემატყონ-მეთქი, რის გამოც გულსა და თავს იგრე ძალას ვატანდი, იგრე ვიჭერდი და ვიმაგრებდი, რითაც კი შემეძლო, რო თითონ ყველას გულთამხილავი მამაუფალიც ძნელად შემატყობდა გარედამ, თუ რა ჯოჯოხეთის ცეცხლი და ღველფი იყო გაშლილი ჩემს გულში. ხან იგრე ვაჩვენებდი თავს შინაურსაც და გარეულსაც, მტერსაც და მოყვარესაც რაღაც თილისმით მოჯადოებული თვალთმაქცობით ძალდატანებული, რო გეგონებოდა ამაზე უდარდელი და ბედნიერი ადამიანი აღარავინ იქნებაო! ღმერთო მაღალო! რამდენნაირი თვალთმაქცური ჯადობაზობა სცოდნია სიყვარულს!

_ კარგი, ქალო, რაღას დადგები ხოლმე, თქვი და დაამთავრე! _ უსაყვედურა დარიკოს მალალომ, რომელსაც ცხადად ეტყობოდა მინაზებულ სახეთვალების გამომეტყველებაზე, რომ ჩქარა უნდოდა გაეგო დაწვრილებით დობილ დაროს სიყვარულის ამბავი თავის სიყვარულთან შესაწონ-შესადარებლად და თავისავე სიყვარულის გამოუცდელ გრძნობისათვის სიყვარულში გამოცდილ გრძნობათა ცოდნის შესაძენად.

_ ჰო, იმას ვამბობდი, ჩემო მალალო, უეცრად გაბედშავებული სიყვარულის ალით სანთელივით დამწვარ-დამდნარს ადამიანის არაქათი და ხალისი

აღარაფრისა მქონდა. მთელი ცა და ქვეყანა საზარელ ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა და ძალზე მწყუროდა ჯერ ჩემი მაძაგებელი მეჭორე მტრები ნაჭერ-ნაჭერ დამეგლიჯა კბილით, გუდა ლეღვივით გადამეყლაპა და მემრე ლოგინათ ჩავვარდნილიყავ მომაკვდავივით. თავ-პირზე საბანი წამეხურა სულთმობრძავს და მზიანი ქვეყანა აღარ დამენახა, იგრე ჭირივით შამძაგდა და შამზიზღდა ყველა ღვთის დანაბადი და გაჩენილი უსულო თუ სულიერი, მაგრამ მრცხვენოდა, მალალო, ძალზე მრცხვენოდა, მეხათრებოდა და მეშინოდა: ეგრე რო მოვიქცე, მიმიხვდებიან და გამიგებენ დაფარულ სიყვარულს მეთქი, ვფიქრობდი ჩემ გუნებაში: ცოცხალმკვდარივით დავლასლასებდი თავ-ბედდავიწყებული და ხშირად თავის ტკივილს ვიგონებდი განგებ, მომაკვდავი გულის ტანჯვა-კვნესით ბატის ჭუკივით დაობლებული. აი, როგორ დამწვა და დამდაგა ჭორიკანა მტრების უსულ-ღმერთოდ მაძაგებელმა ცილისწამებამ. იგრე შაეშალნა და გადაერივნა ნიკო იმათ ბოროტ გველის ენას, რომ თურმე მუხლებში ცემით იძახდა: ვაიმე, ვაიმე, რაზე ი უნამუსო დარიკოს შევირთავდი და დავიღუპებოდიო?!

_ ცა-ქვეყანაზე გამჩენმა ზეციერმა მამაუფალმა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმა ქალწულმა მარიამმა გააქროს იმათი თავლაფდასხმული თავ-ტანი და იმათი განაგისი, ვინც კი გასათხოვარ ქალს ათას ცილს და ჭორს უგონებს მტრობით და ემაგრე შენსავით ჯოჯოხეთის გენიაში აგდებს სატანჯველად ცამდე ალალმართალს!.. _ ისეთი გულგამეხებულ მრისხანებით წარმოსთქვა აპილპილებულის ბრაზით თვალებანთებულმა მალალომ ეს სიტყვები, რომ ცხადად ეტყობოდა, მისთვის ეკბინა ვიღაც უწმინდურ სულის შხამ-გესლიან ენას.

_ ღმერთო! როცა კი მაგონდება მაშინდელი ჯოჯოხეთის ტანჯვა, იმისი ცარიელი მოგონებითაც კი ჯანში ვიშლები უნდილ თიხასავით და იმ წყეულ-კრული დრო-ჟამის გახსენება იგრე ძალზე ამიკანკალებს ხოლმე მაშინდელ ნაკვნესარ-ნავაგლახარ გულს, რო იტყვი, ეს არი ბუდიდან გადმოვარდნას აპირებსო. ოხ, წმინდაო დედა, ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, შენ გევედრები ჩემის ცოდვილის ენა-პირით: ჩემს მოსისხლე მტერ-დუშმანსაც ნუ მიარგუნებ იმ ტანჯვას, რაც ჩემმა სულმა და გულმა მაშინ ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წამება გამოიარა. წყეულიმც იყოს ის დრო და ის საათი, წყეულიმც, მოსაგონებლათაც კი საზარელია!

_ ვაი, შე საწყალო, დარიკოიავ! როგო დასტანჯულხარ, მებრალები! _ უნებურათ ამოსწყდა ამდუღრებულ გულისსიღრმიდან ეს სიტყვები ალმასივით ბრჭყვიალა ცრემლმორეულ მალალოს და ღაპაღუპით გადმოედინა ცრემლები საყვარელ დობილის სიბრალულისა და თავის დაფარულად მტანჯველ სიყვარულისა.

_ მაშ, განა ხუმრობა საქმე იყო, სხვა მართმევდა ნიკოს _ ი, ჩემი გულის საყვარელს, იმ ჩემი სულის მზეს, მთვარეს და სიცოცხლეს და რაღათ მინდოდა თავი ცოცხალი?.. _ აქ კი დარიკოსაც გული აუჩვილდა, თვალნი მელნისა ტბისანი ცრემლებით აევსო, თურაშაული ვაშლივით მბზინვარე ლოყებზე გადმონადენი ცრემლები ნაზი, პაწია ხელით მოიწმინდა და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო თავის სიყვარულის ამბავი:

_ საკვირველი ყოფილა ქალო, ადამიანის გული და ეხლაც მიკვირს და გამკვირვებია: იგრე როგორ შამიყვარდა შორიდამ და რათ შამიყვარდა ი, გულმკვდრის შვილი ნიკო, როცა დანიშვნამდინ ჩვენ სიცოცხლეში ხმაც არ გაგვიცია ერთმანეთისათვის: ჩვენ სოფლის ლხინსა და ჭირში კი ბევრჯერ გვინახავ ერთმანეთი და ბევრჯერაც ერთმანეთისათვინ თვალი თვალში გაგვიყრია

ისარივით. რა დღესაც კი ნიკოს შავი, გიზგიზა ცეცხლივით თვალების ანთებული ნაპერწკლები გულში ელვასავით ჩამეკვესებოდა ხოლმე აბედივით დასაწველად, იმ ღამეს თვალზე ძილი აღარ მეკიდებოდა, ტანში სუ რაღაცა ტკბილი, შარბათივით ჟრუანტელი მივლიდა.

_ ი, ღმერთმა გახაროს და გალხინოს, დარიკო, რო შენი სამახსოვრო ლაპარაკი მკვდარსაც კი გააღვიძებს ხოლმე და ცალი თვალით აცინებს და ცალით ატირებს, _ ღიმილით მოუწონა მალალომ, რომელსაც ცხადად ეტყობოდა, თითონაც გამოეცადნა სიყვარულის ასეთი გრძნობანი.

_ მთელი ორი წელიწადი ნიკო შორიდამ მიყვარდა მალვით-ფარვით და ეს ჩემი დაფარული სიყვარული მაღლა ღმერთმა იცოდა მარტო და ძირს დედამიწამ. როცა ვინმე მეტყოდა ხოლმე _ და ეს ხო შენც გეხსომება _ ლომგმირაანთ ნიკო ასლი შენი ფანდია და შენ და ის ზედგამოჭრილი ცოლ-ქმარი იქნებითო, ამ სიტყვის გაგონება და ჩემი ანთებული ბრაზით ამრეზა და გაანჩხლება ერთი იყო, სახე ბებრუცუნა მაიმუნის ცხვირ-პირივით მეპრანჭებოდა და გაკაპასებულის ხმითა ვჯავრობდი: დაიკარგოს იქიდამ, დაიკარგოს! ის ვინა გდია, რო მე ის შავირთო, ეგ ერთი გითქვამთ და მეორედ აღარ გამიჩაოთ მეთქი, და აბა ის კი ვინ რა იცოდა, თუ იმავ წამ-წუთში ჩემი გული რაღას ამბობდა თავის საყვარელ ნიკოზე!.. რა იცოდა მაშინ ნი...

_ მეც შენსავით გული მქონია, დარიკო, შენსავითა!.. _ გააწყვეტინა სიტყვა უნებურის წამოძახილით მალალომ.

_ რა იცოდა მაშინ ნიკომ და ან ვინ რას შამატყობდა გარედამ, თუ მთელი ორი წელიწადი როგო ვიტანჯებოდი ნიკოს სიყვარულით, როცა ნიკოს ვერსად ვხედავდი, მწუხარე ვიყავ, როგორც მაკვნესებელი ღრუბლებით პირმოქუშული მარტის საღამო, და როცა ნიკოს თვალს მოვკრავდი სადმე, მაშინ კი სიხარულით ცაში ვფრინავდი. იგრე ღადღადებდა ჩემი გულნასიამოვნები სახე-თვალები, როგორც მშვენიერ-ღაღანა მაისის მზიანი დილა, მაგრამ როცა ნიკოს ნახვა დამიძვირდებოდა, მაშინ კი ვაი ქვასა და წყალს. სიცოცხლეში წილი აღარ მედვა. სუყველა ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა, შავბნელი ღრუბლებით მოქუშული გულიდამ სულის ამომხდელი სეტყვა-მეხის ქარ-ცეცხლი ამომდიოდა საზარელ ელვა-ჭექა-ქუხილით და ძალ-ღონე გამოლეული მოწყვეტილ ვარდივითა ვჭკნებოდი, ძველ მთვარესავით ვილეოდი, გამხვალ ყინვასავით ვდნებეოდი, გაზაფხულის ღრუბელსავით ცრემლათ ვიღვრებოდი და სანთლის ნამწვავსავით ვქრებოდი.

_ ნეტავი მითხრა: შენ რომ მაგრე ძალზე გყვარებია ნიკო მალვით-ფარვით, ნიკოსაც უყვარდი მაშინ თუ არა? _ დიდის ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მალალო და თვალი თვალში გაუყარა.

_ უყვარდიო?.. მართლა იმასა ვყვარებივარ, თორე! დანიშვნის მეორე დღესვე სუყველაფერი დაწვრილებით მიამბო და ჩამიკენჭა ნიკომ, თუ როგორ იწვებოდა და იტანჯებოდა ჩემი სიყვარულით, მაგრამ თურმე ერთ ძე-ხორციელსაც არ უმჟღავნებდა თავის მტანჯავ-დაფარულ სიყვარულს, და როცა ვინმე ეტყოდა სწორ, ამხანაგურ ლაპარაკში: მოდი, კაცო, მეტყველაანთ დარიკო შაირთე ცოლადო, ნიკო თურმე უკადრისად აიმრიზებოდა ხოლმე და გულცივად ეუბნებოდა: «დაიკარგოს იქიდამ, აბა, რი მაქნისია, რა არი, რა ქალიაო». თურმე ნუ იტყვი, ნიკოსაც ჩემსავით ადამიანური თავმოყვარეობა ალაჩრებდა, რო ეთქვა: რატომაც არ შევირთამ, რა ურიგო ქალიაო, ვაითუ დარომ დამიწუნოს, ან სხვა უყვარდეს და პირში ჩალაგამოვლებული დავრჩეო! და ამასობაში დრო მიდიოდა, დღეები და

თვეები ერთმანეთს მიზდევდა დამწკრივებულ აქლემებივით და ნიკოც ჩემზე უარესად იწვებოდა და იტანჯებოდა თურმე დღე და ღამ ჩემი სიყვარულის ცეცხლის ალით, და მე კი, ღმერთგამწყრალმა და ჟამშამდგარმა, რა ვიცოდი, რო აღარ დამერცხვინა ქვეყნისა, მივვარდნილიყავ, მოვხვეოდი ყელზე და მეთქვა: მე შენი ვარ, გენაცვალე, ნუღა ჰკვდები-მეთქი, როგორც «ვეფხვის ტყაოსანში» ნესტან-დარეჯანი ეგეთი საამებელი სიტყვით ანუგეშებს თავის გულის საყვარელს ტარიელს.

_ ეგ «ვეფხვის ტყაოსანი» რაღაა, ქა?

_ წიგნი, ქალო, წიგნი, საგულისგულო აქიებით და ნატრის ნანატური სიყვარულის ამბებით სავსე. ამას წინად ჩვენმა ახალმა მღვდლის ნასწავლმა ცოლმა მაჩუქა და მას აქეთია ვერა ვძღები მის კითხვით.

_ ნეტავი ჩემთვინაც ემაგრე შენსავით ესწავლებინა ჩემ დედ-მამას სოფლის სკოლაში, რო მეც წამეკითხნა, _ გულნაკლულად ინატრა მალალომ.

_ ღმერთო, ეს რა ბოროტი ხალხია, ეს რა წყეული ქაჯ-ეშმაკების ქვეყანაა, თქვენი ჭირიმეთ!.. _ დაიწყო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დარიკომ, _ ახლა აღარ მკითხავ, მალალო, ჩვენებიც როგორ შაშალეს და გადარივეს ნიკოს მტრებმა. ყური მოჰკრეს თუ არა, ნიკო დარიკოზე დანიშვნას აპირებსო, იმავ წუთას ნიკოს მტრები კიდევ ჩვენი სახლის დერეფნიდამ ამოჰსქდნენ ჭიანჭველების ბუინასავით და იგეთ საზარელ რაღაცეებს გველაპარაკებოდნენ ნიკოზე და ისეთი ჯადობაზური ენით აძაგებდნენ და სთხრიდნენ ბოლოკივით, რო თითონ გულთამხილავი ღმერთიც კი დაიჯერებდა ერთხანად იმ დაუჯერებელ ჭორებს და ჩემს საწყალს დედ-მამას ხო იგრე შაუცვალეს გული და გადარივეს მაშინვე, რო იქვე ჩემ თვალწინ ეუბნებოდნენ ჭორსიგუდებს: «დაღუპოს ღმერთმა, დახეთ, რა გდებულა ი შეჩვენებული და ჩვენ კი როდი ვიცოდით. ეხლა ჩვენ იმას ქალს კი არა, ძაღლსაც არ მივცემთ, ძაღლსაცო». იცი რა დამემართა მე მაშინ, მალალო, აბა გამოიცან?..

_ რა ვიცი, გულთმისანი ხო არა ვარ, რო გამოვიცნო.

_ მაშ, მე გეტყვი: ნიკოს მტრებისაგან ათასნაირმა ჭორიანმა ძაგებამ უფრო ენით გამოუთქმელად შემაყვარა ნიკო, ქალური რიდი და სირცხვილი მთლად დამაკარგვინა იმათმა ძალზე საზიზღარმა უსვინდისობამ და გულგააფთრებული სეტყვა-მეხივით ვაყრიდი ნიკოს მაძაგებელ მტერ-დუშმანებს ამ სიტყვებს: «ნიკოზე ვაგლახი, იმაზე ცუდი და ავაზაკი ადამიანი რო ჯერ ღმერთს არ გაეჩინოს და თუნდ დღესაც საციმბირო საქმე ჩაიდინოს, მაინც მე ის მიყვარს და ის უნდა შავირთო ქმრად და სხვა არავინ ქვეყანაზე, თუნდაც რო ორთხემწიფის შვილმა მოიწადინოს ჩემი შერთვა-მეთქი». ამ ჩემი სიტყვების გაგონებაზე ჩემი დედ-მამა გაკვირვებით მიჯავრდებოდა: «რეებს მიჰქარავს ეს უსირცხვილო! ხმა ჩაიწყვიტე, შე დედამიწა გასახეთქოო», და ნიკოს მტერ-დუშმნები კი წელმოწყვეტილ გველებივით მიხოხავდნენ თავთავიანთ სახლისაკენ ჩემგან პირში ჩალაგამოვლებული, კუდამოძუებულები, ჰი, ჰი,! დაუდგეთ თვალი, ჰხეთქავდეთ მჭვალი, მოუკვდეთ გული, წაუწყდეთ სული!.. აი ეგრე ჯვარს...

_ უჰ, შენ გიშველოს ღმერთმა, დარიკო, როგორც შენ მე მაგ ლაპარაკით გულზე საფლავის ლოდებივით დაწოლილი სევდა-ნაღველი გამიქარწყლე და გამაცოცხლე. დაფქვი, დარო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე, დაფქვი, აღარ გაგაწყვეტინებ, _ რაღაც მადლობის კილოთი უთხრა ეს სიტყვები მალალომ, რომელსაც ცის ელვასავით უბრწყინავდნენ თვალნი მელნისა ტბისანი.

_ რაღა დავფქვა, ქალაიავ, აი ეგრე ჯვარს მაცვა, დამტანჯა და მაწამა სიყვარულმა, და ბოლოს და ბოლოს, როცა ჩვენებსაც ჭორები ღვინოსავით გამოჰნელდათ და ნიკოს დასიძება ორი ხელით მოიწადინეს, როცა ნიკომაც გული დააჯერა, რო ჩვენი მტერ-დუშმნები მტრობით მაძაგებდნენ, და ნიკო ჩემი გახდა, ოხ, მაშინ კი ორი წლის მკვდარი დანდობილა გავცოცხლდი, სიყვარულის ცეცხლის ალით დამწვარი და ძვალ-ტყავად ნაქცევი უეცრად შუქნათლიან მთვარესავით გავივსე და გავიბადრე ენით გამოუთქმელი ბედნიერება-სიხარულით ყელთამდის ავსილი, მეტისმეტი ტკბილი, საამო ფიქრებით ღამეც აღარ მეძინებოდა, სულ რაღაცა სამოთხის ნეტარებაში დავფრინავდი და ჩემზე ბედნიერი ადამიანი აღარავინ მეგონა მთელს დუნიაზე!.. ღმერთო, რა ენით წარმოუთქმელი სამოთხე და ჯოჯოხეთი ყოფილა სიყვარული!.. ნეტავი გამაგებინა: სიყვარულის სამოთხესა და ჯოჯოხეთს სხვა რომელიღა სამოთხე და ჯოჯოხეთი შეედრება ცა-ქვეყანაზე?.. აბა, სხვა რაღა გითხრა, მალალო, მართალია, ჩემი ნიკო ღარიბი, ხელმარტო კაცია და დღიური შრომით უნდა მაცხოვროს, მაგრამ ნიკოსთან რო საუკუნოდ აფშრუკული ნაცარი ვჭამო, ის მირჩევნია, უფასო თვალმარგალიტებით სავსე სამოთხეში ყოფნასაც. აჰა, აი ესაც ჩემი სიყვარულის ამბავი, არც ეხლა დამეხსნები?

აქ კი ორნივ დობილნი გაჩუმდნენ. ორნივ რაღაც ფიქრებმა გაიტაცეს სადღაც ოცნების სამეფოში, და ბოლოს, ისევ დარიკომ დაარღვია სამარისებური სიჩუმე.

_ ჩემო მეგულიპასუხე, მალალო, ჩვენ ხო, რაც თავი შეგვისწავლია, ერთმანეთისათვინ გულისპასუხი არ დაგვიმალავ და მოგიკვდეს, ვინც გულის საყვარელი გეგულებოდეს, თუ სიმართლით არ მითხრა, შენს მთხოვნელებში ვინ გიყვარს: მალაქო თუ მალხაზო?

_ მალხაზო, _ რაღაც დარცხვენის გაუბედაობით წარმოსთქვა მალალომ დაბალ ხმაკილოზედ, თეთრ-შუქიანი ლოყები ჭიაფერგადასხმულ ქაღალდივით აუწითლდა ყაყაჩოსფერად და შავი პრიალა თვალები მიწისაკენ დაეხარა თავჩახრილ იასავით.

_ მალაქო რო ოჯახიშვილია, და მალხაზოს კი შინ კატა არას შეუჭამს და გარეთ ძაღლი?

_ მეხი იმას ჩავათხლიშე და იმის ქონებასაც, რა ეშმაკად მინდა იმის ცარიელი ქონება, როცა ის ჩემ გულს იგრე არ ეკარება, როგორც კედელს ცერცვი არ უდგება და ყინვას ცეცხლი არ ეკიდება.

_ იიი, ჩუმათ, ერთიიი, მა ი მამა-პაპის ვალებისაგან გამოხრული მალხაზო რაღა იგეთი წითელი კოჭია, ვინ არი, რა გდია, რო იმის გულისათვინ აიგეთ ოჯახის ახალგაზრდას ითვალწუნებ.

_ ვინ არი, რა გდიაო?.. უკაცრაოდ!.. მალხაზო ცარიელ ქვაზედაც იცხოვრებს თავის გამრჯე ვაჟკაცობით და მალაქოს კი მამის მონაგარ ქონების მოვლის შნოც არა აქვს, _ შუბლშეჭმუხვნილის სიამაყით წარმოსთქვა სახეზე წყენისალმურავარდნილმა მალალომ და ზედვე დააყოლა: _ ათას ჭირსა და ლხინში ნაწრთობი მალხაზოს გულ-გონება, იმისი ყველასთან რიხიანი და უშიშარი სიტყვა-პასუხი, ვაჟკაცურად დაგრეხილი, არსენასავით ულვაშები, დიდრონი, შავი კუპრივით თვალები და იმის ბრგე, მხარბეჭიანი წარმოსადეგობა მთელი ქვეყნის სიმდიდრესაც მირჩევნია და სამოთხესაც, აი თუ სიმართლე გინდა გაიგო _ ეს არი.

_ არა, ქალო, არც მალაქოა დასაწუნარი შახედულობისა.

_ დაიკარგოს იქიდაამ, მალაქოც კაცია რა! რა ქაჯად მინდა აიგეთი ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებული ბიჭი, უგერგილო მჩვარი. თვალები კიდე როგორი ჭოღრონია ჭრელი აქვ. დაჰლახვრა ღმერთმა, გარეულ კატას უგავ, ხა-ხა-ხა!.. რას ამბობ დარო, რას, ჩემი თავიც მეჯავრება ქალაჭუნა, ქალმა ლომივით გულძლიერი, აფთარივით ანჩხლი, ბრძენივით ჭკვადამჯდარი, კამეჩივით შავი-ბრიალა თვალებიანი და არსენასავით ულვაშებდაგრეხილი ვაჟკაცი უნდა შაირთოს ქმრად, რო ცოლის ყადრი ჰქონდეს და ცოლსაც აღარაფრისა ეშინოდეს და ყველასაგან თავიც მოსწონდეს თავის ქმრით.

_ მაშ რაღას უყურებ და არ დაინიშნები, იქნება დედა გიშლის?

_ მეც მაგასა ვჩივი და ვტირი, _ მწარე ამოოხვრით წარმოსთქვა მალალომ.

_ საქმე არა გაქვ, თუ შენ გინდა, დედას ვინღა ჰკითხავს ჩვენ დროში, _ ანუგეშა დობილმა.

_ არა, ქალო, ჩემი ბრალიც კია, ღვთის წინაშე, რო ვთქვა: ორჯელ უარი შეუთვალე მალხაზოს იმისაგან ჩემთან საკუთრად გამოგზავნილი მზეონას პირით.

_ რათა, ქა, უარის შათვლით გულს რათ უკლამ, თუკი მართლა გიყვარს.

_ მიყვარს და მაგრე: რა დღესაც მე შორიდამ მაინც თვალს ვერსად გადავკრამ ხოლმე მალხაზოს, შენი არ იყოს, ის ჩემთვის მტანჯავი ჯოჯოხეთია, მაგრამ რა ვიცი, ქა, რათ მამდის ეგრე. მეც ვერა გამიგია რა ჩემი თავისა: გულს მალხაზო სწყურიან ძალზე და იმასთან ყოფნა ენატრება ცხადივ თუ ძილში, მაგრამ ი ჩემი ენა-პირისათვის კი «ჰო» ვერ მითქმევინებია, ვერა და ვერა, სუ «არას» იძახის მალხაზისაგან გამოგზავნილ მზეონასთან, მიკვირს და გამკვირვებია!..

_ ეგრეა, ეგრე, მალალოიავ, ჯერ შენ კიდევ გამოუცდელი ხარ და იმიტომ გიკვირს, თორე ყველა ქალმანდილოსნებს ეგეთი განაზება გვჭირს და გვიყვარს, მაშინაც კი, როცა ქმრის მკლავზედ გვძინავ. ალბათ თითონ ღმერთს დაუწესებია ეგრე ყველა სულდგმულებში... თუ მართლა ემაგრე ძალზე ძლიერად გიყვარს მალხაზო და კიდევ უარს შეუთვლი, დაიღუპები, იცოდე.

_ როგორ, რათ დავიღუპები? _ გაფაციცებით შეეკითხა მალალო.

_ რათ დაიღუპები და მათ დაიღუპები, ჩემო თვალისჩინო, რო შენი უარით გულმოსული მალხაზო იფიქრებს: ალბათ სხვა უყვარს მალალოს, ან არ მოვწონვარ, ან სიღარიბეზე მიწუნებსო, გულიდამ ამოგირეცხავს და დაინიშნება სხვაზე. ქვეყანაზე ათასობით მომხდარა ეგეთი საქმე: გულნატკენი სიყვარული მალე სიმძულვარედ გადაიქცევა-ხოლმე.

_ მეც მაგაზე ვფიქრობდი წუხელის. მთელი ღამე ოხვრითა და ვიშით გავათენე. უწინამც დღე გამიქრეს, მალხაზო რო სხვაზე დაინიშნოს, თავს აღარ ვიცოცხლებ.

_ ჰოდა, რახან აგრეა, საქმეს ნუღა ახანებ, ნუღა, თორე ნათქვამია: ერთი ფეხით დაგვიანებას ადამიანი დაუღუპნია და მოუკლავ კიდეცო. დღესვე დაუძახე მზეონას და სუყველაფერი სიმართლით უამბე, ნუ შეგრცხვება და დაგეხათრება. როცა მალხაზოს უყვარხარ და შენც გიყვარს, ფიქრი აღარაფრისაა. მალხაზო რო გაიგებს მზეონას პირით, მალალოსაც ვყვარებივარო, სიხარულით ცათა ფრინველს მოეკიდება და უფრო ენით გამოუთქმელად შეუყვარდები.

_ ეგ ყველა კარგი, დარო, მაგრამ დედაჩემი რო ცივ უარზე დგა: მე ი სიღარიბის ვალებით გამოხრული მალხაზო არ მინდა სიძედ თავცოცხალს და მალაქოს უნდა მიგცეო, რადგანაც მალაქოს ქონებისათვის კბილები უკაწკაწებს, ჩემს გულს კი აღარასა ჰკითხავს. რამთენი შუაკაცი მოუგზავნა მალხაზომაც და იმისმა დედამაც. მაგრამ დედაჩემმა ყველანი ამოაპანღურა: მე იმას ქალს არ მივცემო. და, აბა, რა

ვქნა, მე თვალდამდგარმა, ქვეყანაში თავი როგო გამოვიჭენო და დედის უნებურად როგო გავთხოვდე? დედის გულსაკლავი წყევლა-ტირილი და შემოწყრომაც რო იქით იყოს, არ იცი, როგო მაშინვე ყბათ აგიღებენ ჩვენი ჭორისგუდები და ცამდე ალალმართალს, ლეჩაქმოხდილს, უნამუსოს დამიძახებენ.

_ იჰ, მე ჭკვიანი მეგონე და უჭკო ყოფილხარ, ქალო, როცა შენი გულის საყვარელ კაცზე ჯვარს დაიწერ, ჭორის გუდებმა, რაც უნდათ, ის ატყაჭუნონ, რას დაგაკლებენ: მინდორში ცხვრის ფარას დაგიფრთხობენ, ხარ-კამეჩის ნახირს, ცხენის ჯოგს თუ ღორის ხროვას? ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. ძაღლის ყეფას და ენაჭარტალა ჭორიკანას ღავღავს იმათივე ყადარი უგდებს ყურს და არა ჭკვათამყოფელი ადამიანი. მეორეც, ეს მთელ ქვეყანას მკითხავ ქადაგები ათამაშებენ თავიანთ ჭკვაზე და აი ამ სათიბ-სამკალის დროსაც კი მკითხავის სიტყვით თავს ანებებს ხალხი ორი კვირით თავის მაცხოვრებელ ვენახ-სათიბ-სამკალსაც; განა ცოტა წლის მოსავალი ეღუპებათ ეგრე და მოცდენა და ათასი ხარჯები კიდევ სხვაა, მაგრამ რა ქნან, მეტი რა ჩარა აქვთ, მკითხავი რო უბრძანებთ: მავანი ხატი გიბარებთ და თუ არ ეახლებით, ჭირი და ნაცილი არ დაგელევათო. აი ამ დღეებში ჯერ მარტო ჩვენი სოფლიდამ, სულ ცოტა რო ვთქვათ, ერთი ორასი კომლი მაინც წავიდა და გაიხვეტა ჭიჭრიკონა ფარდაგ-ჯეჯიმებით გადაკამარებულ ურმებით ას ორმოცის ვერსის სავალზე, თელავის წმიდა გიორგში სალოცავად, მამასისხლად აღებულ ვალ-ვახჩით ნასყიდ ათასი ცხვარ-კურატმზვარა-საწირავებით, და განა დედაშენს კი ვერ მოარჯულებენ შენი გულის ნებაზე დასაყოლიებლად ი მეოინბაზე მკითხავები თავიანთ სარფისათვინ რა, ამაზე ადვილი რაღაა შე ქრისტიანო!..

_ როგორ, ქალო, აბა რანაირად? _ მოუთმენლობის გაფაციცებით შეეკითხა მალალო.

_ როგორ და აიგრე, თავი მოიავადმყოფე, გულისღონება მოიგონე, ჩალოგინდი. მე თვითონ წავალ მაშინვე ჩვენ ჯვრიან მკითხავ ნაირასთან და ვეტყვი: აბა, ეგრე ეგრე საქმეა, შენი პატივისცემა ჩვენ ვიცით, და მალალოს დედა რო მოვიდეს შენთან, უთხარ: რადგანაც შენს ქალს მალალოსა და მალხაზო ვალვახჩიშვილს ერთმანეთი ჰყვარებიათ და შენ მალხაზო არა გდომებია სიძედ, ამის მიზეზით სიყვარულის გულყრა დასჩემებია შენს ქალს, და თუ ეხლა მაინც მალხაზოს არ მიათხოვებ, ქალიც დაგიჭლექდება და შენც სულიან-ხორციანად დაიტანჯები, სააქაოსაც და საიქიოსაც-თქო. ეტყვის ამას და მორჩა და გათავდა, ჭირი იქა და ლხინი აქა, ქატო იქა და ფქვილი აქა. არ გაივლის ერთი თვეც, რო თითონ დედაშენივე მოგიმართავს ხელს და მალხაზოს მიგცემს. მალალო, შენ უყურე ჩვენს ნაირა მკითხავს, დედაშენი რო მივა, როგორ მაშინვე ქადაგად დაეცემა, ჯოჯოხეთის ტარტაროზივით მოაყოლებს წარამარა ტარტარს ეშმაკური სახე-თვალების მანჭვა-პრანჭვით და ბოლოს, ბოლოს, როცა გულს მოიოხებს ქაჯური ტარტარით, მაშინ კი გაუმჟღავნებს, ქალო, დედაშენს თავისებურად, მოზარის ხმამაღალი მოთქმა-ტირილით ა ეგეთ გაჭიანურებულ კილოზე ამისთანა სიტყვებს: _ ი ი ი, ქრისტიანო, რათ ჩამდგარხარ ორი სულის ცოდვაშიიი, მალალოსა და მალხაზოს ერთმანეთი ჰყვარებიათ და შენ კი მალალო მალაქოსათვის მისაცემათ გდომებიაა; ჩამოხე, მარეხო, ჩამოხე ეშმაკის უბელო და ულაგმო ცხენიდაამ, თუ გინდა, რო ქალიც მოგირჩეს და ღმერთმაც გაპატიოს შენი სიკერპე-უჯიათობა, სახლში მისვლის უმალვე ანაგის მთავარანგელოზისათვინ სავედრებელი შანა-საწირავები შამოავლე შენს ქალს, თეთრი ლეკორტის კაბაც შეუკერე, წითელი

სუდარის მოსახვევიც მოახვიე და ღამის სათევათაც წაიყვანეე: გულზე ხელებ-გადაჯვარედინებულმა და მუხლის კვერებზე დაჩოქებულმა სამჯერ სამების ძალზე ტაძარს გარშამო შამოუარე ბობღით და ცრემლით შეევედრეეე: თაქ მომირჩინე ჩემი დედისერთა, დახატული მალალო შენი მადლისა და სახელის ჭირიმე მთავარანგელოზის მადლო და ძალო და ღირსიც არა ვარ მალხაზოს დასიძევებისა-თქო!

_ იი, ამოგაგდოს ღმერთმა, დარიკო, ამოგაგდოს, კაი ტრიატის მოჩვენება შენა ხარ! _ წამოიძახა მალალომ, რომელიც სიცილით იჭაჭებოდა ნაირა მკითხავის მშვენივრად მბაძავ დარიკოს სასაცილო მოთქმა-ტირილზე და სახე-თვალების ვაგლახად მანჭვა-გრეხაზე.

_ შენ უყურე მემრე დედაშენს როგო ათრახიჩაანთ ტარყაულას ტარაბუასავით დატრიალდება და მესამე დღესვე, ვენაცვალე იმის მადლსა და დიდებულობას, მთავარ ანგელოზის ეზოში ამოგაყოფინებს თავს იორდანას ორცხენიანი კაჭკით. ჰაი გიდი-ჰა, შე დასაქცევო მალალო, შენც კი თავმომკვდარუნებულ ნაბია, ნამილოკია კურდღელივით წამოაჭყეტავ მა ყველიპარია კატასავით ზიმზიმა თვალებს, მეორე დილით ღამენათევი და უღონო კნასი-კნუსით წამოილუღლუღებ: ეხლა პატა კარგა ვარ, დედიო, და თვალცრემლიანი დედაც სიხარულით გადაგეხვევა, სიყვარულით გადაგკოცნის ქვეშაგებში მწოლიარეს და ალერსიანად გეტყვის: თაქ შენ კარგა იყავ, შვილო, დედა გენაცვალოს და თავს შემოგევლოს და მალხაზო კი არა, რა მენაღვლება, თუნდა ასტრაბეთელი ატოცის გლახა შაირთე, მე აღარ დაგიშლი, გენაცვალეო! ნეტავი მეც იქა მქნა მაშინ, რეერთს ვიცინებდი მალვით _ უჩუმრა, შე სახელგასაწყვეტო მუზმუზელავ!

_ მართლა! ეგ რა კარგი მაიგონე, შენი ჭირიმე, დარო, დარიკო!.. _ ამ სიტყვებით გადაკოცნა დობილი სიხარულით ფეხზე წამომხტარმა მალალომ.

_ მე ცუდს მოვიგონებდი შენთვინ, რა. აკი წეღანაც გითხარ: დღეს ქვეყანას მკითხავ-ქადაგები ათამაშებენ თავიანთ ჭკვაზე, და რასაც ჩვენი გლეხი ადამიანი მკითხავს დაუჯერებს, იმას ზეციდამ ჩამოსულ მამაუფალსაც არ მოუსმენს და არ გაუგონებს. ბევრი ლაპარაკი და კოსე-კოსე რაღა საჭიროა, შენი საქმეც ჩემი ნიკოს ნამგალივით გაჩარხულია: შენი ლოგინად ჩავარდნა, ჩემი მკითხავთან გაქანება, დედიშენის მორჯულება და შენი მალხაზოზე დანიშვნა და «პროშტი» ერთი იქნება. ეს კია, რო ნაირა მკითხავიც ჯერაც ისევ თელეთშია და ორიოდე დღეს კიდევ მოიგვიანებს. თურმე, როცა მივა ხოლმე იქ, «ტერაცუები» დიდის ამბით უხვდებიან, მოფარდაგხალიჩულ ოთახში აყენებენ, და ბოლოს ბლომა საჩუქრებითაც ისტუმრებენ, რადგანაც ჯვრიანი ნაირა მთელ კახეთ-ქიზიყში განთქმული მკითხავია და ნაირას გაგზავნილ უანგარიშო მლოცველებისაგან ზღვისოდენა შეძინება ჰქონიათ. ბაზაზებმაც ეგრე იციან: რომელი დალალი დედაკაციც მეტ მუშტარს მიჰგვრით სხვა და სხვა სოფლებიდან, იმას უფრო გულუხვად ასაჩუქრებენ. ეხლა კი დროა, მეც ავდგე, მალალო, ქალო, და სახლს მივხედო. გონია, ეხლა ჩვენი ღოლო შეჭამანდი ჯოჯოხეთის ახტალასავით ტაყტაყებს ცეცხლზედ და თან გაბრაზებული მეძახის: «მოშავდი, დარო, მოშავდი, და პატა წყალი დამასხი შე გასაწყალებელო და გასაღვარებელო ჭიჭინავ, თორე თვალებს დაგიყენებ, ხავიწივით მოვიპრუწები, ავიმელები, ავილანძები და მიგცემ დედიშენის ნარ-ცეცხლიან ენაპირსო».

დარომ რაღაცა წაჰჩურჩულა ყურში მალალოს, ორთავ მაღალის სიცილ-ხარხარით გადიკასკასეს გულიანად და გაჰშორდნენ ერთმანეთს. მალე

სიტყვასიტყვით აცხადდა დაროს ყოველივე წინასწარმეტყველება და სამი კვირის შემდეგ მალხაზო გაზაფხულის მრავალფრად აყვავებულ მთა-ველ-მინდორსავით ტურფა-მშვენიერ მალალოზედ დაინიშნა.

1899 წ.

<u>დილიმზე</u>

(მოთხრობა)

გიორგობისთვე იდგა. ყვითლად მოწეული, მრავალსახოვანი მთა-ველ-მინდორი სულსა ლევდა და სიცოცხლეს ეთხოვებოდა კოპწია პატარძალივით მორთულ გაზაფხულამდე. მაგრამ სულის ლევის დროსაც კი ისეთი უმშვენიერესი, საამებელი და მიმზიდველი რამ იყო კახეთ-ქიზიყის ტურფად ნაქარგი, ფერად-ფერადი მთა-ველ-მინდორი, როგორც დიდებულ შოთა რუსთაველის ბრძენ-მეცნი-ერული ჭკვის ძლიერება, ლომისებური გულის სიწრფელე, ღვთაებრივი ენის სიმდიდრე _ მძლავრმეტყველება, მაღალაზროვან გრძნობათა შარბათის დენა. ფრთაგაშლილი ოცნების მომჯადოებელი ძლევამოსილება, ადამიანურ ღირსებათა სიავკარგის ზეციურად დამფასებელი სწავლა-მოძღვრება. უფასო თვალმარგალიტად აკინძულ ლექსთა საამო ჟღერა და ადამიანთა სულ-გულ-გონების უკვდავად დამსურათხატებელი ნიჭი გენიოსობისა.

დაღამდა. ლურჯად მოკრიალებული ცა ვარსკვლავებით მოჭედილი ჟრიკჟრიკებდა ევლოგიის სანთლებივით და კავკასიონის ბუმბერაზ მთის მწვერვალიდან მედიდურად ამომავალი გაბადრული მთვარე თვალგულწარმტაცად ასხივოსნებდა ცოდვილ ქვეყანას ცის ტატნობიდან. ათასწლოვანი ციხე-კოშკებიანი მთებით შემოციხული ალაზნის თვალგაუწვდენელი ტურფა ველ-მინდორი დაქანცულ მუშასავით სთვლემავდა მიყუჩებული, სულგანაბული, და ტრიალ მინდვრის შარაგზიდამ მონასმენი ურმის ჭრიალი და გულსევდიანი მეურმის მწარტკბილად მოღუღუნე ოროველას ხმაღა არღვევდა საოცნებო ღამის სიჩუმე-მყუდროებას, რომელიც ადამიანის გულს ისე აჯადოებდა, ჰხიბლავდა და ატყვევებდა, როგორც მშვენიერის ქალწულის მიბნედილი თვალები. ასეთს ადგილას ამგვარი ღამე რა სამოთხე-ჯოჯოხეთის ფიქრებს არ დაუბადებს მაღალგრძნობიერ ადამიანს და რამდენს ცრემლს დააღვრევინებს მეტადრე მაშინ, თუ ნაღვლიანად ამოიმღერებს პოეტის შემდეგს სიტყვებსაც:

> გული მიკვნესის, სული ჩემი მწარედ ღონდება,
> რა საქართველო დანგრეული მომაგონდება,
> რა ფიქრს მომივა: მის ნანგრევნიც იქნება განქრენ.
> მათი სახელი და ხსენებაც აღარსად დარჩნენ!..

ერთის ტყის პირას, მთის მოტიტვლებულ ვაკე კალთობზე, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ალაზნის მრავალგვარად მოქარგულ, აჭრელებულს ჭალა-ტყიან მინდორ-ველს, ათი-თორმეტი ურემი იდგა გამოშვებული. გაბადრული მთვარის ნათელით გადაღაღანებულ სერზე გაშლილი საქონელი აბრეშუმივით ურო ბალახს ჰბდღვნიდა მადიანად; მეურმეებს, რომელთაც დილით შეშები უნდა დაედვათ,

დიდი ჭახჭახა ცეცხლი დაენთოთ, გარს შემოჰსხდომოდნენ და ვახშმობდნენ. იმათ მახლობლად ფარაჯაში გახვეული ერთი მეურმე განცალკევებულად წამოწოლილიყო ნელის ნიავქარისაგან ტურფა-საამოდ აბიბინებულ ურო-ბალახში და დაჟინებით ოცნებობდა თვალებგაშტერებული, ზეზეაუხედავად. ბევრს ეძახდნენ ვახშმად მეურმეები, მაგრამ ის ისე ღრმად იყო ფიქრებში ჩართული, რომ არც კი ესმოდა მათი ძახილი, ყატყატი, ოხუნჯობა და სიცილ-ხარხარი. დიაღ იგი თვალებგაშტერებით მდუმარებდა ღრმა ფიქრებში, როგორც მგზნებარე გულის უსაზღვრო ტანჯვისაგან დამსხვრეული ჩანგი პოეტისა.

_ გიო, ბიჭო! ე, არ გეყურება? მოდი, თორე ჩაგასწრობთ ვახშამს, _ ეძახდა შეხუმრებული ტოლ-ამხანაგი.

_ გიო! ჰაი, გიოოო! რატო არ ჰდგები, ბიჭო, შენი ანგელოზივით დახატული, ძუძუკოკბებიანი დილიმზე ხომ არ გეჩვენება თავის წითელი კაბით და დიდრონი შავი-ბრიალა თვალებით? _ მისძახოდა მეორე.

_ არა გრცხვენიან, კაცი არა ხარ? ქუდი არ გახურავს: თითის სისქე გველი ვეებერთელა ბაყაყს ჩაჰყლაპავს და ინელებს და დევგმირივით ვაჟკაცს რა დაგემართა, რო ი პაწაწინა გოგოს სიყვარულიც ვერ მაინელე აქამდის და ემაგრე სანთელივით ჩამოჰდნი ზეზეურ; ფუ, შეგირცხვა ვაჟკაცობა! _ დაცინვის კილოთი უსაყვედურა მესამემ.

_ რას ამბობ, ე, ჭკვაზე მოდი, ზაქრი! სიყვარულიც ლობიო შეჭამანდი ხომ არალი, რო მაინელოს! სიყვარულმორეულ გულს ქვეყანაც ვერ მეერევაო, შენ ეს არ გაგიგია? მაგაჰ კი არ უნდა, რომ აღარ იტანჯებოდეს დღე და ღამ სამოთხე _ ჯოჯოხეთის დამბადებელ სიყვარულის გამოუნელებელ ციავ ცხელებით, მაგრამ განა მაგის ნებაა რა!..

_ რას ამბობ, რას! დილიმზესავით დახატულ გოგოს სიყვარულს გამიწებული გულიც ვერ მაინელებს საფლავში და იქაც კი ჯოჯოხეთის გაუქრობელი ცეცხლით დაიწვება და დაიხრუკება ქალმის ჯღანივით! _ დაქომაგებით ამართლებდა გიოს ახალგაზრდა მეურმე.

_ ბიჭოს, ბიჭოს! ერიჰა�ა!.. არ დაიჯერებთ, კაცებო, სიკაც სიყვარულის მახეში გაუბამ ვისმე მთის ღაღანა ვარდივით ლამაზ-დახატულ, შავთვალებიან გოგოცკას, ესეც გიოს ტაფაში იხრუკება ტაბაკასავით და იმიტომ ეგრე გულდათუთქული ექომაგება...

_ სწორედ მაგრე იქნება! მაგრამ თუ სწორეს მათქმევინებთ, ქალები უფრო ეშმაკებზედაც ათას წილად მეტი ეშმაკები არიან: რაც ერთი ქალი აწამებს და დაჰტანჯავს ამქვეყნად, იმ ენით გამოთქმულ ტანჯვა-წამებას, მთელი ჯოჯოხეთის ქაჯ-ეშმაკებიც ვერ მიარგენენ ადამიანს! აბა, თუნდა, ჩემი სიმართლის გულისათვინ, ყური დაუგდეთ ქვეყანაზე ყველა რჯულის სიყვარულის ლექსებს, სუ ქალებს ემდურიან და უჩივიან:

ქალამზემ დამწვა, მატირა,
დამდაგა და დამხრუკაო,
არც მომკლა და არც მაცოცხლა,
ქუმელივით ამფშრუკაო!..

რა ეს გინდათ, თვრამეტი წელიწადი ჯვარდაწერილი ვარ და არ დაიჯერებთ, კაცებო, წამდაუწუმ, ეხლაც კი, ი დედაკაცი გამენაზებაყე რო გეგონებათ:

დღევანდელი ჯვარდაწერილი პატარძალიაო... _ ბრაზმორეულად დააბოლოვა მეურმემ და ძალზე დაუწყო ყალიონს წევა.

—რათა, მაგას ნუ იტყვი, გიგოლი, ვინ იცის, იქნება არც ქალებს უნდათ, რო დაწვან-დახრუკონ კაცები, მაგრამ ალბათ ქვეყნის გაჩენიდანვე ღმერთს მიუცია იმათთვის იგეთი ზნე ხასიათი. ან კი, დაიცა გეთაყვანეთ, კაცებო, იმ გასათხოვარ ქალს რაღა ქალობა ეთქმის და ან როგორღა შეიყვარებს კაცი ენითგამოუთქმელად. თუკი გასათხოვარი ქალი კაცს ქალმის ჯღანივით არ დაჰხრუკავს თავგანაზების ცეცხლში და დანდობილა-მოწეულ პანტასავით დაეცემა შესაჭმელად! მაგრამ ესეც უთქვამთ: უავო, კარგი, ღმერთს არ გაუჩენიაო და კაცმა თუ დედაკაციდან მირგენილი ტანჯვა-წყენაც არ აიტანა, უდედაკაცოდ უფრო მეტად დაიტანჯებაო, და ჩვენს გიოსაც და სიკასაც მეტი რა ჩარა აქვთ, ვაჟკაცურად უნდა აიტანონ ქალებისაგან მორგენილი ტანჯვა-წყენა და ბოლოს ქალებისავე ხვევნა-კოცნა დაავიწყებთ ერთწუთში, რაც კი მთელ თავიანთ სიცოცხლეში ჭირ-ვარამი და ვაი-ვაგლახი უნახავთ, _ ეგრე არ არის, ანდრიავ?

_ ნამდვილია, ნამდვილი. ყოჩაღ, დიაკვანო, ყოჩაღ! პირფერობაში კი ნუ ჩამომართმევ და, ყველა შენი ჭკვა-მადლიანი სიტყვა გულსა და სულს მაჭარივით ეჭიდება და გონებას აფხიზლებს და ჰწურთნის კაი ოსტატივით, იმიტო, რო შენი ლაპარაკი მზესავით ცხადია, გაზაფხულივით ლამაზია და ია-ვარდივით საამებელია. ზოგიერთი ყბედი კაცი მოუღალავად ლაპარაკობს კაჭკაჭივით და თავი სოლომონ ბრძენი ჰგონია, მაგრამ იმისი უმადლო ცარიელი ყბედობა აგრე არ მიეცხება ადამიანის სულ-გულს, როგორც ქათამი ვერას იპოვნის დამპალ ბზე-ბუქში. მაშ, ალალი იყოს შენზე, დიაკვანო, დედის რძე და კოდის პური და არამი იყოს ორნივ ერთად ჩვენი ნუღნუღა მოძღვრისათვის, რო ოცდათვრამეტი წელიწადია ღვთის ენაპირი ხელში უჭირავს და ის ემაგრე ნათლად ასიათასჯერ გადაკითხულსაც ვერ წაგვიკითხავს.

_ ახლა მაგრე რო მაქებ დღეობაში გასაყიდად წაყვანილ ვირივით, ესაც გაიგე და: მინამ ენას ამოვიდგამდი და ლაპარაკს ვისწავლიდი, ყველას უყვარდი, ამოვიდგი ენა, ჩემო ანდრიავ, და გამიწყრა ღმერთი, ყველამ ჭირივით შემიჯავრა: სიმართლეს პირში რათ გვეუბნებიო. აბა ის არა სჯობდა, მუნჯი ვყოფილიყავ, მაშინ ხომ ყველას ათთუმნიან ასიგნაცივით შეუყვარდებოდი და იმთენ ფლავ-ბოზბაშს მაჭმევდნენ, რო ვინც წლით იზრდება, მე დღით გავიზრდებოდი!..

კიდევ ბევრი ილაპარაკეს და იოხუნჯეს მეურმეებმა და ვახშამ-შემდეგ ყველანი დაგლეჯილ ჩოხა-ფარაჯებში გახვეულნი ძილს მიეცნენ. დედამიწა ნაალად ჰქონდათ გაშლილი და ცა საბნად გადახურული. ნამძინარევ მეურმეთა გატანჯულ გულის სიღრმიდან ამონაწყვეტი გმინვა-კვნესა გამოისმოდა ღამის სიჩუმე-მყუდროებაში და აშკარად ეტყობოდა, რომ ის გულის ჭირისა და პასუხის ამომეტყველი მწარე გმინვა-კვნესა იყო გამრავალკეცებული წყევლა-კრულვა უცოდომადლო ქვეყნის უსამართლობისა, მხეცურის სიმუხთლე ღალატისა, შეუბრალებლობისა, დაუნდობლობისა, გაუტანლობისა, შურ-ღვარძლიანობისა, და გველურმტრობაშხამგესლიანობისა. ღმერთო უფალო! მიკვირს და გამკვირვებია: რით ვერ გაუქრო მხეცური თვისება-ბოროტებანი ადამიანთა გულს რამდენმამე ათასწლოვანმა სარწმუნოებამ, რჯულ-კანონმა, მეცნიერებამ და ხელოვნებამ, და მაშ სხვა რაღა უებარი წამალი უნდა იპოვოს კაცობრიობის სიბრძნე-მეცნიერებამ, რომ მთელის ქვეყნის ადამიანთა შორის გამეფდეს ღვთიური სიმართლე, კეთილი და სათნოება და აღარ იტანჯებოდნენ ადამიანნი ადამიანთაგანვე ქვეყნის

დასასრულამდე! ჰო, უკაცრაოდ, არ ეძინა გიოს და მის პირდაპირ მხართეძოზედ წამოწოლილს დიაკვანს. გაბადრული მთვარე მოკაშკაშებული ცის გუმბათისაკენ შემაღლებულიყო და ცხადად სჩანდა მისი ნათლით გაცისკროვნებული ყოველი საგანი და ადამიანის სახის მოძრაობა-გამომეტყველებაც კი.

_ მაინც რას გეუბნება? _ ეკითხებოდა გიოს მაჭრისაგან მსუბუქად შეზარხოშებული დიაკვანი.

_ მინამ ცამეტის წლისა არ გახდება, არ გავათხოვებო, მაგრამ ვიცი, რა ჯადობაზია: მე თავიდამ მისხლტუნებს და მიკიტანი სადიკო როა, იმას აძლევს დილიმზესო.

_ მოდი, ერთ რამეს გასწავლი, და თუ ჩემ გიჟ ჭკუას დაუჯერებ, შენი კოჭი ალჩუ დაჯდება. მიატანე კნიაზ გენოს, იმას ბევრი შენისთანასათვინ უშველნია, შენც თუ გიშველის, ის, და სხვა ვერავინ.

_ ის როგო მიშველის?

_ აიგრე გიშველის, რომ ჯერ შაჰჩივლე. ეგრეეგრე ვკვდები, აღარა ვარ ცოცხალი მავანი გოგოს სიყვარულით-თქო... დედა იმისი უარობს, არ მაძლევს, და თუ მიწამლებ რასმეს, ერთი წელიწადი შენი ყმა გავხდები: გინდა ზვარში მიმსახურე, თუნდა მინდორში-თქო.

_ მერე?

_ მერე რაღა, დაიბარებს თავის სახლში დილიმზეს დედას, ერთი თავისებურათ თოფის წამალივით იფეთქებს, და დაუბრახუნებს ი ფეხებს, დაუბრიალებს თვალებს და დაუჭყივლებს თითის ქნევით: ქალს და ჩემს მოჯამაგირე გიოს ერთმანეთი ჰყვარებიათ და რომელი კანონი-სტატიით სტანჯავ და არ აძლევ. მე გიბრძანებ, ეხლავ შეუდგე ქალის მომზადებას, რო ჯვარი დაიწერონ, თორე, ხომ იცი ჩემი ხასიათი: მამა არ წამიწყდება და დედაც არ მომიკვდება, აქვე გავაწეწვინებ ბიჭებს შენს თავს და იგრე აგაჭრელ-აგალილავებ მათრახით, რო შენი ცოდვით ქვეყანა იწოდესო; ამასაც არ გაკმარებ და მიწასთან გავანაცარმტვერებინებ შენ ავლადიდებასო და როცა ამ მამაოჩვენოსავით გაზეპირებულ რისხვა-წყრომას წაუკითხავს: მორჩომილი საქმეა. მაშინ თითონვე დაგიწყებს ხვეწნას: წამო, დაინიშნე ჩემს ქალზე და დამსხენ ჩვენი ბატონი გენოს რისხვა-მუქარას და იმის კაცების შინ და გარეთ აკლებასაო.

_ ბიჭოს! ეგ რა კაი ხერხია და! _ სიხარულის აღტაცებით წამოიძახა უცბათ გაცოცხლებულმა გიომ და ცოტას გასწყდა არ წამოხტა და არ აკოცა დიაკვანს.

_ კარგი ხერხია, მაშ! კნიაზ გენოს მაგიმეტები კი შაუძლიან! გოჭიკუდაანთ აბრიასაცა იმან არ შართო ი ანგელოზივით დახატული გოგონა, ციდამ მოწყვეტილი ცისკარივით რო ანათებს და ენთება, აი ეგეთი ჩირაღდანივით ქალი ხო ჩალფაჩუნე ფლასიან აბრიას იუბკის ნაგრეჯსაც არ მოუწიწკნიდა წამლად, მაგრამ აბრიამ უღელი ხარი იგეთი მისცა გენოს გასამრჯელოში, რო, აბა, რაღა გითხრა.

_ აი, ეკითხოს ქვეყნის ცოდვის მჭამელ გენოს, იმის ცოლ-შვილს ამ ქვეყანათაც და იმ ქვეყანათაც ღიპლიკაანთ ვანოს ცოდვა, პირველად ვანო იყო იმ ქალზე დანიშნულივით, რადგანაც გოგოსაც იგრე ძალიან უყვარდა თურმე, რო ეფიცებოდა: ჩემი სიცოცხლე, იმედი და სიხარული შენა ხარ და მე შენი სიღარიბე თავის დღეში ვერ შემაშინებსო, შენთან ჯოჯოხეთში ყოფნაც ჩემთვინ სამოთხე იქნება და სხვასთან სამოთხეში ყოფნაც კი _ ჯოჯოხეთი, და მე შენს გარდა ხელმწიფი შვილსაც არ გავყვები ცოლათო, მაგრამ ის არ იცოდა საწყალმა, რო

უკეთური დედ-მამა და ნათესავები ქალს საითაც უნდათ იქით გადიტრიალებენ თასმასავით და გადააგდებენ. როცა აბრიამ ვანოს გულის საყვარელი ხელიდამ გამოჰტაცა ძალიძალად დედ-მამა-ნათესავების უკეთურობით და გენოს ავკაცური დაქომაგებით, ვანომ ვეღარ გაუძლო გულის ნაღველს და თავი დაიხრჩო ალაზანში, ოჰ ღმერთო მაღალო! რა საცოდაობა იყო, როცა დამხრჩვალი ვანო ელდით გაგიჟებულ დედას ურმით მოუტანეს, ქვაც კი სკდებოდა და იმდუღრებოდა მაშინ და ცაც კი ტიროდა და ცხარე ცრემლის ღვართქაფი სდიოდა დედისერთა ვანოს სიბრალულით და იმის დედის ენით გამოუთქმელი საცოდაობით. ვანოს სიკვდილის მერმე ორჯერ მიატანეს აბრიას ცოლს, თავს იხრჩობდაო და ორჯერვე გადაარჩინეს, მაგრამ იგეთი სიჭლექე გაჰჩენია, რო დღეს თუ ხვალ ისიც თავის გულისაყვარელ ვანოს კვალს გაჰყვებაო.

_ რაც კი გენოს ოინები ჩაუდენია, ჩვენ იმთენი თავზე თმაც არ გვექნება, და დღეს ის ციმბირის იქით კიდე სამი თვის სავალზე უნდა იყოს გაცილებული, მაგრამ ე შვილოსა, უშიშარი კაცის თავზე ხელაღებულობას, ბედნას სიტყვას, თვალის ამბმელ პურმარილს და ყოვლის-შემძლე ასიგნაცებს რა არ შეჰძლებიათ ქვეყანაზე. რო იტყვიან: ერთი ჭირი ზოგჯერ მარგებელიც არიო, კაცმა სწორე უნდა თქვას. გენოს ცოდვასთან მადლის ქნაც შეუძლიან: ვანო თუ მოკლა, შენ კი გაგაცოცხლებს, თუ ჩემს ჭკვას დაუჯერებ. ერთი ი წისქვილის ყელში არ გამივლია, თორე სხვა ყველა მიცდია, ვიცი და ცუდს არას გირჩევ, იცოდე.

_ რას ამბობ, კაცო, მე მაგაზე უარს ვიტყვი რა! თუკი დილიმზეს ჩემსას გაჰხდის, ერთს კი არა, თუნდაც ოც წელიწადს ვეყმობი თავიან შვილებიანა და იმი სანთელ-საკმელად დავიწვები. მაგრამ ვაითუ ახლა ღვდელმა მაწვალოს და მაწამოს. მინამ ქალი ცამეტი წლისა არ შასრულდება, ჯვარს ვერ დავწერო, და ვაითუ ამასობაში მიკიტანმა სადიკომ დაძლიოს გენო ფულით და წამართვას დილიმზე.

_ ეჰ, საქმე გამოგლევნია და ჰლაპარაკობ. უჯვარწეროთაც წინ არავინ დაგიდგება ჩვენს გლეხობაში და სადაც მანათს ბელგას მისცემ, იმ ღამესვე გოგოს გვერდით მოგიგდებენ. ან ეს რა სათქმელია: ღვდელი ჯვარს არ დამწერსო, ფული თუ გექნება, ათი წლისაზედაც კი დაგწერენ ჯვარს. როცა გინდა, დიახ, ფული გქონდეს, თორე დღეში ათასი ყმის პატრონი იქნები!..

_ ეგაც კი მართალია, მაგრამ ერთხელ იცი რა თქვა, კაცო, ხალხში შალთაი-ბალთაიმ _ აგეი, ექიმმა კარაპეტამ, ყველა თორმეტ-ცამეტი წლის ქალი ვერ აიტანს ქმრიანობას, მალე დასნეულდება და მოკვდებაო: ეს ჯანაოზ ექიმის კარაბადინშიაცა ჰწერია, და ძალიან დიდ ცოდვასა ჰჩადიან ისინი, ვინც თორმეტ-ცამეტი წლის ქალებს ათხოვებენ და ისინიც, ვინც იგეთ პაწაწინებს ირთამენო.

_ გაიხანხლოს იქიდაამ! კარაბადინში სწერიაო! მოკვდებაო! იმისმა თავის ხეთქვამ!.. მაშ ეს რაღათ უთქვამ ჩვენს მამა-პაპას: გოგოს ქუდი ესროლე და ქუდმა თუ არ წააქცივა, დრო აქვს გათხოვებისაო. ქალი თუ ჩვიდმეტ-თვრამეტ წელიწადს გადაჰცილდება და ქმარი ვერ შაირთო, დაჭკნება, ჩამოფითრდება და ცეცხლწაკი-დებულ კაჭახუნივით გადაიწვება გულის სურვილებისაგან. დილიმზეს რო შეჰხედონ, თორმეტ-ცამეტისა კი არა, ივრის საზამთროსავით მომწიფებულ თექვსმეტი წლის ქალსა ჰგავ, და აბა, მოდი და ჩადგნენ იმის ცოდვაში და მწნილად დაამჟაონ იგეთი მთვარესავით გაბადრული და ალვის ხესავით ასული ვარდივით გოგო! მაგრამ ესაც კია: ბევრჯერ თითონ ქალებივე ამჟღავნებენ თავიანთ თავს უკადრისი ამპარტავნობით. ამპარტავანი მუცელი უჭმელობით კვდებაო.

_ აი ქრისტემ რა გიყოს, დიაკვანო, რო შენი კვილმიტი სიტყვა მკვდარსაც გააცინებს.

_ მა რა ვქნათ, ბიჭო, ზოგჯერ სიცილიც კარგია: ნაღვლიან გულს ამხიარულებს და ავადმყოფსაც ტკივილს უყუჩებს. არა, შენ ეს მითხარ, გიო, და ნუ დამიმალავ, თუ ღმერთი გწამს: იგრე უყვარხარ დილიმზეს, როგორც სიცხე პაპანაქებაში მუშას გრილი ნიავი და ახალ პატარძალს მზის ჩასვლა, თუ იგრე ეჯავრები, როგორც ურიას ღორის ხორცი და ჩვენს მედუქნე პოღოსას სწორე ნიტრა-საწყაო?

_ ეჰ, აბა რა ვიცი, კაცო, რა გითხრა, ქალის გულში ეშმაკი რო ჩაძვრეს, ისიც ვერ გაიგებს იმის ფიქრსაო, და მე რა შევატყო. ეს კი ვიცი, რო შველივით მიფრთხის, როცა დამინახავს და ჩემს შუამავალს კიდე სულ არას ეუბნება და ახლოს არ იკარებს ჩემგან გაგზავნილ საჩუქრებს.

_ ეგ არაფერი, შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ხშირად მწუხარე დასაწყისს მხიარული ბოლო აქვს. ქალის ენა ყოველთვის არას ამბობს, გული კი ჰოს... ქალმა რო არას თქმა არ იცოდეს და ქალი რო მშიშარა, მორცხვი და შველივით ფრთხილი არ იყოს, ოროველა კამეჩი იქნებოდა და ცალგროშათაც არ ეღირებოდა. ჰაი, შე დასაქცევო, გიო, შენ კი არ იქნები ქეიფში, როცა ი მთის ანკარა წყლის კალმახივით და შველივით ფრთხილ დილიმზეს ბროლის ყელ-გულ-მკერდზე გველივით მეეხვევი და იტყვი, თონემ ბამბიქულასავით თეთრი ლავაში ჩაიკრაო. იგრე მაგრა ჩაიკრავ და ფათალოსავით ჩაიწმახავ მა გულში ი ცისკარივით დახატულ გოგონას!.. მაშინ... მაშინ ხო შენ ამ ქვეყნისა აღარ იქნები და ცა-მზე-მთვარე-ვარსკვლავებსაც კი შენი ბედ-ყისმათი და ნეტარება შაჰშურდებათ!.. მე სუ გამომიცდია ესენი და გულით მინდა შენც მალე გამოსცადო, თორე რა ვიცი, ადამიანი უხანო ენძელაა და სიკვდილიც ყურს უკან გვიზის. ჰე! მეც კი ვიყავ, ბიჭო, ერთხელ ნეფიონი... რა ვარდ-ბულბულის და «ვეფხის ტყაოსნის» ენაზე არ ვეჭიკჭიკებოდი მაშინ ჩემს კალმით ნახატ უქრთამ უმზითვო პატარძალს: შენი ერთი შეხედვაც მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მირჩენია და შენ ტუჩთან ტუჩის შეწებება ზეციურ სამოთხეს-მეთქი! ჩემი მშვენიერი პატარძალი კი საამო იასავით თავჩახრილი იდგა და მორცხვობისაგან ათრთოლებული ბროლის თითებით შოლტივით ნაწნავების წვერებს იძენძავდა სულგანაბული, მაგრამ იმისი შავ-ბრიალა თვალები კი აშკარად მეუბნებოდა: მარტო შენ მიყვარხარ მთელს ცასა და ქვეყანაზე და სიკვდილამდისაც ვერ გავძღები შენი სიყვარულითო!..

დიაკვნის ამ სიტყვებზე გიოს საოცნებო სიამოვნების ღიმილი უთამაშებდა სახეზე და თვალები მორცხვად ეხრებოდა მიწისაკენ. კიდევ ბევრი ილაპარაკა და იოხუნჯა მაჭრით შეზარხოშებულმა, ენა მდიდარმა დიაკვანმა, ბოლოს უცბათ ხვრინვა ამოუშვა და ტკბილად განისვენა, როგორც დაჩაგრულ ერის დაკარგულმა დიდებამ... გიოს კი, ისე გათენდა, რომ თვალიც არ მოუხუჭავს, ღრმად ჩაფიქრებული ხან თავისს ჭკვაგონებას ელაპარაკებოდა გუნებაში: როგო მოვიქცე, ხან დილიმზეს ეხვეოდა ოცნებაში და ნაზად უკოცნიდა შავ-ბრიალა თვალებს და მარწყვივით ტუჩებს და ხან გულით ნატრობდა: მალე ენახა კნიაზ გენო და ეშველნა თავისთვის, თუკი ეშველებოდა რამე.

რეგვენაძეს ქვრივს გაიანეს ერთადერთი თორმეტის წლის გაიამზევარდებული ქალი ჰყავდა და იმაზე ამოსდიოდა და ჩასდიოდა მზე. ქალს მაიკო ერქვა სახელად, მაგრამ რადგანაც მისი ყოვლად სრულქმნილი საარაკო სილამაზე მზესაც კი თავმომწონედ ეუბნებოდა: შენ ჩადი და მე ვიმზევებო, ამისათვის დილიმზე (დილის მზე) დაარქვა სოფლის ხალხმა მეტსახელად.

როგორც ღამის პეპლები სანთელს მოუსვენრად ეტრფიან და ევლებიან თავგანწირვით, ისე ევლებოდნენ და ესიყვარულებოდნენ ლერწამ ტანის, მარწყვის ტუჩებიანს და შავ-ბრიალა თვალებიანს დილიმზეს ლამაზ-ლამაზი, სოფლის კოხტა, საცოლო ბიჭები, როდესაც კი ის სადმე დღეობა-წვეულებაში ან სათამაშოდ შეყრილ «ქალის ჯარში» გამოჩნდებოდა. აქ იგი ისე ერჩეოდა ქალებში, როგორც მთვარე ვარსკვლავებში, რის გამოც შურით იხოცებოდნენ და თვალის ეკლად მიაჩნდათ სოფლის ქალებს თავიანთ სილამაზის დამჩრდილავი დილიმზე.

დღეში ორი და სამი მაჭანკალი მისდიოდა დილიმზეს დედას, მაგრამ გაიანე ყველას უარს უთვლიდა და მრავალ მთხოვნელებში მიკიტანი სადიკო ჰყავდა ამორჩეული სასიძოდ..... მინდვრის ხალხი ძაღლუმადლო ცხოვრებით სულს ამოჰხდის და სადიკო კი შინ შაინახავს ჩემს სათუთად გაზრდილ, დედისერთა დილიმზესო, ამბობდა ხოლმე გაიანე თავისს მეზობლებთან და დიდის თავმოწონებით უმატებდა ამასაც: ღმერთო, ერთი მალე მოვიშორო, თორე აპალთია გამტაცებენ: ილაჯი გამიწყვიტეს, კარსა და ბანს აღარ მიგდებენ; დღეს ერთია და მაჭანკალი ათასიო.

გიო საბრალოშვილი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა დილიმზე, უსახლკარო გლეხი იყო და შორეულ ნათესავების გარდა სხვა არავინ გააჩნდა ქვეყანაზე. გიო ცხრა წლისა დარჩა, როდესაც სახადით ავადმყოფი დედ-მამა მოუვლელობა-უწამლობით დაეხოცა ერთს კვირაში და რაც კი რამ ებადათ, ქოხმახიან ნაბდი ფიჩვებიანათ მოვალეებმა გაუყიდეს. ცხრა წლის გიო ვიდრე ჩვიდმეტი წლისა გახდებოდა _ უსულღმერთოდ და საარაკოდ ნაბღარტ სარგებლის სარგებელში იმსახურა დიდღიპიანმა მელიქ გასპარიჩ მყვლეფავიანცმა, ბოლოს დააღწია თავი, როგორც იყო, და ხუთი წელიწადი აზნაურ ლელო ნიათგამქრალიძესთან იყო მოჯამაგირედ. ნიათგამქრალიძე გიოს ჯამაგირს არ აძლევდა: დაგეხარჯებაო, და ჩემთან კი, როგორც ბანკში, ისე შეგენახება, მინამ ცოლს შეირთამო. გიოსაც ჭკვაში მოსდიოდა ნიათგამქრალიძის მამა-შვილური რჩევა და ჰფიქრობდა: როცა ღვინოს გაჰყიდის, სუ ერთად გამოვართმევ, ერთ პატარა ქოხს გავიკეთებ, შევირთამ ცოლს და ჩემთვინ ვიცხოვრებ, ლამაზათო. მაგრამ დახეთ ბედუკუღმართობას:

ჯამჯიხვებით სმეულობის დროს თავად მფლანგავაძეს სახლში, სადაც თავი მოეყარათ საუკეთესო ყმაწვილკაცებს: მძინარაძეს, მცონარაძეს, ტრაბახაძეს, ბრიყვაძეს, გარყვნილაძეს, ამოსაგველიძეს, უმეცარიძეს, მჭადაძეს და სხვებს, ნიათგამქრალიძე ცუდ-უბრალოზე ხანჯლით მოჰკლა იასონ დამთხვეულიძემ და გიოს მთლად დაეკარგა ხუთის წლის ნამსახური, რადგანაც ნიათგამქრალიძემ თავის ქვრივ ობლებს ისეთი გამოფხეკილი ოჯახი დაუნარჩუნა საცხოვრებლად, რომ შინ კატა არას შეუჭამდათ და გარეთ ძაღლი. ნიათგამქრალიძეს თავის დასამარხადაც კი არა გააჩნდა რა, ერთის ცხენისა, ხმლისა და ხანჯლის გარდა; მართალია, ერთი ვენახიცა ჰქონდა, მაგრამ იმას ბანკი უყიდდა დღედღეზე.

ხუთის წლის ნაშრომის დაკარგვისაგან გულმოსული გიო რკინიგზაზე წავიდა სამუშაოდ, მაგრამ ვერ აიტანა სამშობლო სოფლის დაშორება, მალევე მობრუნდა თავის სოფელში და ერთ შეძლებულ გლეხკაცს დაუდგა მოჯამაგირედ. ამ ხანებში მეზობლად მყოფი დილიმზე შეუყვარდა გიოს, სანთელივით იწოდა მისის სიყვარულით, მაგრამ დედა არ აძლევდა, და ერთ დღეს გიო და მისი მაჭანკალი დედაკაცი ასე გამოლანძღა კიდეც:

_ ი მეხი და მედგარი კი ჩაგათხლიშეთ მა თავში შენცა და იმასაც. ი დამიფარე, უფალო, ნაცილისაგან, ან ეგეთი ცეცხლი იქნება, რო შავი ჭირივით გადამეკიდნენ

და აღარ მეხსნებიან! რატო თავს არ დამანებებთ ქა! რა გინდათ; დედავ და თვალო, რა?! შენ რაღამ შეგშალა და გადაგრივა, ადამიანო, რომ სახლსა და კარს აღარ მიგდებ. არა, ეხლა იგრე გავგიჟდები და გავტინგიცდები, რომ აი სხვათა ხელისშამყურებელ მოჯამაგირეს, უსახლკარო, შიშლიკანა და ტიტლიკანა ტაბარუკს აზიზმაზიზად გაზრდილი დედის ერთა მივცე?! მაშ! რაღა მინდა, ნეტავი კი ჩემ თვალებს! უი, უწინამც დღე გამიქრეს, მინამ მე იმას ქალი მივცე. თუნდაც რო ერთის ბადლად ექვსი დაყრუვმუნჯებული და მეჯებ დამტვრეული კუტები მეყაროს გაშავტყაჭებულ კერაჰთან!..

_ ვიშ! ვიშ! ვიშ!.. რა გვეშველება, ქა თეთრათ შენი სარეცხი! რას იპრანჭები და იგრიხები, ნეტავი მითხრა, რა ხარ, ხო მიწაზედაც ძლივ დაჰბაჯბაჯებ და ცაში საფრენათ ემზადები!.. არა, რომელი ხელმწიფის შვილი ირთავს შენ ქალს, რო თავის წონა ოქროთ ღირებულ ლომივით ვაჟკაც გიოს იწუნებ. აბა იმის წინ თქვი ემაგრე, შენ თუ კაი დედაკაცი ხარ-და! მაგრამ განა რო გეშინიან; გიო უშიშარი ვაჟკაცია. დაიცა, ქალბატონო, უსახლკაროაო, აგიტეხნია, რაც ქვეყანაზე სახლებია, სულ კაცებს არ აუშენებიათ, და გიო კი ვეღარ ააშენებს, ვაჟკაცი არალი?! ნათქვამია: ერთი კაი ვაჟკაცი მთელი ქვეყნის სიმდიდრესა ჰჯობიაო, იმიტო, რო სიმდიდრეც თითონვეა და ვაჟკაციცო. არა, რატო ღვთისა მაინც არ გეშინიან, თუ ქვეყნისა არა გრცხვენიან?! ნათქვამია: ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვაო, მოციქული ყეინთანაც მივაო, არას მამცემ, ყბასაც მამტეხო! _ ცერცვივით მიაყარა გაიანეს გიოს მაჭანკალმა და ეს იყო.

ამ ამბის შემდეგ ერთმა თვემ აღარც კი გაიარა, რო გიო დილიმზეზე დაინიშნა კნიაზ გენოს წყალობა-შემწეობით. როგორც დიაკვანმა ასწავლა ტყეში, გიო ისე მოიქცა. ერთ წელიწადს მუქთად დაუდგა ზვარში გენოს, რის გამოც გენომ რამდენჯერმე დაიბარა სახლში თავის ნაყმევი გაიანე, რომელიც ჯერ დიდ უარზე იდგა, მე გიოს ქალს არ მივცემ, თუნდ აქვე დამახრჩოთო, მაგრამ გენომ თავისებურად ცეცხლნავთი დაანთო თავზედ და მალე თავისი ნათქვამი ააცხადა.

გაიანეს შავი ჭირივით ეჯავრებოდა სიძე გიო, მაგრამ როდესაც გიომ ერთს დღეს თავისი კეთილის გულის ტკბილი ენა-პირით უამბო გაიანეს მთელი თავისს ობლობაში ნანახი ათასი გულსამწუხარო ჭირვარამი და ბოლოს ისიც, რომ მე თქვენს გარდა ქვეყანაზე ვინ მეყოლება, თქვენთვის თავს გადავდებ, ქვასაც კი ზეთს გამოვადენ და იგრე ფუფალასავით შაგინახავთ ორთავ დედა-შვილს, რო თქვენი და ჩემი მტრები შურით იხოცებოდნენ და მოკეთეები სიხარულით ცათა ფრინველს ეწეოდნენო, გაიანეს გულკეთილ გიოს ნაამბობ ობლობა უბედურობის სიბრალულით გული აუდუღდა, მდუღარე ცრემლები გადმოედინა თქრიალით, დიდხანს იქვითინა გულმწუხარედ და თავის ღვიძლს შვილ დილიმზეზედაც მეტად შეუყვარდა ის სიძე გიო, რომელიც რამდენსამე საათის წინ ენით გამოუთქმელად სძულდა და თვალის დასანახავად ეჯავრებოდა.

გიომ სიდედრის სახლში სიარული დაიწყო ღამ-ღამე, მაგრამ დილიმზეს საშინლად ეშინოდა გიოსი და ახლოც არ ეკარებოდა. როდესაც კი მძლავრის სიყვარულით მგზნებარე გიო თავის დანიშნულს უახლოვდებოდა საალერსოდ და სასიყვარულოდ, გაიავარდისფერებული დილიმზე ნიავ-ქარისაგან ათრთოლებულ ტირიფის ფოთოლივით ცახცახებდა, წითლდებოდა, ყვითლდებოდა ქალწულებრივის მორცხვობა-შიშით და მშველის ნუკრივით უსხლტებოდა განზე დამფრთხალი. ბევრს ევედრებოდა გიო მგზნებარე ვნებით აღსავსე, გატკბილნაზებულ საამო ხმაზედ, ნუ გეშინიან, ნუ მიფრთხი, ჩემო სიცოცხლევ,

დილიმზე! უმანკოა ჩემი სიყვარული, როგორც შენი ხელუხლებელი ძუძუ-კოკბები, მთის წყარო და ველის ნიავიო, მაგრამ დილიმზეს მაინც ეშინოდა და ახლო არ ეკარებოდა თავის დანიშნულს.

მართალია, ჯერ დილიმზეს ნორჩ უმწიფარს გულს გიოს სამიჯნურო სიყვარული არ შეეძლო, მაგრამ მაინც გიო არ ეჯავრებოდა და მოსწონდა კიდეც გუნებაში, როგორც კოხტა, ლამაზი და ბრგე, მამაცი ვაჟკაცი. დილიმზე ოთხსავე კუთხივ ჰხედავდა სოფელში თავისს მსგავსს მაგალითებს, რომ სხვებიც თორმეტ-ცამეტის წლისას ჰნიშნავდნენ და ათხოვებდნენ ლამაზ-ლამაზ სოფლის გოგონებს და ისიც სხვების მიხედულობით ემორჩილებოდა ბედს და თან ამ ფიქრით ინუგეშებდა თავს: ისინიც ხომ ჩემოდენები გათხოვდნენ, ალბათ იმათაც წინდაწინ ჩემსავით ეშინოდათ და მერმე შეეჩვივნენ თავიანთ ქმრებსო... და ამ ფიქრებთან ცხადად ახსენდებოდა ის დროც, როდესაც შვიდ-რვა წლის გოგო იყო, კუკაობას თამაშობდა, კუკის ნეფე-დედოფალს ერთად აწვენდა კუკების ქვეშაგებში, ნაკუწების პაწაწინა ტანისამოსსა ჰკერავდა თავის პაწაწინა თითებით და თან სიხარულით გაიძახოდა ზარივით წკრიალა ხმაზედ სოფლის გოგო ბიჭებში გაგონილს ამ ლექსს: დილილმე, დილილმე! ვარდი მოვიდაო, იას აკოცაო, იამ დაირცხვინაო, თავი ჩაღუნაო, ვარდი არა ეხსნაო, გულში ჩაიკრაო და აგრე უთხრაო: შენ ჩემი მზე ხარო, ჩემი სულის დგმაო!.. ქა, დედი, არ გეყურება! როცა ჩემი ნეფე-დედოფალი შვილებს დააჩენენ, აი ე ჭიჭრიკონა ზიზიებით უნდა მოვრთო ყმაწვილები, არა, დედილო? ძუძუც უნდა ვაწუო განა: არა, ქალილო? ჰო, შვილო, ჰო, იგრე უყავ, დედა გენაცვალოსო, უპასუხებდა ხოლმე დაჟინებული კითხვებით თავშებეზრებული დედა გაიანე.

_ წუხელაც იმ ღამინდელივით ქოხის კუთხეში იყო მიკუნჭული და იგრე გაათენა ჩაცმულმა, ბევრი ვეხვეწე და ვემუდარე: მოდი, დაიძინე, დილიმზე, არ შაგცივდეს, გენაცვალე, რისა გეშინიან, თითსაც არ დაგახლებ-მეთქი, მაგრამ გაჯიუტდა, გაჯიქდა და მე ის ვერ დავაწვინე ქვეშაგებში. ტირილ-კივილით იკლებდა იქაურობას, ერთი ხელი რომ მიმეხლო ხვეწნა-მუდარით: წამო, შენი ჭირიმე, დაიძინე-მეთქი, _ რაღაც ჯავრნაღვლიანის კილოთი უამბობდა ერთს დილას ქოხის დერეფანში გიო თავის სიდედრს, რომელსაც იმ ღამეს მეზობელ დედაბერთან ეძინა.

_ ვიშ, ნეტავი ემაგეთი სულწასულები კი არ იყვნეთ ე კაცები და მინამ ქალი თავის დანიშნულს არ შეეჩვევა, ოცი წლისაც რო იყოს, ქალი სუ ემაგეთი მშიშარაა. დაიცა, შვილო, გეთაყვანე, ნურც იმას აწამებ და ნურც შენ თავს. ემაგრე ასწრაფებით ქალს უფრო დააფრთხობ, გადაჰრევ და ავათ გაჰხდი ღამის მწარება-შიშისაგან, და რათა, რისთვინ, შენთვინ არ გინდა, არ გეცოდება? სხვისა ხო არალი! უი, მოუკვდეს დედა, როგო მენანება და მეცოდება, ამ დღეთ სუ მარგალიტის ცრემლები ჩამაჰდის ი დახატულ თვალებიდამ!.. შენი ჭირიმე, შვილო, აქამდინ მოგითმენია, ეხლაც მოითმინე: იარე, მაგრამ დააცადე. ერთ-ორ თვეს ნელ-ნელა შეგეჩვევა, მორცხვობა-შიშს გაიტეხინებს და მერე თითონვე მოვა ჭკვაზედა, მოიფიქრებს: ალბათ ღმერთს ეგრედ დაუწესებია ცოლ-ქმრობა და მე რიღასთვინ გავქირიანოფო, _ ასე ანუგეშებდა სიდედრი ძალზე გადარდიანებულ სიძეს, რომელსაც ეგონა, რომ დილიმზეს მიკიტანი სადიკო ეყვარებოდა და იმიტომ არ მეკარება და მტანჯავს მთელი ერთი თვეო.

გიომ სიდედრის რჩევას დაუჯერა. მართლაც, გაიარა ცოტა დრო-ხანმა და დილიმზე ნელ-ნელა შეეჩვია გიოს, რომელსაც თითქმის ყოველღამ «საკნატუნებელი ხმელი ხილი» მიჰქონდა თავის დანიშნულთან.

იმის შემდეგ, რაც დილიმზე გიოს შეეჩვია, ისე გაირბინა ნახევარმა წელიწადმა, რომ გიო ერთ ღამესაც არ დაჰკლებია. და გამუდმებით დაიარებოდა «თავის გულის სამოთხე» დილიმზესთან. ძალზე გაგიჟებით სწყუროდა გიოს დღისითაც სულ დილიმზეს გვერდით ყოფილიყო განუშორებლივ და დილიმზეს შავი, მაყვალივით თვალები და მარწყვის ტუჩები ეკოცნა ათასნაირის გატკბილნაზებულის საამო სიტყვების შესხმით, მაგრამ კნიაზ გენოსი ეშინოდა ეხათრებოდა.

გიოს და დილიმზეს დაახლოვებას ის მოჰყვა, რომ ყმაწვილმა ქალმა ზედაქვერად უქეიფობა-ხაზმუზიანობა დაიწყო, განთიადის მთვარესავით ფერნათელი დააკლდა, გამოელივა, გაიავარდისფერებული ქალი თანდათან ზეზეურ ჩამოყვითლდა, ჩამოდნა, ჩამოჭკნა, ძვალტყავად იქცა, გამუდმებული ცხელება, ხველება და მუხლების სისუსტე-სიდამბლე დასჩემდა. ბოლოს, შვიდის თვის შემდეგ, მოწყვეტილი ვარდივით დამჭკნარი, მთვარესავით დალეული და სანთლის ნამწვავივით ჩამქრალი თვალებით ჩალოგინდა კიდეც მძიმე ავადმყოფად. ზოგნი ამბობდნენ: ქმრიანობა არ მოუხდაო, და ბევრნი კი «ხატის მიზეზს» აბრალებდნენ. რაც კი კახეთ-ქიზიყში «სახელგანთქმული» მკითხავები მოიპოვებოდნენ, ყველასთან იყვნენ გიო და მისი სიდედრი. ზოგს ეთქვა: წამალი არა დაალევინოთ რა, ხატი იწყენს, თელეთის წმინდა გიორგი ალოცეთ და მორჩებაო, ზოგს ერჩივნა, გავაზის თეთრგიორგის ძროხის კურატი მიართვი და მაშინვე გაასაღებსო, და ვინ მოსთვლის, კიდევ რა არ ეთქვათ და ერჩივნათ, კუდბაწარა სათოკე მკითხავებს.

გიომ, რაც კი რამ ფული ებადა მოჯამაგირეობით ნაშოვნი, სულ მკითხავ-ქადაგებზე და იმათგან ნარჩევ შასაწირავებზე გადააგო, ბოლოს ყველის გუდასავით გატენილ თავიანთ სოფლის მამასახლისისაგან თუმანი თვეში ექვშაურ სარგებელით ისესხა, იყიდა ძროხაც და შეუთქვა კურატად გავაზის წმინდა გიორგის; დანიშნეს თელეთის წმინდა გიორგისათვის მისართმევად ქათმის მზვარებიც, შაუკერეს ავადმყოფს თეთრი მიტკლის კაბაც, დაალევინეს მკითხავ-ქადაგთა ნალოცი წყალიც, შეაბეს მაჯა ყელზე შანა ჯვრებიც, მაგრამ მაინც დილიმზეს არა ეშველა რა, დღითიდღე უფრო უკან-უკან მიდიოდა უწამლობით და მოუვლელობით.

_ აი შაგირცხვეთ ადამიანობა, რო ოცი წელიწადია სიმართლეს გასწავლით, ჭკუაზე გარიგებთ, ქრისტეს ნაბრძანებს გიქადაგებთ და, არ იქნა, მე თქვენ ვერ მოგარჯულეთ, მტრისა და მოყვრის ცნობა ვერ გასწავლეთ, კეთილისა და ბოროტის სიავკარგე ვერ შეგაგნებინეთ. ისიც კი არა გწამთ და გჯერათ, როდესაც გეუბნებით: ალაზანი თავდაღმა მიდის-მეთქი, ქვეყნის დამღუპავ მკითხავ-ქადაგებს კი ასე ადვილად უჯერებთ ყველას და აი თქვენი უმეცრებით სიკვდილის კარამდის მიგიყვანიათ საბრალო ვარდივით ქალი! _ ასე გულნატკენად უსაყვედურა მოძღვარმა სიძე-სიდედრს, როდესაც გონდაკარგული დილიმზე აზიარა და გაიგო: მკითხავს წამლის დალევა აეკრძალებინა დილიმზესათვის.

_ ზეციერო მამაო, შემიწყალე და მაცხონე, ეს რას მოვესწარი, რა ქვეყანა გახდა! სადღაა ხალხი, სადღა არიან მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, დღეს ყველანი კერპთაყვანისმცემელნი, არარჯულნი გამხდარან: მოძღვრისა და კეთილი კაცებისა

არა სწამთ რა, მკითხავ ქადაგებს და ათას ქვეყნის ჭამია სათოკე გაიძვერებს და სატანა-მაცდურებს უჯერებენ, იღუპებიან იმათგან, მაინც სიმართლისა არა სწამთ-რა, და კიდევ იმავე ქაჯეშმაკებს ასდევენ და უჯერებენ თავის დასაღუპად _ აი ჩვენი ბეჩავ-რეგვენი, ურწმუნო და საბრალო ხალხის ცოდნა და ცხოვრება!.. ერთი მურდალი თაგვი სამ საპანიან ქვევრს წაჰმურდლავსო, ერთი ქეციანი ცხვარი მთელ ფარას გააქეციანებსო. ერთი ცოფიანი ძაღლი მთელს სოფელს დასცოფავსო და ერთი კუდიანი ეშმაკი ქვეყანას გადაჰრევსო და, ღმერთო უფალო! ვინ მოსთვლის, რამდენი მურდალი თაგვი, რამდენი ქეციანი ცხვარი, რამდენი ცოფიანი ძაღლი და რამდენი კუდიანი ეშმაკი მოიპოვება ყველგან, საქართველოში ბეჩავ-უვიცის ხალხის დასაღუპად!.. ო, მეუფეო, ზეცათაო, შენ მოგვივლინე ყველგან მებრძოლი უკვდავი გმირები, რათა მათ მიწასთან გაასწორონ ავი-ბოროტი, მავნე-მაცდურნი სულნი და იხსნან ბეჩავი ხალხი ამ ქაჯეშმაკებისაგან, ვითარცა იხსენ შენ იონა წინასწარმეტყველი პირისაგან ვეშაპისა! _ შუბლშეჭმუხვნით მილაპარაკობდა სოფლის უკაცურ ვიწრო ორღობეში გაიანეს სახლიდამ მიმავალი მოხუცი მოძღვარი.

სიძე-სიდედრი განუშორებლივ ისხდნენ დილიმზეს გვერდით და მდუღარე ცრემლებად იღვრებოდნენ დღე და ღამ, მაგრამ ძალზე მიხრწნეულ დილიმზეს, რომელიც ჩამავალ მზის უკანასკნელ სხივივით ჰქრებოდა ამ ქვეყნიდამ, აღარ ესმოდა იმათი ენით გამოუთქმელი გულდათუთქული ქვითინი სისხლის ცრემლით ნამტირალი გულისა.

_ მაჰყავ, მაჰყავ! _ შემორბენის უმალვე შემოიძახა მეზობლის პატარა ბიჭმა.

დიაღ, მხოლოდ ეხლა მოჰყვანდათ მოძღვრის საყვედურის გამო დილიმზესთან ის ექიმი «შალთაი-ბალთაი», რომელიც პატარაობიდან თბილისში ექიმთან ყოფილა ბიჭად, მერე ქიზიყში მოსულა, და ბოლოს იქამდის მიუღწევია თავის ექიმობით, რომ დღეს იმ ექიმ-კარაპეტას ბანკში ათას თუმნამდის ფული აქვს, მისი უფროსი ვაჟიშვილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, უმცროსი ქალ-ვაჟი გიმნაზიაში და თითონაც ბატონურად ცხოვრობს თავის მეუღლე შუშანათი თავისავე საკუთარ, მშვენიერ ქვითკირის სახლში.

ექიმი კარაპეტა მეტისმეტად თავხედი, წინდაუხედავი, ღვინის მოყვარე და ყბედი კაცია და ამისათვის ხალხს «შალთაი-ბალთაი» დაურქმევია მისთვის მეტსახელად.

_ ეს არის ავანტყოფი? _ შემოსვლის უმალვე იკითხა ბრგე, წითლად ჩაჟინჟღილებულმა ექიმმა და დაუწყო მიხრწნეულ დილიმზეს მაჯის შინჯვა.

როდესაც კარაპეტამ დაწვრილებით გამოიკითხა ავადმყოფის ამბავი და გაიგო ყოველივე, საშინლად გაჯავრდა და დაიწყო ყვირილი:

_ ვა, რატომ გაათხოვეთ ასე პატარა.

_ რა ვქნათ, შენი ჭირიმე, კარაპეტ, ეგეთი ადათი და ჩვეულება გვაქვს სოფლის ხალხს და ეხლა ჩვენ ხო ვერ მოვშლით მამა-პაპის ადათს, _ ღრმა ამოოხვრით უთხრა თვალცრემლიანმა გაიანემ. _ რა ვქნათ, შენი ჭირიმე, კარაპეტ!...

_ ჯანაბა ქენით და ჯოჯოხეთი თქვენი თავისათვინ! თქვენი დამღუპავი ადათი ვერ მოგიშლიათ?! თავზე იმდენი თმა არც კი მექნება, რაც ჩემს ორმოცი წლის ექიმობაში ამნაირად, უდროვო ქმრიანობისაგან დასნეულებული პატარა ქორფა სოფლის ქალები მინახავს. იმათში ნახევარზე მეტი დახოცილა, და ვინც გადარჩენილა კიდენ _ და ვაი მისთანა გადარჩენას: კატიკნუტებივით დაღაცალებული ნაღიტა შვილები ჰყოლიათ და თითონაც სულ სნეულები

ყოფილან მთელ სიცოცხლეში. ამის მნახავი მე სულ ამას ვამბობ ხალხში: ჯანაოზ ექიმის კარაბადინშიაცა სწერია და მეც დამიჯერეთ: ნუ ათხოვებთ თორმეტ-ცამეტის წლის ქალებს, ცოდონი არიან, დასნეულდებიან და დაიხოცებიან-მეთქი. არ გესმით კარგი სიტყვა, აბა, მე რა გიშველოთ, თქვენი მოკლულები როგორღა გავაცოცხლო, ქრისტე ღმერთი ხომ არა ვარ!..

_ ი შენი კარგი ცოლ-შვილის ჭირიმე, კარაპეტ, უშველე, თუ ეშველება რამე ჩემს დედის ერთა დილიმზეს, ჩემი შავბნელი სიცოცხლის მზე-მთვარეს, სიხარულსა და ნუგეშს და გაგვიხადე ყმად! _ გულამდუღრებული ქვითინით ევედრებოდა გაიანე.

_ უშველე!.. ვა, ნარდი ხომ არ არის, რომ უწამლოდ ვუშველო, არ იცი, რომ ამნაირ მძიმე ავადმყოფს სულ, ისემე კარგი და კარგი ძვირფასი წამლები უნდა, რომ ეგები როგორმე გამოცოცხლდეს.

_ უნდა და ვიყიდით, შენი კვნესამე, და ჩვენც შენი ყმები გავხდებით. თაქ გვიშველე, რამე, კარაპეტ, ვიღუპებით! _ მდუღარე ცრემლთა დენით ეხვეწებოდა გიო.

_ ვიყიდით!.. უნდა იყიდოთ, მარა აქ თქვენს ლეღვებს ხომ არ ასხია წამლები, რომ იმათზე დაკრიფოთ. ვიყიდით კი არ უნდა გეთქვა. უნდა ასე გეკითხნა: ბატონო, კარაპეტ მინეიჩ რამთენი მანეთი წამალი მოგვინდება-თქო, და მეც გეტყოდი: სულ უკანასკნელად ერთი თუმანი მაინც უნდა მომცე ეხლავ, რომ აფთექიდამ საჭირო წამლები მოვატანინო და შინ კიდევ სხვა და სხვა ნაირი ჩემი წამლებით შევაზაო, როგორც უნდა-მეთქი.

კიდევ ბევრი იყბედა და იჯავრა შალთაი-ბალთაიმ თავისებურად, მერე გამოვიდა გაიანეს ქოხიდამ, ოცი წლის ჭაბუკის სიმარდით მოაჯდა თავის რაშივით ლურჯას, ოდნავ შემოჰკრა მარჯვენა ფეხის ქუსლი, ნიავქარივით გააქროლა გამალებულის იორღით და აღფრთოვანებულმა ამოიღიღინა გრძნობით სავსე ნელტკბილ ხმაზედ შემდეგი: «შენც ლამაზი, მეც ლამაზი, კეკელჯან! ტარანინა, რაჰნანინა, რაჰნინა»!..

აქიმის წასვლის უმალვე ბევრი იარა გიომ თუმნის საშოვნელად, მაგრამ არავინ ასესხა. ჩარაგაწყვეტილებმა იმავდღესვე მედუქნე გალუსტას ერთი ქვაბი, თოფი, საბანი და ჩოხა დაუგირავეს, ერთი თუმანი გამოართვეს თვეში ათ შაურ სარგებლით და მაშინვე შალთაი-ბალთაის წაუღეს სახლში, წამლებისათვის.

წმინდა გიორგის ტაძრის შემოდგომის ხასხასა მწვანით მოსილ ფერდობზე, რომელიც თავს დაჰყურებს სოფელ სააჯმეთს, შაოსანი ხალხი შეფენილიყო და შაოსნების წინ მიცვალებულს მიასვენებდნენ მძიმე-მძიმედ წითელი კუბოთი, რომლის აჭრელებულად მოვლებული ბუზმენტები ბზინვარე ოქროსავით ბრჭყვიალებდნენ შორიდამ მზის სხივებზედ და პატარა ზარის სამგლოვიარო ხმა შორით შორამდე გაისმოდა წმინდა გიორგის მთის კორწოხიდამ; ტიინ! ტინ! ტიინ!

_ კაცებო, აი მიცვალებული ვინ არი, ე? _ იკითხა სამიკიტნოს წინ თავმოყრილ ხალხში ერთმა ახლად მინდვრიდამ მოსულმა მეცხვარემ.

_ დილიმზე, _ უპასუხეს აქეთ იქიდამ.

_ დილიმზე?! ბიჭოს! რას ამბობთ. ე! მოკვდა, კაცო? ოვე, ოვე! აფსუს ქალო, ქვეყნის თვალო! ის ქალი კი არა, ლურჯი ციდამ მოწყვეტილი კაშკაშა დილის ცისკარი იყო, ცისკარი! ჰე, ჰე, აბა რა ვართ თვალგულგაუმაღარი ადამიანები, რისთვინა ვძულდებით ერთმანეთს და რატომ არ გვესმის: დღეს თუ ხვალ ჩვენც მიწა მტვრად ვიქცევით. ოხ! რა ქალი იყო, რა ქალი, მთის ვარდივით უყვაოდა ლოყები, ცეცხლივით უგიზგიზებდა თვალები და მარტო იმისი დანახვაც კი ერთ

სოფლადა ღირდა! თვალო, ნუ დაინახავ, და ყურო, ნუ გაიგონებ, როცა დილიმზეს კუბოს მიწას მიაყრიან და ქვა ბელტოები ჯოჯოხეთის რახრახს აუტეხავენ!..

_ ეჰ, სიკვდილი, შვილო, ღვთის ნება, ბედისწერას ვერავინ ვემალებით და ყველას დილიმზეს დღე მოგველის დღეს თუ ხვალ; ერთ დღეს გაჩენილები ერთ დღესვე დავიხოცებით და ყველა თავის სიმართლითა ვცხონდებით და საუკუნით წავწყმდებით ამ ქვეყნათაც და იმ ქვეყნათაც. მაგრამ ადამიანის შვილი სულისათვინ არასა ზრუნავს და თავის თავი უკვდავუბერებელი ჰგონია. შესაბრალისი დილიმზე კი არალი, ხალხო, იმან სიკვდილს თავის გადასახდელი ვალი გადაუხადა, მორჩა და მოისვენა საუკუნოდ. შესაბრალისი ეხლა გიოა: საწყალი, იმოდენა ურიის ვალ-ვახშში ჩავარდა, რომ მთელი თავის ძაღლუმადლო სიცოცხლეშიაც ვეღარ იკეთილებს, ვეღარ ამოვა და ვეღარ დაეხწევა ჯერ მარტო თავნის უსულღმერთოდ ნაბღარტ სარგებლის სარგებელსაც კი! _ სთქვა ერთმა წელში მოღუნულმა ბერიკაცმა მწუხარე სახის გამომეტყველებით და ღრმა ამოოხვრით დაუმატა შემდეგიც:

_ ჰეეეჰე! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, საწყალი კაცი რა გასაჩენი იყო, რო გაგიჩენია ე ქაჯ-ეშმაკების წყეულ-ჯოჯოხეთ ქვეყანაში!

_ მართალს ამბობ, მართალს, ნინიავ, მე და ჩემმა ღმერთმა! _ ერთხმად მისძახეს აქათ-იქიდამ გლეხ-კაცებმა და გააბეს ყატყატი ათას საჭირბოროტო სასოფლო საქმესა და ერთმანეთთან სადავიდარაბო შენ-ჩემობაზე.

1897 წ.

<u>მოგონება</u>

(ვუძღვნი ჩვენს პედაგოგს ი. ს. გოგებაშვილს)

მე და ჩემი კარის მეზობელი ვანიკო ერთად დავიარებოდით ჩვენის სოფლის სკოლაში, მე თერთმეტის წლისა ვიყავ მაშინ და ვანიკო კი სამის წლით დიდი იყო ჩემზე. გულწრფელად გვიყვარდა ერთმანეთი მე და ვანიკოს: ყოველთვის ერთად ვთამაშობდით სწავლის შემდეგ და ერთი თხილისგულიც რომ ეშოვნა ჩვენგანს, იმასაც კი ორად გავყოფდით ხოლმე ძმურად.

ვანიკო ტანმაღალი და პირხმელი ბიჭუკელა იყო, მაგრამ ისეთი მიმზიდველი სილამაზე ჰქონდა მის მოგრძო პირისახეს, რომ ერთის ნახვით შეგიყვარდებოდათ. ის რომ კაი მხატვარს კალმით ქაღალდზე გადაესარუთხატებინა და გენახათ, სწორედ ანგელოზისა გეგონებოდათ იმისი ჭკვიერი, უმანკო, დინჯი და მშვენიერი სახე. მისი დიდრონი, შავი, მელნის ტბასავით, ცქრიალა თვალები სიცოცხლის ცეცხლით გიზგიზებდნენ და მინაზებულად უმშვენებდნენ შუქიანს ცხვირ-პირს და ვარდისფერს ტუჩებს. გიშერივით შავი წარბები შავი გველებივით გადასწოლოდნენ მაღალ შუბლზე და მის ლამაზ ხუჭუჭს თმას უფრო ამშვენებდნენ და ალამაზებდნენ.

არც ჭკუითა და ხასიათებით იყო ვანიკო დასაწუნი. რაც კი კარგი რამ ყმაწვილის გონება-გულისათვის სანატრელია, ყველა ეს ვანიკოსათვის მიენიჭებინა უფალს. თავის ტოლ-ამხანაგებში ყველაზე მეტს ისა შრომობდა, ყველაზე მეტს ისა კითხულობდა, ყველაზე მეტი იმან იცოდა და ყველაზე მეტად ის უყვარდათ შინა-

ურსაც და გარეულსაც. რაც კი ქართულს ენაზედ ფარსაგი, საყმაწვილო და ხალხის გონებისათვის გასაგები წიგნები იყო, ყველა წაკითხული ჰქონდა ვანიკოს და კვირაობით უწიგნო მეზობლებსაც კი უკითხავდა ხოლმე კარგს წიგნებს, კეთილ-ცხოვრების მასწავლებლებისგან დაწერილებს. ვიც კი ვანიკოს იცნობდა, ყველა ამას ნატრობდა: ღმერთო, ვანიკო სწავლაში გაამარჯვე და ხელი მოუმართე; ეს იგეთი თავმდაბალი და გულკეთილი ბიჭია, რომ ქვეყნის სასარგებლო კაცი გამოვაო. მართლაცდა, ისეთი მშვიდი, თავაზიანი, უწყინარი, საწყლების შემბრალებელი და მოსიყვარულე იყო ვანიკო, რომ გულქვასაც კი შეუყვარდებოდა და კეთილს მოიწადინებდა იმისათვის.

მიიწურა ზამთარი და მოახლოვდა გაზაფხული. ვანიკო სამრევლო სკოლას ათავებდა იმ ხანებში და მომავალს შემოდგომაზე სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში აპირებდა შესვლას. მეც ამავე სასწავლებელში მიპირებდა მამაჩემი მიცემას. მეტად გვიხაროდა ეს მე და ვანიკოს და მოუთმენლად ველოდით შემოდგომას.

ერთს განთიადისას ჩვენის სოფლის მდინარის პირს ვისხედით მე და ვანიკო. ეს ის დრო იყო, როდესაც ზამთრის ძილისაგან ახლად გამოღვიძებული ნორჩი ბუნება ჯერ ისევ ახლად გულს იგაზაფხულებდა და მწვანე ბიბინა მთა-ბარი კოპწია პატარძალივით ირთვებოდა მრავალფერის ველის ყვავილებით. წყალში ნემს-კავები გვქონდა გადაყრილი. სულგანაბულები დავცქეროდით გველივით მოლივლივე ანკარა მდინარეს და გულის ფანცქალით მოველოდით: აი, ან ეხლა დავიჭერთ ჭიჭყინა თევზს და ან ეხლაო. ჩვენი მურიკა ძაღლიც კი ჩვენს გვერდით ესკუპა კუკივით სულგაკმენდილი, წეროსავით წაეგრძელებინა ყინწი და ისიც გაფაციცებით აცეცებდა თვალებს ნემსკავებისაკენ ყურებდაცქვეტილი. იქ, წყალგაღმა, მეორე სოფლიდამ საურმე გზა მიიკლაკნებოდა გველხოკერასავით მწვანე ველობიანზე და თავქვე მიიჭიმებოდა ტრიალ მინდორზე. ჩვენ გარშემო ყველა სდუმდა. არც ერთი სულდგმულის ჩამიჩუმი არ ისმოდა. ყველას დილის ტკბილი ძილი მოჰრეოდა და ხმა გაეკმინდა. ხმაგაკმენდილს ბუნებაში, მხოლოდ შარაგზაზედ ერთი მძიმედ დატვირთული ურემი მოჭრიალებდა მინდვრიდამ და ტკბილად ღუღუნებდა მეურმე ამ სიტყვებს: «ვიჯექ და ცრემლი მდიოდა ერთ მთის ძირს შამბნარწყლიანსა, ვწყევლიდი წუთისოფელსა, ცრუსა და ღალატიანსა: ცილსა მწამებდნენ მართალსა, დღეს მიშხამავდნენ მზიანსა, ქვითინით ვთხოვდი შველასა იესო სამართლიანსა».

მოახლოვდა გათენება და შეიჩმუჩნა ქვეყანა. ააახ, ღმერთო, რა სამოთხის განთიადი იყო! სამზეური ცეცხლის ალივით კაშკაშებდა კავკასიის მოლურჯო მთის მწვერვალებზე დაბჯენილს კამკამა ცაზე და საამურად ალაპლაპებდა ჩვენ წინ მოდუდუნე გავარდისფერებულს ანკარა მდინარეს. დილის ცისკარი ობლად გამოიჭვრიტებოდა სარკესავით მოკაშკაშებულ ციდამ და მისი ბრჭყვიალა ოქროს სხივები ნაზად დასციმციმებდნენ ბროლის ცვარმარგალიტებით აკუნწლულს ია-ვარდებს. ნამგალივით მილეულს მთვარეს უბედო ქალწულივით ფერი გამოჰლეოდა და გალაჟვარდებულ მთის წვერს ამოჰფარებოდა გაწბილებული. დილის ნამით ნამტირალს ბუჩქნარებს ნელი ნიავქარი აშრიალებდა ოდნავ და სანატრელად უკმევდა ქვეყანას მათის ნორჩის ყვავილების სურნელებას. ცხვარ-ბატკნის ფარები მზისგან აჭრელებულ თოვლივით მოჰფენოდა აქა-იქა ალაზნის მწვანე ველობიანის ფერდობებს და სანდომიანად იცოხნებოდნენ წოლელა. მამლები თავმომწონედ ყიოდნენ და ყივილით აღვიძებდნენ ოფლის საღვრელად

ტკბილად მიძინებულ შრომისშვილებს. დაუკრა ჩვენი სოფლის მნათემაც ცისკრის ზარი. ზარის უხილავად მიმომფრინავმა წკარაწკურმა ყველას ძილი დაუფრთხო მიყრუებულს მთა-ბარში და გათენების სიხარულმა გულის საამოდ ააფრთხიალა ფრინველები მაღლის ხის კენწეროებზე. სწორედ ამ დროს სიმღერის ხმა შემოგვესმა და მე და ვანიკო სმენად გადავიქეცით. ცოტა ხანიც და ჩვენ გასწვრივ ასე მღეროდნენ მინდვრისაკენ მიმავალი ქრისტეღმერთის მუშები:

ლამაზო, ჩვენო სამოთხე,
ნაქარგო ყვავილებითა,
შემკულო ჭალა-მინდვრებით,
მორთულო დიდის მთებითა,
მოგეზრდებიან ლომ-გმირნი,
მგლებს ამოჰჟლეტენ ხმლებითა.
მგლებს ამოჰჟლეტენ ხმლებითა
და მაშინ მაღლა ღმერთიც კი
შენ მოგიხსენებს ქებითა!

ისეთის ჭექა-ქუხილის ხმაზედ მღეროდნენ ამას, რომ მათის გმირულის სიმღერის ზარი მაღლა ცასა სწვდებოდა და ძირს დედამიწას აყრუებდა. გაგვშორდნენ შორს მანძილზედ, მიგვეფარნენ თვალიდამ და მისწყდა აყვავებულს მთა-ბარში მათის სიმღერის გუგუნიც. ვანიკო რაღაცაზე ჩაფიქრდა უცბად და დიდხანს იჯდა ისე უძრავად ფიქრში გართული. ბოლოს ჩიტივით წამოფრინდა ზეზე, რაღაც სიამოვნების ცეცხლით თვალებანთებული, წარბშეკრული დამაცქერდა თვალებში და მითხრა: ჩვენის ხალხის ხმატკბილი და გულსევდიანი სიმღერა ტირიფივით ამათრთოლებს ხოლმე ცრემლმორეულს და მაშინვე ამას მაფიქრებინებს გუნებაში: ღმერთო, მომეცი ნიჭი და სწავლა, რომ ჩემის ქვეყნის ჭირით და ლხინით ავინთო გული, აღვიძრა პირი და მთელს ქვეყანას ვუამბო კალმით ხალხის ნაღველი და გასაჭირი! დიაღ, უნდა ვისწავლო, ვისწავლო ძირიანფესვიანად ჩვენის ხალხის მდიდარი, ტკბილი და ლამაზი ენა, გავიზრდები, დიდი ბრძენიკაცების სიბრძნესაც შევისწავლი გულის ყურიანი სიბეჯითით, მერე მეც წერას დავიწყებ ჟურნალ-გაზეთებში და სახელოვანი მწერალი გავხდებიო. მეც! მეც! მეც მაგრე ვიზამ-მეთქი», მკვახედ მივაძახე ვანიკოს ნაცარქექიული სიამაყით და ფიცხლავ ფეხზე წამოვხტი მამლაყინწასავით თავმოწონებული, «კარგიო,» _ მითხრა ვანომ დაცინვის კილო-ღიმილით, _ გინდა ამ დღეებშივე გამოვცადოთ ჩვენის გონების ძალ-ღონეო. აი თუნდა ჩვენი სოფლის განთიადის სურათი ავწეროთ ლექსით, წავუკითხოთ დღეისწორს ჩვენს ამხანაგ-სკოლელებს, და თუ შენი ლექსი ამჯობინებს ჩემსას, მაშინ შენ გამიჭახუნე ერთი სილა, თუ არა და, მე გაგაწნავ. ყაბულსა ხარ, თუ არაო?» «ყაბულსა ვარ-მეთქი», და ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი პირობის ასასრულებლად, ეს იყო კიდეც, ჩვენს გასწვრივ მაღალის კაკლის წვერხმელ კენწეროს შავოსანი ყორანი მოაჯდა და აბულბულდა თავისებურად. ვანიკომ ზიზღით წარმოსთქვა ყორანის დანახვაზეL ი შენი გაჩენის საათი კი დაიქცესო და შემდეგი ლექსი დასწერა იქვე ყარანდაშით:

დადეგ, ნუ სჩხავი, ყორანო,
შენ ვერ დაგვიტკბობ სმენასა,
ნუ აჰყოლიხარ წუთიერს

თავისა გამოჩენასა:
ვერ იბულბულებს ჩიორა,
ვერ გამოიცვლის ენასა,
ყველა კაცს იგი დაჰყვება,
რაც მიუცია ზენასა.

დადგა სწორი და გათენდა ჩვენი ლექსების წაკითხვის დღეც. სწავლის შემდეგ მთელმა შაგირდებმა სკოლის ახლოს, კაკლის ჩრდილში მწვანეზე მოვიყარეთ თავი. ყველამ იცოდა, რომ მე და ვანიკოს ლექსები უნდა წაგვეკითა იმათთვის და იმათგან სამართალი მიგვეღო. ვყარეთ წილი და ვანიკოს ერგო პირველად წაკითხვა. ჩვენ ყველანი ერთად შევიჯგუფენით, ვანიკო პირისპირ დაგვიდგა, დინჯად ამოიღო ჯიბიდან თავისი ლექსი და გარკვეულად წაგვიკითხა საამურის ხმით.

გაათავა ვანიკომ თავისი ლექსი. გარდა ხუთიოდე შეგირდისა, ყველამ აღტაცებით ტაში დაუკრა ვანიკოს და ყველანი ბარაქალას უძახდნენ ჟივილ-ხივილით. მერე შემოეხვივნენ მორცხვობისაგან ყაყაჩოსავით წამოწითლებულ ვანიკოს და გულით ულოცავდნენ პოეტობას ლამაზ-ლამაზის სიტყვებით. მე ამ დროს გუნება მეცვალა, ვანიკოს გამარჯვებამ შური დამიბადა გულში, ჩემის დამარცხების მოლოდინში შიშით გული ამიბაგიბუგა და მწყერჩიტასავით ამაკანკალა ფერწასული. «სუუუ, ყორის გველივით გაისისინა ვიღაცამ ძალზე და ყველამ სული გაინაბა. შექუჩდით! შექუჩდით და გაჩუმდითო, ყვიროდა ერთი სკოლელთაგანი. აბა, ტიტო, ეხლა შენი ჯერიაო, მომაძახეს აქეთ-იქიდამ, როცა ყველანი ერთად შევიკრიბენით. მეტი რა ჩარა მქონდა. გამოვცალკევდი შაგირდების ჯგუფიდან დამარცხების ეჭვით გულანაძგერი, ამოვიღე ხელის ცახცახით ჩემი უბედური ლექსი და ავბულბულდი, მაგრამ ვაი, შერცხვენილო თავო! ბოლომდის არც კი წამაკითხეს, დამიწყეს სიცილი და ამიგდეს მასხრად: დამიშტვინეს, ამიყმუვლეს, დამიღმუვლეს და გიჟი მოზვერივით ამრივეს და გადამრივეს დავთრებდაკარგული.

ღმერთო! რა არ დამარქვეს და რას არ მეძახდნენ მასხარობით. თავის მეტი ნურა მოგიკვდეს რა, ტიტო, თავის მეტი, რო ვეღარ მოჯღაბნოს ემაგეთი წყალწასაღები აჭიაბაჭია შენმა უნდილმა გოგრამო. ნუ მიჰქარავთო! _ ეწინააღმდეგებოდნენ ხუთიოდენი, _ ტიტოს ლექსი ათასწილად სჯობია ვანიკოს ლექსსაო. და ამასაც მარტო ის ნამუსგაწყვეტილი ლაქუცანა-გაიძვერანი გაიძახოდნენ, ვისაც ვანიკოს ჯავრი სჭირდა და ჩემი პურ-მარილი ყელში ამოსდიოდა, თორემ სხვა ვინ იტყოდა ამას რიგიანი, როდესაც ჩემი ლექსი მართლაც წყალწასაღები აჭიაბაჭია იყო.

იმაში არ მოიპოვებოდა არც საღი აზრი, არც ბუნების ნამდვილი სურათი და არც ენის სიკეკლუცე. მე შურის ბრაზით ვწითლდებოდი და ვყვითლდებოდი, რატო ჩემი ლექსი არა სჯობია ვანიკოს ლექსსა-მეთქი, მაგრამ ვცდილობდი კი, რომ არც ვანიკოს და არც შაგირდებს არ შეემჩნივათ ჩემთვის ჩემი შურიანის გულის სიავკაცე. გაარტყი! გაარტყი, გაულაწუნე სილა მა უნიჭო ქაღალდიჩხაპიასო, _ უყვიროდნენ ვანიკოს აქეთ-იქიდამ, მაგრამ წინდახედულმა ვანიკომ კარგად იცოდა, რომ სილაქის გარტყმა მეორე თავზე ლაფის დასხმა იქნებოდა ჩემთვის და აღარ გამარტყა სიბრალულის გამო.

ვანიკოს ლექსი იმ დღესვე გადიწერეს სკოლელებმა, ბევრმა ზეპირადაც დაისწავლა და მღეროდნენ კიდეც შემდეგში.

მიდიოდა დღეები, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვიკალ გულში წყეული შური. თუმცა კი მეორე გული ყოველთვის ჩამჩიჩინებდა: ფუ! შეგირცხვეს ბიჭობა! შენ რო კაი კაცი იყო, აღარც ვანიკოს კარგი შეგშურდებოდაო. კარგია კიდევ, რომ ვანიკო გულმართალი და თავმდაბალი ყმაწვილი იყო, თორემ სრლიად შევიზიზღებდი და მტრადაც გადავექცეოდი, იქამდის გამაბრაზ-გამაშურიანა მისმა სათვალჩინო გამარჯვებამ და ჩემმა სამარცხვინო დამარცხებამ. ღმერთო! სადამდის მიიყვანს ხოლმე ადამინს გონების სიბნელე! ჩემის პირველის ლექსის დაწერის უმალვე სტვირის გუდასავით გავიბერე და იგეთ დიდ მელექსე-პოეტად მიმაჩნდა თავი, რომ ვფიქრობდი: ჩემი ცალი და ბადალი მწერალი მთელ დედამიწაზე არ იქნება-მეთქი!.. ბოლოს კი, როდესაც ჩემს გონების სიბნელეს სწავლის ნათელი შეეპარა და ჭკვაში ჩავვარდი, აშკარად დავრწმუნდი, რომ ტყუილად მიმაჩნდა ჩემი უნიჭო თავი დიდ რაღაცად. ის იყო და ის: გაჰქრა ჩემს გულში ღვთისაგან წყეული შური და უფრო მეტად შემიყვარდა ნიჭიერი, თავდაბალი და გულკეთილი ვანიკო.

ვანიკომ გამარჯვების შემდეგ, ოთხიოდე სხვა სახალხო ლექსიც დაწერა წმინდა ხალხურის ენით. ხალხმა მაშინვე იცნო იმის გრძნობით სავსე ლექსებში თავის სული და გული და ყველამ ზეპირად დაისწავლა მისი უკვდავი სიტყვები გულისთქმის გამოსათქმელად და მომავალის თაობისათვის გადასაცემად. ათასი ლესსინგები და ბელინსსკებიც რომ გვყოლოდნენ, ისინიც კი ვერ დაასურათხატებდნენ ვანიკოს ლექსების ღირსებას ისე მოკლედ და ზედგამოჭრით, როგორც ჩვენის სახელოვანის პოეტის აი ამ პაწია სიტყვას შეუძლიან: სიტყვა აზრს თანხმობს, აზრი ლექსწყობას, ყველა კი ერთად _ სულსა და გულსა, და წამკთხველი დამწერს უჯერებს, ვით წინამორბედს და მოციქულსა». დიახ, «მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰშობს, ესე ბრძენთაგან თქმულია».

ვინ იცის, საქართველოს რომელ კუთხეში მღერიან და ღიღინებენ ეხლა ვანიკოს გრძნობით სავსე ლექსებს, მაგრამ ის კი რა იციან, თუ პირველად ვისმა ენა-პირმა გამოთქვა გულიდამ ის გულის სიტყვები, ან ეს ვინ იცის, რა დაუფასებელის ჭკვა-ხასიათების პატრონი იყო მათი გამომთქმელი ვანიკო, რომელიც ცხადად გრძნობდა თავისაგან ნავარჯიშ გონების წინ მსვლელობას. თავს ნიჭს, თავის სახელოვანს მომავალს, მაგრამ ვერც ამ გარემოებამ დაატყო მისს თავაზიანს გულს ის მედიდურობის დაღი, რომელიც ყველა განუვითარებელს, გონებით ბრმას, ყველა უნიჭო მჩხავანას, ყველა ჭკუამოკლე და დღემოკლე ქაღალდიჩხაპიას ზედ შუბლზე და ენისწვერზე აზის ბებიას მეჭეჭივით. აი ეს იყო კიდეც უმთავრესი მიზეზი, რომ ყველაზედ მეტად ნიჭიანი, ხათრიანი და ქედმდაბალი ვანიკო უყვარდათ ტოლამხანებს და ყველაზე მეტად იმას აყენებდნენ წინ.

დიაღ, ამაოა, ოდეს ქედმდაბლობს კაცი, ჭკვით ძალგულოვანი, და
საზიზღარ არს გოროზი, სიტყვით ბრგე, საქმით მკვდოვანი.
მაგრამ დროსაგან შობილსა, დროვე მოუღებს ბოლოსა:
ყანა პურს ბინას უშოვნის, თოვლქვეშ დაალბობს ღოლოსა.

დიდმარხვის დიდხუთშაბათის განთიადისას ცისკრის ლოცვაზედ ვიდექით სხვებთან ერთად მე და ვანიკოც. ლოცვა ახლად იყო დაწყობილი, როდესაც ჩვენი კოჭლი მნათე შემოვარდა და დაიძახა: უშველეთ, ქრისტიანებო, ნარუსალის* სახლი იწვებაო. მღვდლისა და დიაკვნის გარდა, ყველანი გარეთ გამოცვივდნენ, ვისაც კი მკლავ-მუხლში ჯანი მოსდევდა, და სირბილით მოკურცხლეს ცეცხლით

აბილბილებულ სახლისაკენ. მეც მივრბოდი სხვებთან ერთად, მივრბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, მაგრამ ვანიკომ ყველას გაგვასწრო სირბილში, თავისზე უფროსებსაც და უმცროსებსაც. ელვად ნაქცევი ვანიკო მეხივით ეცა ნარუსალის სახლს, უცბად შელეწა წიხლით ცეცხლით აპილპილებულის ქოხის კარები, თავგანწირული შევარდა ლომივით და სწრაფად გამოარბენინა აკვანში მწოლიარე ძუძუთა ყმაწვილი. მას უკან გამოედევნა თეთრის საცვლების ანაბარა თავზარდაცემული ნარუსალის ახლად დანიშნული და, მშვენიერი ზენო, რომელიც ვანიკოს დაეფეთიანებინა ერთის შეკივლებით.

ვანიკომ გამოარბენინა თუ არა აკვნით ძუძუმწოვარა ბალღი, ყველამ შენიშნა, რომ თავში კავის ნამწვი დასცემოდა და თქრიალით ჩამოსდიოდა სისხლი მარჯვენა ყურს უკან, მაგრამ ის ისე გაეტაცნა თავის ჭაბუკის გულის გმირობას, რომ მინამ არ მისცვივდნენ და არ შეუხვიეს თავი, მინამ ვერა გაიგო რა, ყველანი ჰლოცავდნენ ვანიკოს აქეთ-იქიდამ და ეუბნებოდნენ: ალალი იყოს შენზეო დედის ძუძუ, როგორც შენ ორი სული გააგდებინე სიკვდილს პირიდამო. ვანიკოს გულს უხარებდა თავისაგან მონაქმედი კეთილი, ერთ ბეწვადაც არ იტყობდა თავის მძიმე ჭრილობას და ციბრუტივით ურბენდა ზრუნვიანის სახით ნარუსალის ქოხს გარშემო, რომელსაც ზოგნი კოკებითა და სურა-ნიტრებით წყალს ასხავდნენ შორიახლოდამ და ზოგნიც შიგ შევარდნას ლამობდნენ ბარგის გამოსატანად, მაგრამ გვიანღა იყო: ქოხის ჭერი ძირს ჩამოწვა ცეცხლისაგან და ისე დაჰფარა მთელი ქოხი გამძლავრებულმა ალმა, რომ ვეღარც კი არჩევდა ადამიანის თვალი, რას ედებოდა ის საზარელი ცეცხლი, რომლის ძალუმი ალი და მძლავრი ჭახაჭუხი მთელს სოფელს ანათებდა და ახმაურებდა დილაბნელზე. კარგია კიდევ, რომ ნარუსალის ქოხი ცოტა განმარტოებით იდგა სერზე, თორემ, თქვენი მტერი, მთელი სოფელი გადიბუგებოდა და დაიღუპებოდა.

მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი და ბევრსა ცდილობდნენ, ჩაექროთ ცეცხლი, მაგრამ აპილპილებულ ჩალურს ვეღარა უშველეს რა და სულ ერთიანად ჩაიბუგა ავეჯეულობით. როცა მნათემ დაიძახა ეკლესიაში: ნარუსალის სახლი იწვებაო, მაშინ ნარუსალის ცოლი თეონაც იქ იყო. თეონა თავზარდაცემული გამოვარდა საყდრიდამ და, რა დაინახა, რომ მართლა იმათს სახლს ცეცხლი ედებოდა, ერთი კი შეჰკივლა გულსაკლავად, იქვე წაბარბაცდა და გული შეუღონდა: თეონას დედაკაცები შემოეხვივნენ წივილ-კივილით და წყალი! წყალი! გვიშველეეეთ! _ იძახდნენ.

ორ საათს შემდეგ გაშლილი ხალხი დომხალივით აირივ-დაირივა და ფუტკარივით შეიკუმშა ჩამწვარი ქოხის ახლოს. «მეწყინა თქვენი დაღუპვა, ვაი, თქვე საწყლებო, ე რა უბედურება შეგემთხვათ და ე რა შავი დღე გაგითენდათ», გაიძახოდნენ აქეთ-იქიდამ გულშემატკივრის ხმით. მე, ცნობისმოყვარეობით გატაცებული, ფეიქრის მაქოსავით წავერივე ციხესავით შემორტყმულ ხალხის შუაგულში და გულდამთუთქი სურათი მოვიხილე: თეონა და იმისი მული ზენო ლოყებდაფათრულები და თმაგაწეწილები ისხდნენ მიწაზე აკვანში მწოლიარე ატირებულ ძუძუთა ყმაწვილის გვერდით და გულს იკლავდნენ ტირილით და თმებს იგლეჯდნენ მეტისმეტი მწუხარებით არაქათგამოლეულები.

თვალცრემლიანი ხალხი მამაშვილურად ანუგეშებდა ცეცხლით დაღუპულებს: ნუ ჰსტირით, ღმერთი მოწყალეა და სოფელი ღონიერია; ჩვენ შეგეწევით და ჩვენვე მოგწმენდავთ მწუხარების ცრემლებს ჩვენს ძმასა და მეზობლებასაო, მაგრამ თეონა და ზენო ყურს არავის უგდებდნენ, მწარედ ტიროდნენ და თავში იცემდნენ დიდის

უბედურებით თავზარდაცემულნი. ან კი ვისი ყურის გდებისაღა სცხელოდათ საცოდავებს, როდესაც მთლად ცეცხლის ალმა შთანთქა და დაანაცრა საუკუნოდ მთელი მათი ავლადიდება, რაღა სიცოცხლე იყო იმათი სიცოცხლე: აღარ მოეპოებოდათ აღარც თავშესაფარი სახლ-კარი, აღარც თავიანთ სიცოცხლეში წვითა და დაგვით ნაშოვნი ბარგი-ბარხანა და აღარც ერთი უკანასკნელი ნაბდის ძველა, რომ აკვნიდამ წამოყენებული ძუძუთა ბალღი მაინც დაესვენებინათ იმაზე. ო, ღმერთო, ღმერთო! განა იმაზე მეტი უბედურება კიდევ იქნება ქვეყანაზე, როდესაც მეხივით ამძლავრებული ცეცხლი ისე დაუბუგავს ადამიანს ქონებას და ვაი-ვაგლახით გაკეთებულს და მოპოვებულს ათასს რასმე, რომ იმის ნამწვავს ნაცარსაც კი ვეღარ იცნობს.

იქ იყო ჩვენის სოფლის მოხუცი მამასახლისი აბრამიც, კაცი ჭკვიანი, ღვთიანი, ყველასაგან შეყვარებული და პატივცემული. აი ამ აბრამის ერთადერთი შვილი გახლდათ ჩემი ამხანაგი ვანიკო. გულჩვილს აბრამს ცხარე მდუღარება ჩამოსდიოდა ჭაღარაზე თეონასა და ზენოს სიბრალულით გამწარებულს და ლურჯის ხელსახოცით იხოცდა გულის ცრემლებს გულანატირი. ბოლოს აბრამმა ხელი გადაჰხვია თავისს დედისერთა ვანიკოს და ასე უთხრა ცეცხლით დაზიანებულებს: ნუ სტირით, შვილებო, ნუ! ღმერთი თავის გაჩენილს არ დაკარგავს. აი ამ ჩემმა პატარა ვანიკომ ორი სული დაიხსნა სიკვდილიდამ, და იგრე რა ღმერთი გაგვიწყრება მთელ სოფელს, რომ ჩვენ გაჭირვებიდამ ვერ გამოგიხსნათ. რათ გვინდა თავი ცოცხალი, თუ კი ერთმანეთის სიყვარული და შებრალება არ გვექნება, მაშინ ხომ აღარც ღმერთი და ჩვენი სინდისი შეგვიბრალებს ჩვენ და სულიან-ხორციანად დაგვტანჯავს ორთავ-სოფლად. არა, ჩემო შვილებო, ჩვენც კაცებს გვეძახიან და ქუდი გვხურავს, ჩვენც ქრისტიანები ვართ და არც გული გვაქვს ქვისა. აიმ დილის გაკაშკაშებულ სამზეურთან მოახლოვებულის მზის მადლიც ნუ გაგიწყრეთ და ნუ გაგვიწყრეს, რომ თქვენი შავი დღე და მწუხარება ჩვენი შავი დღე და მწუხარებაა. აი, ეს არის კიდეც საბაბი, რომ თქვენს მდუღარებას მთელი აქ მყოფი ხალხის ცრემლებიც ზედ ეღვრება მწუხარებით და ერთად ქვითინებენ ერთის ნაღველით გამსჭვალულნი. ღმრთმა გვაშოროს, დაგვიხსნას და დაგვიფაროს ეშმაკის გულქვაობისაგან! და ჩვენთვის ტანჯულმა და ჯვარცმულმა იესო მაცხოვარმა ჩვენ ნუ შეგვიბრალოს და შეგვიწყალოს განკითხვის დღეს, თუ ჩვენი დაზიანებული თანამოძმე ჩვენვე არ შევიბრალოთ და არ შევეწივნეთ. რითაც შეგვიძლიან ხარ-კამეჩიან ურემს შევაბამთ, უსაქონლონი ხელითა და შრომით დაგეხმარებით და ისევ წამოგაყენებთ ფეხზე ჩვენს დამწვარს ძმასა და მეზობელს. ვიპოვით თქვენს უსულღმერთოდ დამღუპავს იუდა-ისკარიოტელსაც და სულიან-ხორციანად გადავკარგავთ ჩვენის ქვეყნის მიწა-წყლიდამო.

თეონა, რომელიც აქამდის თავის უბედურების ჭირსა და ვარამს გაეშეშმიებინა, მოხუცის აბრამის მამაშვილურ სიტყვებს მოწიწებით ისმენდა სხვებთან ერთად და მწარედ ქვითინებდა თავჩაღუნული. ბოლოს ძილისაგან გამოფხიზლებულივით წამოდგა და გულამოჯდომით უთხრა აბრამს: ღმერთმა შენი კეთილი და შემატკივრის გულის იმედი და მოწყალება ნუ მოგვიშალოს ნურავის, მამამთილო, თეთრად დაგიბეროს შენი საყვარელი მამისერთა ვანიკო და ამის შვილიშვილებს შეგასწროს უფალმა გახარებული. რა ვქნათ, რო არ ვიტიროთ, შენი ჭირიმე, ჩვენი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა, მთლად დავივსენით და დავიღუპენით ერთი კომლი ხალხი. ერთი ძონძის ძველაც კი აღარ მოგვეპოვება სადმე, რო გაჭრილი თითი

მაინც შევიხვიოთ. ეს შვიდი-რვა წელიწადია, რის ვაი-ვაგლახით მოვიგდებინეთ თავიდან ჩვენი უსამართლო მოვალეები, იმ დღიდგან მოკიდებული ამ დღემდინ გროშს-გროშზე ვადებდით ჩვენს ნაშრომ-ნაღვაწს და როგორც იყო შევაქუჩეთ ტანჯვა-ვაებით ხუთმეტიოდე თუმანი, გვინდოდა, იმ ნაშავდღევი ნაწვავ-ნადაგით ერთი ბოხჩა სავენახე ადგილი გვეყიდნა და ჩვენც ქვეყანაში გავრეულიყავით, მაგრამ ისიც კი ზენოს მზითევთან და ათას ჩვენ ნაჭირნახულევთან ერთად ჩვენის ცოდვით სავსე ცეცხლმა დაგვინაცრა და მიგვცა აგორებულ წყალსა და ღვარს წასაღებად. რაღა უნდა ქნას ეხლა შენი კვნესამე, ი საცოდავმა ჩვენმა კაცმა, ხო თავს აღარ იცოცხლებს: ეს ორი თვეა გაღმა მხარშია წასული სამუშაოზე და ცოლშვილი თვალით არ უნახავ. ვინ იცის, რა სიხარულით ემზადება ეხლა საცოდავი თავის ცოლ-შვილისაკენ სააღდგომოდ წამოსასვლელად, მაგრამ იმ სიხარულით იმისმა მტერმა და დუშმანმა გაიხაროს, რა სიხარულიც იმას აქ მოელისო. და იგეთი მწარე, გულდამთუთქავი ქვითინი ამოუშვა თეონამ ამ სიტყვებზე პირზე ხელებმიფარებით, რომ მთელმა იქ მდგომმა ხალხმა ერთხმად ბანი მისცა ქვითინით იმის გულსაკლავ ქვითინს და ყველას ღაპაღუპით ჩამოედინა სახეზე სიბრალულის მდუღარე ცრემლები. აბრამმა კიდევ ანუგეშა თეონა მამაშვილურის სიტყვებით.

შემდეგ დაიწყო ხალხმა ყაყანი და გამოძიება: რომელი ურჯულო წაუკიდებდა ცეცხლსაო. ზოგნი ჩვენივე სოფლის ახალგაზრდა საბა ენძელაშვილს აბრალებდნენ:Lიმასა და ზენოს ერთმანეთი უყვარდათ და, რადგანაც თეონამ ეხლა სხვაზე დანიშნა ზენობიერი, ის წაუკიდებდა მტრობითო. ზოგნი ამბობდნენL მარსკვლავის ჩავარდნის დროს ციდამ ნაპერწკალი დაეცემოდა ქოხსა და იმის ბრალი იქნებაო, და ზოგნი რასა და ზოგნი რას. ბევრი იყაყანეს, ბევრი იგულთმისნეს და იწინასწარმეტყველეს ზეგარდმო ძალის შემწეობით, მაგრამ მაინც სწორე კვალს ვერ მიაგნეს და ბოლოს ჭილყვავებივით დაიქსაქსნენ და წავიდ-წამოვიდნენ აქეთ-იქით.

მამასახლისმა აბრამმა იმ დღესვე დააბინავა თავის მარანში ნარუსალის სახლობა და უთხრა: აი, შვილებო, იცხოვრეთ აქ, მინამ სოფელი სახლს აგიშენებთო.

* * *

დადგა გააღაღანებული მაისი და ტკბილად გაისმა ჩემი სამშობლოს ათასფრად აყვავებულს მთა-ბარში მწყემსების საამური სიმღერის ხმა: მშვენიერო მაისო, გული სევდით ავისო... გარეთ მინდორ ველი ყვაოდა, იშლებოდა, ირთვებოდა, ქვეყანა სიცოცხლით სტკბებოდა და საწყალი ვანიკო კი ქრებოდა, სიცოცხლეს ეთხოვებოდა და უდროვოდ ჰშორდებოდა ამ სოფელს. მიზეზი კი ის იყო იმის მძიმედ ავადმყოფობისა, რომ ნარუსალის სახლში თავის გატეხის დროს ტვინი დაჰზიანებოდა საბრალოს და ანთებად გადაექცა. ექიმები და ფერშლები შეაჯერეს, ბევრი უწამლეს და ბევრი შანები შეაბეს სხვადასხვა წმინდანების სახელობაზე, მაგრამ ვანიკოს ვეღარა უშველეს რა. ო, ღმერთო! ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის გულსაკლავი სურათი, როცა მწუხარე ვანიკოს გარშემო შემოსხდომოდნენ მდუღარე ცრემლებით ატირებული მშობლები, საცოდავად დაღვრემილი თეონა და ზენო და მოკლულებივით უსიცოცხლონი ჩაჰყურებდნენ მიმკვდარებულს ავადმყოფს თვალებში, საკვირველია ადამიანის გული და ხსოვნა, ეხლაც კი თვალწინ ცხოვლად მეხატება ის ცრემლსადენი სურათი, გული სისხლის

ცრემლით ქვითინებს, თვალები მდუღარებით მევსება, ენა მიმუნჯდება, კალამი ხელში მიშეშდება და ზედ ენთხევა შავს მელანს შავი მოგონების ცრემლები.

მთელი ორი კვირა ისეთი გამოუნელებელი სიცხე ჰქონდა საბრალო ვანიკოს, რომ თვალი არ გაუხილებია და მზიანი ქვეყანა არ დაუნახავს. მთელი სოფელი იწვოდა ვანიკოს სიბრალულით, იმისი მშობლების ცოდვით და თეონასა და ზენოს საცოდაობით. საწყალი ზენო და თეონა თავს იკვლავდნენ და გულს იგდებინებდნენ ქვითინით: ჩვენა ვართ ვანიკოს ავადმყოფობის საბაბიც და ამისი დედ-მამის ამტირებლებიცაო. ღვთისნიერი, სულგრძელი და მშვიდობის მოყვარე აბრამი კი ასე ეტყოდა ხოლმე თეონასა და ზენოს: რა ვუყოთ, შვილო, ნუ სწუხართ, შვილო, ნუ სწუხართ, ყველა ღვთის ნებაა და ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ალბათ ღმერთს ასე სწადდა: დეე, ასრულდეს მისი ნება, ზოგსა ჰკლავს და ზოგს აცოცხლებს. დაილოცა მისი განგებაო, და პირზე ხელსახოცმიფარებით მწარე ქვითინს ამოუშვებდა ხოლმე ამ სიტყვებზე აბრამი. ვანიკო კი იწვა უძრავად თვალებდახშული და აღარ ესმოდა აღარც თავის საყვარელის დედ-მამის მწუხარება, აღარც თეონასა და ზენოს მხურვალე ვედრება, როცა ისინი ვანიკოს ფერხთით დაჩოქილები მწუხარე სახით და ქვითინით ევედრებოდნენ უფალს ვანიკოს გამობრუნებას, და აღარც მთელი თვალცრემლიანი სოფლის გულშემატკივარი სიბრალული.

ერთ დღეს ისე მოიხედა ვანიკომ, რომ ყველას ეგონა: ეხლა კი ღმერთმა მოჰხედა და მორჩაო. მაგრამ წყეულმა სიცხემ ისევ მალე შეუხუთა სული. ამ დღეს მთელი აბრამის სახლის ეზო-ყურე ხალხით იყო სავსე. ყველას სული გაენაბა და სახლის დერეფანში ტახტზე მწოლიარე ვანიკოს დასცქეროდა მწუხარე სახით..... ცრემლად იღვრებოდნენ იქ მყოფნი, როცა თვალებმიმკვდარებული ვანიკო ამ სიტყვებს ლაპარაკობდა სიცხეში: მთლად აყვავდება ჩვენი მთა, დიდი, მაღალი, ტყიანი, და მე კი მიწა გამომხრავს. შავი სამარე ქვიანი. ვეღარ დამატკბობს საფლავში ბულბული ტკბილი ხმიანი, ვეღარც ჩემს გულზე მოსული მინდვრის ვარდნი და იანი. ჰოი, უწყალო სიკვდილო, რათა ხარ ავიზნიანი: რისთვის მკლავ დედის ერთასა, რად გიყვარს საწყლის ზიანი?! ამ დროს ვანოს ნამტირალი მამა _ აბრამი ვანიკოს ფერხთით იყო დაჩოქილი და ასე ეღაღადებოდა უფალს ზეცისკენ თვალებაპყრობილი: «დიდებულო და დიდსულო, ღმერთო, ძლიერო, ისევ შენ უნდა გვიშველო, შენ, მეცნიერო».

«ტინ»... «ტინ»... «ტინ»... მთელს სოფელში გაისმოდა სამგლოვიარო ზარის ხმა, როცა შემოსილი მღვდელი და მთავრები გალობით მიუძღოდნენ ვანიკოს კუბოს საფლავისაკენ და მთელი სოფელი მისდევდა და მისტიროდა საუკუნოდ გაფრენილს ვანიკოს. ქვაც კი იწვოდა და ქვითინებდა ვანიკოს დედ-მამის ტანჯვა-გოდებით და საცოდაობით. მოწმენდილი ცაც კი უეცრად მოიღრუბლა და მარგალიტივით ცრემლებს აფრქვევდა ვანიკოს კუბოზე.

ფრინველებმაც უცბად შესწყვიტეს ჟივილ-ხივილი და შავი სამარისკენ გამგზავრებულს ვანიკოს მწუხარედ დასცქეროდნენ სულგანაბულები გზის ნაპირ ხეებიდამ.

ოხ, რა მოღალატე და მუხანათი ხარ, შე წყეულო წუთისოფელო, რა გინდოდა, ეცოცხლა ნიჭიერს და გულკეთილს ვანიკოს თავისის ერის საკეთილდღეოდ? რად გამოასალმე უდროვოდ მზიან ქვეყანას ის, ვინც ნამდვილი ღვიძლი შვილი იყო ერისა და მალეც შეიქმნებოდა ხალხის მრავალტანჯული სულისა და გულის წარმომადგენელი და მალამოს მომპოვებელი მეთაური. იმას, მხოლოდ იმას

შეეძლო, უკვდავად გამოეხატნა თავისის მჭევრმეტყველურის ენით ძლიერი გრძნობა, ტანჯვა და სიხარული გულჩათხრობილის ხალხისა ხალხისავე გულის ასატოკებლად, გონების თვალის ასახილებლად და გამოსაფხიზლებლად. იმისი ერთი ღრმად მოფიქრებული და შორსგამჭვრეტელი ჭკვიანური სიტყვა სხვისს ანგარიშმიუწვდომელს და წყალწასაღებს და ნაყბედს ჩაჰმარხდა ხიდქვეშ, რომ დაცალებოდა და საამქვეყნო მეცნიერების და ხელოვნების დედაბოძები საძირკვლიანად შეესწავლა თავისის ჭკუა-მადლიანის გონების გამჭრიახი თვალით.

ოხ! ოხ! შე ღვთისაგან შეჩვენებულო და კაცისაგან დაწყევლილო სიკვდილო! ნუთუ ვეღარ იპოვა შენმა გაუმაძღარმა თვალ-გულმა სხვა მსხვერპლი, შე უსულღმერთო ჯოჯოხეთო?! რატომ არ ამოსწყვიტე ვანიკოს ნაცვლად, შე კრულო და წყეულო, ის უსარგებლო გაიძვერა მამულიშვილები, რომელთაც სამშობლო, ქვეყნის ბედ-იღბალი ფეხებზე კიდიათ და მართო თავიანთ სარფისათვის თავიანთ მშობელ დედასაც კი ძუძუს დააჭრიან ძირში და შეაგინებენ! ჰოი, ძალნო ცისა და ქვესნისანო! რატომ არ მომეცით ისეთი ყოვლად შემძლებელი ძლიერება, რომ გაიძვერა შურის გუდები, უღვთონი და უსამართლონი უწყალოდ გამენიორწყლებინა ბალბალუკისავით და გულგამეხებულს ნაბდისძველასავით გამეთელა ფეხქვეშ იმათი საზიზღარი და სიკეთე დაუნახავი თავტანი; მაშინ ხომ ჯავრს ვიყრიდი, დავიმშვიდებდი გაცოფებულს ზღვასავით აზვირთებულის გულის მრისხანე მღელვარებას და აღარ დავბერდებოდი უდროვოდ. მაგრამ, ეჰ! დაილოცა შენი სახელი და სამართალი, შენ სულგრძელი ხარ, უფალო, და არა გეჩქარება რა, ან კი რომელი დედამიწა გასახეთქი გველაძუა, რომელი უღვთო და ადამიანის შეუბრალებელი იუდა გადაურჩება მომავალში შენს გამეხებულს ღვთისრისხვას!

როდესაც შემოსილმა მღვდელმა საფლავის პირს გულზე მიწა დააყარა ვანიკოს და უთხრა: მიწა ხარ და მიწად იქეციო, სწორედ ამ დროს შემოციხულის ხალხის ჯგუფიდამ უეცრად გამოვარდა ლამაზ თვალ-ტანადი საბა ენძელაშვილი, არწივივით გადაეფარა ვანიკოს კუბოს დაჩოქილი და დიდის ხმით მოსთქვამდა მწარე ტირილით და თავში ცემით: «მე ვარ შენი მკვლელი, ძმაო! მე! მეეე!.. თეონამ მომიკლა და დამიდაგა გული, და თეონა უნდა დამეწვა და დამებუგა სახლ-კარიანად, მაგრამ რა ვიცოდი მე ღმერთგამწყარალმა, თუ შენ ეს დღე გაგითენდებოდა!.. ჩემის ფეხით წავალ ციმბირს, ძმაო, ვანიკო! ჩემის ფეხით! იიქ! იქ დავიტანჯები და იქ მოვინანიებ შენსა და შენის დედ-მამის ცოდვას; იქ ჩავძაღლდები და იქვე ჩავიმარხები შავს მიწაში, შავ ბედზე დაბადებული»!

ვანიკოს დამარხვის მეცხრე დღეს თეონას კოკით წყალი მოჰქონდა წყაროდამ. შედგა თუ არა მარანში ფეხი, საშინლად დაიწივლა, სავსე კოკამ ხათქანი მოადინა მიწაზე და გულწასული თეონა ზედ დაეცა კოკის ნამხსვრევებს. წივილზე შავებში ჩაცმული აბრამი გამოვიდა სახლიდამ, შევიდა მარანში და ნახა, კედლის კაჩოზე მშვენიერს ზენოს თავი ჩამოეხრჩო, გულშემოყრილი თეონა მიწაზე ესვენა, პაწაწინა დიონეს თავისი პაწაწა თათები ამოეყო აკვნის არტახიდამ და დაჟინებით ტიროდა ძუძუსათვის.

ერთ დღეს სოფლის ხარჯით დაჭერილი ორი მუშა ნარუსალს წნულის ქოხს უშენებდა და ერთი მუშა მეორეს ეკითხებოდა:

_ გაიგე, ჩვენს მამასახლისს აბრამს და იმის მეუღლე მართას რო ვანიკოსაგან გადარჩენილი ერთი ციცქნა დიონე შვილად აუყვანიათ?

_ პა, პა, პა! _ მიუგებდა მეორე, _ აწ მაგითანა დალოცვილი სოფლის მოთავე, მადლიანი და საქმიანი კაცი განა კიდევ იქნება დუნიაზე! ოხ! საწყალი ზენო კი იგრე მეცოდება, იგრე, იგრე, რო რა ვიცი, ღვიძლი შვილიც არ დამნანდებოდა იგრე. ბევრი მატირა ვანიკოს სიკვდილმა, მაგრამ უფრო მეტი მავაგლახა ზენოს თავის მოკვლამ.

_ ღმერთმა ჰკითხოს თეონას! გოგოს ვინც უყვარდა, იმას კი არ მისცა, იმ სულის მტერმა იუდამ, და ძალიძალად სხვაზე დანიშნა და, თავს მოიკლავდა, მა რა იქნებოდა.

_ ჰეეე! ვაი დედასა მტრისას! ხო გაიგებდა აქამდინ საბა ტუსაღანაში ზენობიერის სიკვდილს და გონი ეხლა იმისი გული შავად მღელავი ზღვა არი ჭირისა! არა მგონია, რო ამის შემდეგ, იმანღა იცოცხლოს, ჰეჰეი! აფსუს! რა ვაჟკაცი იყო, რა ვაჟკაცი! ერთ სოფლადა ღირდა დალოცვილიშვილი, მაგრამ წყეული სიყვარული ვის არ მიიყვანს ხოლმე სიგიჟემდინ.

_ ჰოი, ტა-ტა-ტა-ტა.. საწყალი ნარუსალის ცოდვას რას უზამს სოფელი, თორე სახლს კი არ უნდა უშენებდეს, ცხენის ძუაზე უნდა გამოაბან თეონა და იგრე ჩააძაღლონ იმისი ცოდვიანი სული. რათ აჰყვა ის ღვთისაგან წყეული, თავისავით ჭორიკანათა მითქმამოთქმას, რათ აითვალწუნა ლომივით ვაჟკაცი საბა და რათ დანიშნა სხვაზე საცოდავი ზენო, იმ ყაჩაღანამ! შენ ამოსწყვიტე და ამოაგდე ძირიან-ქოქიანად ჩვენი ჭორიკანა ქუდოსნების და მანდილოსნების თავ-ტანი, რო იმათი ცილისმწამებელი ჭორები თითონ გულთამხილავ გამჩენსაც კი გადაჰრევენ ერთხანად, თორე რეგვენს ადამიანს ხო დაჰღუპენ და დაანელებენ ხოლმე სულიან-ხორციანად.

ასე ამბობდა ქუდმოხდილი ზეცისკენ თვალებაპყრობილი და გულზე ხელებ გადაჯვარედინებული ღარიბი მუშა დიმიტრი.

ვანიკოს სიკვდილის მეექვსე დღეს, როცა ყველა შაგირდებმა თავი მოვიყარეთ სკოლაში, ჩვენის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა მღვდელმა გამოუცხადა თავის ნუღნუღა დიაკვანს, რომ დღეს მე შეუძლოთა ვარ, შენ ესენი უნდა წაასხა ვენახში და ლამაზად გამოამარგვლინო, რაც იმ დღეს დაგრჩათო. ჩვენ ყველას გაგვიხარდა, რადგანაც იმ დღეს გაკვეთილების კითხვა აღარ დაგვჭირდებოდა.

ცოტა ხანს შემდეგ ნუღნუღა გაგვიძღვა წინ ჩვეულებისამებრ ყოყოჩა ვაცივით და ჩვენც ყველანი ცხვრებივით გამოვეკიდენით უკან. წინ ჯაგნარიანი მთაგრეხილი გვედვა გარდიგარდმო, იმ მთაზე უნდა ავსულიყავით მაღლა, ჩაგვევლო ძირამდის და მივიდოდით ვენახში. ასე რომ სულ ოთხის ვერსის მანძილი იქნებოდა, ავედით თუ არა მთის კორწოხზე ნასახლარებთან და გადავხედეთ გულ-მკერდგადაშლილს ალაზნის მწვანე ღაღანა მინდრ-ველს, ნუღნუღა გველაშაპივით გადიჟღლართა კაკლების ჩრდილში მწვანეზე და ჩვენც ჩვენებურად _ ძველებურად მარჯვნივ-მარცხნივ შემოვუხოხორიკდით მოციქულებივით, მაისის ცხარე მზისაგან ატკრეცილები.

საკვირველის ხასიათის პატრონი იყო ნუღნუღა: მუდამ ალქაჯივით აბურძგვნილს თმას ატარებდა, ყოველთვის თავ-პირი ჩამოსტიროდა, თითქოს ქვეყნის ხარჯს იმას სთხოვენო, და ისე უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა და ისე ვაგლახად დაბაჯბაჯებდა ბატივით, რომ იტყოდით: ეს კაცი კი არა, დაყრუვმუნჯებული და ბეჭებდამტვრეული ბებერი მაიმუნიაო. ასეთი გახლდათ ნუღნუღა. მაგრამ ნუღნუღა მოჭიკჭიკე მალხაზჩიტად იქცეოდა ხოლმე და ამისი მზეც მაშინ ამოდიოდა, როცა იმათს მრევლში მოკვდებოდა ვინმე, ან გაჩნდებოდა

და ან დაინიშნებოდა. მინამ სუფრას გაჰშლიდნენ და აკურთხებდნენ და მინამ ჩვენი ნუღნუღა თავის «სიცოცხლე» ჭამა-სმას შეუდგებოდა, მინამ სამი ნიტრა ხორცი აკლდებოდა მეტისმეტი მდომით იმის სამგორის ბუღასავით გათქვირებულს ყელ-ყურს. ათასი ღვთის წყალობა და ხორაგეულობა რო ყოფილიყო სუფრაზე, ნუღნუღა იგრე მოსმუსნიდა თავით ბოლომდე სუყველას, რომ კამეჩებისაგან აოხრებული ნაბოსტნარი გეგონებოდათ. ღვინო ხომ იმის ღმერთი იყო, ძალზე გამოიბრუჟდებოდა ხოლმე წითელ ლალის ნუნუით თავის მღვდელთან ერთად და ამოუშვებდნენ მხიარულის როყინით ჭექა-ქუხილიანს «მრავალჟამიერს».

უწითელ-ნუნუოთ კი ნუღნუღა მკვდარი იყო: ასი რო გეთქვათ, ერთს არ გეტყოდათ, ქვეყანა რო დანგრეულიყო, აინუნში არ ჩაიგდებდა, ციდამ იესო მაცხოვარი ჩამობრძანდაო რო გეხარებინათ, ზედაც არ შემოგხედავდათ, დასახრჩობად რო წაგეყვანათ, ყურსაც არ შეიბერტყავდა; ის რო ვისმე უცნობს ენახა, მაშინვე ჩვენის დიდებულის რუსთაველის სიტყვები გაახსენდებოდა და იტყოდა:

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით ზღაპარი ასე ესმის უბედობა თუნდა ბედი,
სხვაგან არი, სხვაგან ფრინავს, გონება უძს, ვითა მტრედი!

მაგრამ მეტად მოტყუვდებოდა ამის მთქმელი. მართალია, ასეთი მტკიცე ხასიათიანი რკინის გული ჰქონდა ნუღნუღას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მწყერჩიტასავით აუცახცახდის ხოლმე გული, როცა კი თავის მღვდელს შუბლშეკრულს დაინახავდა. თავის საყვარელ ტაბლების ტკბილ ფიქრებშიაც რომ ყოფილიყო გართული, მღვდლის ერთი მკვახედ ამოხველება მთლად გონების დავთრებს გადაურევდა ხოლმე საცოდავს ნუღნუღას. მღვდელს რომ ერთი თავისებურად შეეჭყივლა: ნუღნუღავ! ეხლავ ტუტა აადინე ჩვენს ადრე და მალე დასაღუპავს მრევლს და დღესვე შენის ზურგით მომიზიდე კოდის პურიო, ნუღნუღა ერთი ნავს კი გაიფიქრებდა ჩვეულებისამებრ, «კურსოვნიკია», მე ამასთან რა გამივაო, და ყურმოჭრილი დაემორჩილებოდა ხოლმე მღვდლის ბრძანებას. ერთის სიტყვით, ნუღნუღა და იმისი მღვდელი იმ ჯურა ნუღნუღა მღვდელ-დიაკვნებს ეკუთვნოდნენ, რომლების მსგავსნი დღესაც მრავალნი არიან ჩვენს კურთხეულ საქართველოში.

სიცხისაგან გამოყეყეჩებული და ცხვირპირჩამოშვებული ნუღნუღა დასიცხულ კამეჩივით ქოშინებდა, დათვივით იბღვირებოდა აქეთ-იქით და ყიყინა ბაყაყივით ალაკლაკებდა გამობერილ თვალებს. ბოლოს ამოიღო ყალიონი და მაგარის თამბაქოს წევით გულს იტკბობდა მხართეძოზე მედიდურად წამოწოლილი. სწორედ ამ დროს, ჩვენ დასწვრივ წალამაკიდებული მეველე სოსანა გამოჩნდა, რომელიც ნელნელა მოდიოდა პირაღმართზე. სოსანას დანახვა და სკოლის ბიჭების ჟივილხივილი ერთი იყო: «მოდის ჩვენი ელისბარი, მკვახე-მკვახედ მოუბარი! გაუმარჯოს სიტყვის გუდას, გაუმარჯოს!».. ყვიროდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. ნუღნუღა კი ისევ პირქუშად იყო წამოწოლილი თავდასიებულ ბოთვერასავით და დინჯად აბოლებდა ყალიონს მეფე-ხონთქარივით.

მოღალატე წუთისოფლის ვაივაგლახს თეთრად დაებერებინა გულფიცხი სოსანა, მაგრამ გული კი ისევ პატარა ბიჭისა ჰქონდა საბრალოს. იშვიათად

მოჰხდებოდა, რომ სოსანა გაჩუმებული ენახა ვისმე, იმისი ენა არ მოიღლებოდა და გაუწყეტლივ ჭიჭინებდა ჭრიჭინასავით, რის გამოც სიტყვიგუდას უძახდნენ მეტსახელად. თუმცა კი უფრო სამართლიანი იქნებოდა, მეფე სიტყვისა ეწოდებინათ იმისთვის. ამის ღირსი იყო სოსანა და ამის ღირსნი არიან ყველა საუცხოო ენამჭევრნი, ბუნებითი ნიჭიერნი და სულით ძლიერნი გლეხნი, რომლების მაღალი მჭევრმეტყველური მეტყველებანი თვით ცამდე დიდებულის შექსპირის ნაქებ გმირებსაც კი გადააჭარბებდნენ გონივრულს სიტყვა-პასუხში. მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც ხელუხლებელნი არიან ჩვენის მწერლობისაგან ჩვენივე მდაბიო ერის სათვალჩინო გენიოს-გმირები თავიანთის სამაგალითო სიტყვამარგალიტებით; რა მიზეზით არიან ხელუხლებელნი _ ამაზედ სხვა დროს მოველაპარაკები ვრცლად ჩემს ძვირფას მკითხველს. ეხლა კი ისევ სოსანას მივუბრუნდები. მხოლოდ აქ ამას კი ვიტყვი, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა ის ქვეყანაა, რომელსაც ზედგამოჭრით შეჰშვენის იესოქრისტეს ორი ათას წლოვანი ნაბრძანები: მრავალ არს სამკალი, და მცირედ მოიპოვებიან ჭეშმარიტნი მომკალნი.

მოსვლის უმალვე, სოსანამ ხვნეშით მოიხადა ჩვენს გვერდით წალმის გუდურა, ხელით მოიწურა შუბლიდან ოფლი, იდაყვდაყრდნობილი მიუჯდა წალამს და მოხდენილად წარმოსთქვა წარბშეკრულმა:

ს ო ს ა ნ ა: ვახ, გატიალდი, სოფელო, ვერაგო, ავის მყოფელო! არა, ჩემს გაჩენაში ღმერთი არა რეულა, მაგრამ გული კი ფოლადისა, სწორედ პიტალო-ფოლადისა მოუცია ი დალოცვილს. ვერა, ვერ გასტეხ, სისაწყლევ, შენ ჩემს გულს სალიკლდიანსა; ვერც შენ შემხუთავ, ვარამო, სულ ჭირის ამტანს, ჭკვიანსა; ჩალად მიმაჩნია სუყველა, მივყვები გზასა ღვთიანსა, მოვკვდები, ლოცვა კურთხევით დამმარხვენ პირნათლიანსა!

_ არ იქნა, მოგიარეს კიდე ჭვინტაკებმა? რეებსა ჰჯიყჯიყებ და ჰყიპყიპებ მა ყელში? «_ ჰკითხა ერთმა ჩვენთაგანმა სკოლელმა. სოსანას სიბრაზის ალმური აედინა სახეზე.

ს ო ს ა ნ ა. ღმერთმა ნუ იცის თქვენი ალოღლეტია ოსტატის თავ-ტანი! ნუღნუღავ, ჩხებიანო! ნუღნუღავ, ეი! არ გესმის? დათვო! ბანჯღვლიანო დათვო! რა სული გაგინაბამ, შე სულ-გასაქრობო! მკვახე-მკვახეებს შეჰკადრიდე ამ მუტრუკებს, რომ წიხლებს ვეღარ ისროდნენ გულისა გასაგმირებსა, თორე გამჩენის მადლმა, მოუკლავი არ გადამირჩები: გუდათ გაგაძრობ და იგრე გაგტენავ ლახოსტაკით, რო დრეკა აღარა გქონდეს! გესმის თუ არა?

სოსანა მრისხანედ უბრიალებდა თვალებს ნუღნუღას და პასუხს ელოდა, მაგრამ ნუღნუღამ ყურიც არ ათხოვა, ან კი რა იმისი ყურის გდებისღა სცხელოდა, როდესაც კაცს თავისი თავში საცემი ჰქონდა: იმათს მრევლში ერთიც არავინ იყო მომაკვდავი ავადმყოფი და არც საიდამ ნათლობას და ნიშნობას მოელოდა. დავუძლურდი ბოზბაშისთვის, განკურნება არსით არისო, _ ნუღნუღა სულ ამას ჩიოდა და ტიროდა თავის გულში. ცოტახან სიჩუმე ჩამოვარდა და ბოლოს ყველამ იქით ვაცქვიტეთ ყურები და თვალები, საიდამაც ჩვენი სოფლის მეთხე ციკას მოწველე თხის ფარა მოუდიოდა კაკლების ჩრდილში ასაგრილებლად. ციკა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის თვალტანადი ბიჭი იყო. მხარზე კოხტად კავგადებული და მხარიღლივ თოფჩამოკიდებული მოსდევდა ჭრელის თხების ფარას და ტკბილის ხმით მოიმღეროდა:

ნეტავი, გოგო, შენი ხმა

ავადმყოფს გამაგონაო,
ტუჩი ტუჩს დამადებინა,
ძუძუებს ჩამაკონაო!

მალ-მალე მოდი ჩემთანა,
შენც ობოლი ხარ, მეცაო,
ძუძუებს ხელის ჩაყოფა
შენც გიამება, მეცაო,

ც ი კ ა. გამარჯვება თქვენი, კაცებო!

ს ო ს ა ნ ა. გაგიმარჯოს ღმერთმა, ციკავ!

ციკა კოხტად დაებჯინა კავს, თხები ჩრდილში დაწვნენ და სანდომიანად იცოხნებოდნენ.

ნ უ ღ ნ უ ღ ა. ციკავ! ე გუდაში პირის გასაცმაცუნებელი გექნება-რამ, ამოიღე, დამპატიჟე.

ს ო ს ა ნ ა. აი ქრისტემ ამოაგდოს შენი ბანჯგვლიანი თავი. რო სუ ჭამაზე გიჭირამ თვალი ჭალიმგელივით.

ც ი კ ა. შენ ე დიაკვნების აბიდის მიცემა რატო იცი, შე დაღუპილო ჰა? რაც უნდა იყოს, მაინც წიგნის კაცია და აღარ გვეკუთვნის. ვირი რო ბატონათა გყვანდეს, ჰაჩის ნუ ჰკადრებო, ეს მაინც არ გაგიგონია?

ს ო ს ა ნ ა. გამიგონია, მაგრამ ღმერთმა დიაკვნებში გამოარჩიოს ამისი გოგრა, კაი სამგლე დიაკვანი ეს არი: სუ დომხალივით აურივდაურივა ი საწყალ ღვდელს საღმთო-წერილები. ერთხელ...

ნ უ ღ ნ უ ღ ა. დაიღუპე აქედააამ! გისწავლიათ ეს სამჭადპურო ყბედობა და...

ს ო ს ა ნ ა. დამაცა, დამაცა, მათქმევინე და მერე შენა თქვი. ჰო, ერთხელ წირვაზე ვიდექით. გამოვიდა საკურთხევლიდამ შემოსილი მღვდელი, გადახსნა წიგნი, საცა ნუღნუღას დაენიშნა, და მოაყოლა: «სთქვა უფალმა, სთქვა უფალმა, სთქვა უფალმა, სთქვა უფალმა»... «რა თქვა უფალმა, მამაო რაო»? _ დაიძახა ვიღაცა მოთმინებიდამ გამოსულმა, «ღმერთმა რო ამოაგდოს ჩემი უტვინო ნუღნუღა დიაკვნის თავტანიო»! _ შეჰყვირა გაბრაზებულმა მღვდელმა და მთელი ხალხი სიცილით დაიხოცა. თურმე ნუღნუღას სხვა ადგილას დაენიშნა წიგნი. აბა, მოდი შენ და ამათ პატიოსნება სთხოვე: შემოსილი მღვდელი რო იგრე სიბრაზისაგან კბილებს იმტვრევდეს და იწყევლებოდეს ი საყდარში, ერის კაცმა რაღა უნდა ქნას საყდარგარეთ! ამათ როგორ უნდა გაგვიღვიძონ სასოება და ღვთის სიყვარული?! ხიდქვეშ, ხიდქვეშ იყვნენ ამათთანა ღვთის მცნების მქადაგებელი მღვდელ-დიაკვნები.

სკოლის ბიჭები სიცილით ვიჭაჭებოდით.

ნ უ ღ ნუ ღ ა. დაიკარგე აქადააამ!..

ს ო ს ა ნ ა. დაიკარგე და დაიმარხე, თუ კარგია! რა ცეცხლივით მოგედვა მა გულყიაზე და გული ყელში მოგებჯინა, პირში თქმისათვის გეჯავრები, განა?! რათა შვილოსა, რაც მართალია _ მართალია. სისწორე ღმერთსაც უყვარს და კაცსაც. თაფლის ენა და ავი გული არცა მქონია და ღმერთმა ნურც მომცეს: პირში თქმა მიყვარს, პირში! მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანო. გამოიფხიკე ე ყურები და დაარიგე ი შენი ჭკვანაკლული წვერცამეტაც, რო ჭკვაზე მოვიდეს. შე

ოხერო, თუ აქიმი გძულს, თავის გაფრთხილება უნდა გიყვარდეს. და თუ ლანძღვა გეუკადრისება, სალანძღავ საქმეს უნდა ერიდებოდე. გაიგე, რა ვთქვი?

ნ უ ღ ნ უ ღ ა. ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რო საძაღლეთ გახდაო. რატო ღმერთი არ გაიცინებს, რო შენისთანა ბრიყვები ჩემს მღვდელზედაც კი ლაპარაკობენ!

ს ო ს ა ნ ა. ბრიყვი შენა ხარ, თორე მაგას არ წამოროშავდი. რა ძალიან ეფაფრები ი შენ ავმუცელა და ავპირა მღვდელსაც ვიცნობთ, რაც კოჭია; ის ის კაცია, რომელიც პირში პატიოსნებაზე ქადაგებს და პირს უკან კი კაცს ფეხებს დააჭრის _ გარეთ რო დაჰრჩეს. ჰეე, ღმერთო, რამთენნაირი ხალხი გაგიჩენია, შე დალოცვილო. ყველას ადამიანი ჰქვიან, მაგრამ ყველა ადამიანი როდი ყოფილა.

ც იკ ა. რას ატყდები ხოლმე, შე დაღუპილო, და აღარ მოუჭერ ხოლმე მა ყბას. ეგ რო ჩვენმა მღვდელმა გაგიგოს, ხო მაშინვე...

ს ო ს ა ნ ა. ოჰ! ღმერთმა მაგის მეტი დარდი ნუ მომცეს! თუ გამიგოს, მე შენ გითხრა, ერთბაშად ყურებზე ხახვი არ დამაჭრას და სეირი არ მიყოს! მინამ ვიქნები, კაცი ვიქნები, როცა არა და... დიახ, მე არავისი მეშინიან: არა! არა! გასწყდეს ამათი სახსენებელი, მე დიდი ხანია, ესენი გულიდამ ამომირეცხნია. გამიგოს კი არა, მოსაკლავები არიან, ამათი გაჩენის საათი კი დაიქცეს, ამათი! რაში ვაძლევთ ი კოდი პურს, კაცო, რაში, არაკი გვემსახურებიან წესიერად: ზიარებას რო იძახდნენ, მღვდელს ვერ იპოვნი, გულით რო ეკლესიაში წასვლა გეწადოს, თვეში ერთხელაც ვერ გაიგონებ ზარის ხმას, და თუ გაიგონებ_ ისიც მაშინ, როცა ტაბლობის დღეა. როცა იციან რო ამათ აღორებულ გულ-მუცელს სახეთქავს მიართმევენ. თორე განა მაშინ კი წირვის დარდი აქვთ რა! ურიას ერთი დღე ჰხვდა და ისიც შაბათიო, ჩვენი საქმეც ეგრეა: ნეტავი ი ტაბლობის დღეს მაინც რიგიანად კითხულობდნენ, რო გაგვეგო რამ ღვთის ბრძანებიდამ; თორე ჯანი და სული გაჰვარდნოდა დანარჩომებს. დააყრიან, შენ ხარ ჩემი ბატონი ცქლაფაცქლუფიანს ნუღნუღს და ეშმაკიც ვერას გაიგებს ამათი ნუღნუღისას, თორე ადამიანიშვილი ხო ვერას გაიგებს და ვერას! მემრე კი დადგება ჩვენი მღვდელი დიდმარხვაში და გვისაყვედურებს თვალთმაქცობით: თქვენაო როგორი ქრიჰტიანები ხართო, როდესაც წირვა-ლოცვა არ გიყვართ და არ დაიარებითო. ფიეეე! წირვა-ლოცვა როგორ არ გიყვარს, შვილოსა, ძალიანაც გვიყვარს, მაგრამ რა გვინდა რო ვიაროთ, როცა თქვენი ნუღნუღისა არა გაგვეგება რა?! აბა აღდგომის დღეზე ხომ, ვენაცვალე იმის მადლს, დიდი საუფლო დღე აღარა იქნება რა და აი ამ ქრისტეს აღდგინების დღესაც კი არ გამწივა გულმა და არ წაველ შარშან რუსის საყდარში, როცა მე თუქურმიშაში მოვეტანე, რუსის რჯული და ჩვენი რჯული ორივე ერთი რჯულია, მაგრამ რო არ მესმის იმათი წირვა-ლოცვის სიტყვები, რისთვის უნდა ვმდგარიყავ იქ დაყრუმუნჯებულ ატოცის გლახასავით?! საყდარში იმითვინ წავალ, რო ღვთის სიტყვები მოვისმინო, თორე სხვა რა დამრჩენია იქ, განა საყდარგარედ კი ვერ შეევედრები და ვერ ვილოცავ გამჩენს რა?! ეს ქრისტე გამწყრალები, პირიც ამათკენ და ხელიც, ქრიჰტიანულად კი არ კითხულობენ დინჯად და გარკვევით, რო ხალხმა გაიგოს და ისწავლოს რამე. წირვა-ლოცვა არ გიყვართო, თვითონვე გვისაყვედურებენ თვალთმაქცობით. ამას კი როდიღა ფიქრობენ, რო ამის თავიდათავი მიზეზი ამათივე ნუღნუღა ენაა. აი ვინ, არის საყვედურის ღირსი! არა შენა თქვი, ციკავ, თუ ღმერთი გწამს, როგორც ღვთის კაცმა:L გეყურება რამე ამათი ცქლაფაცქლუფიანი ნუღნუღისა, როცა საყდარში სდგეხარ?

ც ი კ ა. მე?.. მე რა უნდა ვთქვა? სხვისა რა ვიცი, და მე კი ლამაზად მეყურება, როცა ჩვენი ბათლომე დიაკვანი სეტყვასავით დააყრის ხოლმე ზედიზედ: «პალო შეგვი, პალო შეგვი, პალო შეგვი, პალო შეგვი»!

ს ო ს ა ნ ა. ვაცხონე შენი დედ-მამის სული! მე უნდა მეთქვა და შენ დამასწარ. ჯერ აი ამ ორათორ სიტყვასაც კი _ ორი სახარება გაუწყრეს ამის ბანჯღვლიან თავ-ტანს, _ უფალო შეგვიწყალეს პალო შეგვიზე ასხვაფერებს და ი ზღვისოდენა საღმთოწერილს ხომ, ღმერთმა იცის, რა დღეს აყენებს თავისი ქაჯური ნუღნუღით. ჭკვიანი კაცებისაგან გამიგონია: ბრძენი კაცების სიტყვაზე ძლიერი სხვა აღარა იქნება რა ქვეყანაზეო: ჯერა თქმულა და მერე გაკეთებულაო. ქრიჰტე-ღმერთის ნაბრძანებ სიტყვებს რო ჩვენამდინ არ მოეხწივნათ, დღესაც დათვები ვიქნებოდითო. და მართლაც, ღმერთს რო გულში ჩამწვდომი სუსხიანი სიტყვები არ გაეჩინა, ტყის ნადირებზე საზიზღარი ნადირები ვიქნებოდით. მაგრამ ნადირებმა შეჭამოს ამისი გაუგებარი ენა, როგორც ჩვენ ამან წირვა-ლოცვაც შეგვაძაგა და ღვთის სიტყვებიც დაგვავიწყა. არა, ჩვენ დროში ყველამ დარბაისლობა ისწავლა, და შენ კი, არ იქნა, შენი ცქლაფაცქლუფიანი ნუღნუღიც ვერ მოიშალე. იტყვი კაცი, მდევარს იძახიან და იმიტო ეშურება და ამის გამო ამახინჯებს წარამარა ი ღვთის სიტყვებსო. აი თავი მოგიკვდეს შენ, რო იქ მკვდრებს აკლიხარ და აქ ცოცხლებს აწუხებ...

ნ უ ღ ნ უ ღ ა. რა დავაქარივით ენა დამადგი, არა, რა ციებცხელებასავით ჩამაცივდი.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ცხვირის ცემინებამ შეაწყვეტინა.

ს ო ს ა ნ ა. ჰაააა!.. თავს პატივი დაიდე და აქ მაგისთანებს ნუ დაუკრავ, ნუ! თორე...

ბიჭები სიცილით ვიხოცებოდით.

ც ი კ ა. წაჰკიდე, წამკიდებელო, გაწყვიტე, ნათლიმცემელო! რა გაჩხუბებთ, თქვე ოჯახქორებო, რა გაქვთ გასაყოფი?

ს ო ს ა ნ ა. ღმერთმა ნუ იცის ამისი თავი...

ნ უ ღ ნ უ ღ ა. ხათაბალა ეს არ არი! რა თვალში ამომიღო! რა გინდა ჩემგან, სიტყვიგუდავ, არა, რა გინდა, ერთი მითხარი.

ს ო ს ა ნ ა. არაფერი, დედავ და თვალო, არაფერი. ღმერთმა უნებური ნიავიც ნუ მოგადინოს. ჩემო თაფლო და შაქარო, ოღონდ გამოგაკლოს-კი ჩვენი საყდრიდამ და ისეთი დიაკვანი მოგვივლინოს უფლის წყალობიანმა ძალმა და სახელმა, რომ იმისმა დინჯმა და გარკვეულმა კითხვამ გულში სასოება და ღვთის სიყვარული გაგვიღვიძოს, ბოროტი გვაშოროს, სული და გული დაგვიკამკამოს, გონების სიბნელე გაგვიჩირაღდნოს, სიმართლე და პატიოსნება შეგვაყვაროს, იმედდაკარგული გაიმედიანოს, უგნური მოაჭკვიანოს, მხდალი გაალომგმიროს და უღვთო მოაღვთისნიეროს. ამინ!

_ ამინ! ამინ! _ უნებურად შეჰყვირეს ერთხმად სკოლის ბიჭებმა და ნუღნუღა კი ძირისპურივით წამოიტკრიცა სიბრაზისაგან.

ნ უ ღ ნ უ ღ ა. ჰაი, თქვე უზრდელებო, თქვენა! თქვენც ამ ტუტრუცანა სიტყვიგუდას აჰყოლიხართ, განა?! დამაცადეთ! იმთენს გამუშავებთ დღეს ი ვენახში…...

სკოლის ბიჭები გავიტრუნეთ, მაგრამ სიცილს კი ვერ ვიმაგრებდით და ვფრუტუნებდით. სოსანა და ციკა გულიანად ხარხარებდნენ.

ს ო ს ა ნ ა. ემაგრე, შვილებო, ემაგრე კვერი დამიკარით ხოლმე, საცა მართალი ვარ. წეღან მაწყენინეთ, მაგრამ ეხლა-კი გემადრიელებით.

ნ უ ღ ნ უ ღ ა. ემადრიელები. ვითომ არქიელს დაუკრავ შენთვის კვერი!

ს ო ს ა ნ ა. მე შენთან საქმე აღარა მაქვს. რაც საჭირო იყო, ვთქვი და ამინით დავაბოლოვე. ეხლა ციკას უნდა ველაპარაკო. შენ ის გირჩევნია, ე ბიჭები გაირეკო, საითაც შენს სულთამხუთავს გაუმგზავრებიხარ, თორე ხო იცი შენი ბოროტი სული წვერცამეტას ამბავი, სულ შხამითა და ნავთით ამოგადენს ცხვირიდამ, რაც იმის მარანში მალვით პილატეს ცრემლი ჩაგიცეცხლია. სულქვეშა თქვი, ტიკსუსუნე, დღეს რამდენი ტაქანი რუსი-სიმწვავე ჩაჰცეცხლე?

ნ უ ღ ნ უ ღ ა. შენ ჩემ გამგზავრებას და რუსი-სიმწვავეს არავინა გკითხავს, ჩემი საქმისა მე ვიცი.

ს ო ს ა ნ ა. ჩემმა სიტყვებმა შეგაფუცხუნეს განა?! ეს კიდევ რა არი, ამას იქითა ნახე შენი ყოფა: ცალი თვალით გაცინებ, ცალით გატირებ. ვერ მოჰდრეკავ კედელსა, ვერც შეასმენ რეგვენსაო. ზღვას ხმელეთად გადავაქცევ და შენ კი, ძმავ, ვერ მოგაქცევ. მე იგრევ ის მირჩევნია, ჩემს ციკას ვეჭუკჭუკო, ციკავ! მოდი, დაჯე, ბიჭო, რა აყლაყუდა ბოძივით აჰყუდებულხარ, არ დაიღალე?

ც ი კ ა. შენ, წელიწადი თორმეტი თვეა, მოშლილ წისქვილივითა ჰროშავ, ენა არ გეღლება, და მე რა დამღლის, ბარი არ მიჭირავ ხელში და ნიჩაფი.

ს ო ს ა ნ ა. მოდი, მოდი, დაჯე ჩემთან, შენთან სიტყვა მაქვ.

ც ი კ ა. დგომელაც კარგა გავიგებ.

ს ო ს ა ნ ა. მოდი-მეთქი, უხიაკო, კერპო! ნუ ხარ ე ჭკვით ღარიბი, გლახა: შენ რო გაიგებ, სხვაც გაიგებს და საქმე წახდება. ჰა! მოდი, კარგი, დაეგდე თუ ჭკვასა ხარ, თორე ჯანი გაგვარდეს, აღარ გეტყვი და შენ იზარალებ, მე რა დამაკლდება.

ც ი კ ა. აჰა! ესეცა დავეგდე. აბა, მითხარ.

ს ო ს ა ნ ა. ჰოო, აგრე, აი! გულხმიერი და მძიმე იყავ, რო წონაში მოხვიდე. შენ ერთი პატა მადროვე, ე ყალიონი გავიჩაღო, და მემრე კი ბატონი ხარ ბატებისა, მოურავი კატებისა: ყველას გეტყვი ყურში.

შეფიქრიანებული ციკა მოუთმენლად შესცქეროდა სოსანას, რას მეტყვისო. სკოლის ბიჭებმაც ყური ვყარეთ: ნეტა ჩვენც გაგვაგებინა, რას ეტყვისო. მხოლოდ მარტო ნუღნუღას მოეყრუებინა ყური და მომავალის ტაბლების ტკბილ ფიქრებში ღრმად გართული ყალიონს იკეთებდა.

ც ი კ ა. ჰა, კარგი, მითხარ, კაცო! სული ნუ დამალევინე.

ს ო ს ა ნ ა. რას მომცემ, რო გითხრა?

ც ი კ ა. დაიღუპე აქედამ შენი მწალტე ენით! არც შენი სიტყვა მინდა და არც შენთან ლაპარაკი! _ ციკა გველნაკბენივით წამოხტა ზეზე გაბრაზებული. ბიჭები გულიანად ვიცინოდით და, ასე გასინჯეთ, თითონ პირქუში ნუღნუღაც კი იღრიჭებოდა.

ს ო ს ა ნ ა. ოხო-ხო! გაცხარდა, ციკა, გაცხარდა, თუ წამოჰხტი, გულდაგულ დაიძახებ:

ვაჟკაცის გული ლომია,
არ დაურჩება მტერსაო,
სიცოცხლეს მსხვერპლად შესწირავს
თავის ქვეყანა-ერსაო.

და ხმალდახმალ გადაერევით მტრის დარაზმულს ლაშქარში მამაპაპისებურად! სად არი სამართალი, თორე შენისთანა ქალაჩუნა ლაჩრებს ლუკმასაც არ უნდა აჭმევდეს პატრონი და გოგოები ხო შორიახლოსაც არ უნდა იკარებდნენ. მე რო ღმერთი ვიყო, მთელ საქართველოს მანდილოსნებს ფურთხის გუდებად ვაქცევდი და სულ მა ცხვირ-პირში ვაფურთხებინებდი შენისთანა ქუდოსნებისათვინ!

ც ი კ ა. რო დააყრი ხოლმე, სხვასაც დააცალე და! რატომაც არ გადავერევი?! იყოს რამე, თორე სუ ზურგზე ნაბუარს ავადენ ჩემს მტერს და იგრე ძალზე ჩავტყორცნი ქვესკნელს, რომ ცხრაუღელა კამეჩმაც ვეღარ ამოათრიოს მზიან ქვეყანაში!

ს ო ს ა ნ ა. ჰო-ჰო-ჰო!.. ეს აღარა ხუმრობს: ჯავრობს, ცხარობს, ცეცხლს იკიდებს! ეს რა ყოფილა, ეეე!.. შენს პირს შაქარი, ციკო, ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ თხას მგელი დაეჭიროს. ბიჭსაც მაშინ დაგიძახებ, მაგრამ ვაითუ შენც სიტყვით სწორედ და საქმით კუზა გამოსდგე? აი ხათაბალაც ეს იქნება! ეჰ, კარგი, ამას თავი დავანებოთ.

ც ი კ ა. თუ არ მეტყვი, ტირილს დავიწყებ რა?! მიყურე, როგორ ვიმღერო:

შენი ძმობის სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია,
ჭორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია,
თუ რო გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.
ჰო დელა-ნანინა, ჰოპ!

ამ სიტყვებზე ციკა ცერცვივით შეხტა და ციბრუტივით შემოტრიალდა.

ს ო ს ა ნ ა. ურა, ბიჭებო ურა!
გალობს ჩვენი დეღურა!

ც ი კ ა. გალობს შოშია,
ჯავრობს გოშია...
ჩემო კოკლე,
შე სულმოკლე,
დღენი რისთვის დამიმოკლე!
ტარა-ნინაჰ! რახნა-ნინაჰ!
ნინაჰ-ნინაჰ, რაჰხნა ნინაჰ!

ს ო ს ა ნ ა. ნეტავი შე ციკო, რო არაფრის დარდი არა გაქვ, და ამბობ, რაც ენაზე მოგადგება.

ც ი კ ა. რა დარდი უნდა მქონდეს?! დღესა ვარ, ხვალ აღარ ვიქნები: მიწა შემჭამს. არა, სადარდებელი რა მაქ? ვენაცვალე ღმერთს, ვირჯები და ტკბილ ლუკმასაც ვჭამ. არც ჭკვაში, მკლავში, იარაღში და ტანისამოსში ჩამოვუვარდები ჩემ ტოლ ბიჭს ღვთის მადლით! აქ უყურე ჩემს ახალ ტყავი პაჭიჭებს და ცალ-ლულიან თოფს, როგო ფერუმარილით გათხუპნულ გოგოს ლოყებივით ლაპლაპებენ ღორის ლურთისაგან! სხვა რა მაკლია?! ეს ტრედისფერად მოკაშკაშე მთვარე _ მზიანი ცა, ეს ხასხასა მწვანით გადაღაღანებული და ლურჯლილასავით მთებით შემოციხული მინდორ-ველი, ეს კარგი ყინვასავით წყარო, კარგი, დახატული მუხა-კაკლების ჩრდილი, კარგი ყვავილების სუნით გაჯღენთილი ნიავი, კარგი ნოყიერი რძე-მაწონი, კარგი ღორის მწვადები და წითელი ნუნუა და სხვა რაღა მინდა ა

წუთისოფლის სამოთხეში?! ასე ვთქვათ, ერთი კარგი ფუნჩულა გოგონაღა მაკლია, ჰა-ჰა! მაგრამ

ღმერთო შეგვიწყალეო,
ალილო და ხვალეო.

ამასაც მალე მოვესწრები და ტახივით ავისუყებ გულს მის ხვევნა-კოცნით ჟინმოკლული და მერე რაღა მინდა?!

ს ო ს ა ნ ა. ბიჭოს! სხვა რაღა უნდა გინდოდეს?! ეგაც მეტია, რაც შენ ჩამოსათვლელი ჩამოსთვალე!

ც ი კ ა. ღმერთს შენთვის მუშაობის შნო და ხალისი კი არ მოუცია, მეველობაში ატარებ მთელ შენს სიცოცხლეს.

ს ო ს ა ნ ა. ეს კი საქმე არარი, რო დღე და ღამე ძერასავით თავს ვევლები ი ვენახებს?!

ც ი კ ა. თავს ვევლები!.. ჰოდა მეც ე მაგას გეუბნები, თავს ევლები ი ვენახებ და დღისით ქათმებსა ჰჟლეტავ ი შენი კუდა-შაშხანა თოფით და ღამით ბზის ფასად ყურძენსა ჰყიდი მინდვრის ბიჭებზე.

ს ო ს ა ნ ა. ეგ ის არი: ჩემი არ გითხრა, გულით რით დაგწვაო. არა, შვილო, მე იმ თავლაფიან მეველეების ნახირისა არა ვარ, რომლებიდამაც შენ ბზის ფასად ყურძენი გიყიდნია შენი ნაპარევი რძე-მაწონით. ღმერთი არ გაგიწყრეს, ჩემთან ეგ არ გაჰბედო და არ მომიტანო, თორე შენს დო-მაწონს შენვე თავ-პირზე ჩამოგასხამ და იგრე გამოგისტუმრებ. ახ, ი დალოცვილმა ღმერთმა რათ წაგვართვა ი მადლიანი ვანიკო, რომ შენთვინაც ერთი იგეთი ლექსი გამოეთქვა, როგორიც ჩვენ დოყლაპია გალუსტას გამოუთქვა.

ც ი კ ა. რძე-მაწონს კი არა, შავ ქვას მოგიტან, რო გულზე დაიდვა. არა ი საწყალი ვანიკოს რიღასთვინ მისწვდი ი საფლავში. თორე ჰო კიდე, მართლა, ეხლა მომაგონდა. ე ხო ვიცი, რომ ჩემთან სათქმელი არა გაქვს რა, და იმ დღეს რომ მპირდებოდი, ვანიკოს პაპის აქიას გიამბობო, ის მაინც მითხარ, შე ოჯახქორო, მინამ მოცლითა ვართ.

ს ო ს ა ნ ა. შენ?! აღარას გეტყვი და თუ გეტყვი, იგრევ აი ე მოწაფეებს ვეტყვი, რომ ისწავლონ რამე. თქვენ, ეი! რა ყურები ჩამოგიყრიათ. გაგულხმიერდით და გადაიქეცით სმენად, ვანიკოს პაპის აქია უნდა გითხრათ, გესმით თუ არა?

_ გვესმის, გვესმის! _ მივაძახეთ ბიჭებმა.

ს ო ს ა ნ ა. გვესმის, გვესმის! ჩემს მტერს არა ესმოდეს რა, რო თქვენ არა გესმით რა, თორე აქ რას აკეთებთ ეხლა და წიგნს არა სწავლობთ, ჰა? ჯამაგირს იმიტომ იღებს ი თქვენი წვერცამეტა მღვდელი, რო გასწავლოთ რაიმე და კაცური კაცები გამოხვიდეთ, და თქვენ კი ყურმოჭრილ მონასავით იმის საქმეს აკეთებთ. ფუ! შაგირცხვეთ ე უგნური ბიჭობა და არაკაცური საქციელი! ხარი ხართან დააბი, ან ავს ისწავლის ან კარგსაო. და თქვენ ა ნუღნუღამ რა უნდა გასწავლოთ, გარდა ცუდკაცობისა? უყურეთ! უყურეთ, რამოდენა ყბა დაუღია! დიდება შენთვის, უფალო! რამ დააძილქუშა ეგრე მალე ამ დროს, როცა ქვეყანა სიცოცხლით დუღს და გადმოდის!

_ კარგი, კაცო, გვითხარ, თუ გვეტყვი, თორე გაიღვიძებს ნუღნუღა და მაშინვე ვენახისაკენ გაგვირეკავსო, _ უთხრა ერთმა ჩვენთაგანმა.

ს ო ს ა ნ ა. ზარბაზნებიც რო დაუცალოთ, თქვენ მაგას გონში ვეღარ ჩააგდებთ. ჰო, აბა; ეხლა კი სმენა იყოს. აქია პაწაწინაა, მაგრამ, რას დაჰდევთ, ეხლანდელს

უსარგებლო დიდ ამბებსა სჯობია. ვანიკო თქვენი ამხანაგი იყო და ჩვენი ღვთისნიერი მამასახლისა _ აბრამის შვილი, ეს თქვენც იცით. ექვსი დღეა, რაც ის შავს მიწას მივაბარეთ, მაგრამ დღესაც არ შეჰშრობია მდუღარება მთელ სოფელს და ეხლაც ცრემლით უსამძიმრებენ მინდვრიდამ მოსულები ვანიკოს წელმოწყვეტილს დედ-მამას. ხომ თქვენი თვალით მოიხილეთ, რა ზღვის ოდენა ხალხი მისდევდა ვანიკოს ყვავილებიანს კუბოს და როგორ მისტიროდნენ დიდი თუ პატარა. ჩვენ სოფელში ბევრი სხვაც მომკვდარა და კვდება კიდეც, მაგრამ იმათ მარტო თავიანთ პატრონები და ნათესავები მისტირიან და ბოლოს ისინიც კი შარშანდელ თოვლივით ივიწყებენ თავიანთ მიცვალებულს. ვანიკოს კი დღესაც ტირის და გლოვობს მთელი სოფელი დიდიან-პატარიანათ და იქამდის იტირებს და იგლოვებს, მინამ საშვილიშვილოდ არ შეიქმნება იმისი სამახსოვრო საქმე და უკვდავი სახელი. აი, რა შეუძლიან კაი კაცობას! მერე რა მოიმოქმედა იგეთი სასახელო ვანიკომ? ის, რო თავი არ დაიზოგა სასიკვდილოდ, ანთებულ ცეცხლში გულუშიშრად შევარდა დევგმირსავით, ორი სული დაიხსნა სიკვდილიდამ და თითონ მოკვდა იმათ ბადლათ! ოოხ! სულით გაგანათლოს უფალმა, მადლიანო ვანიკო, და შენი აქ სხვისთვის ნაწამები ანგელოზივით თავი მანდ მოასვენოს თავის კაცთმოყვარე კალთაში ჩვენთვის ჯვარცმულმა და ტანჯულმა იესო მაცხოვარმა!

ამ სიტყვებზე სოსანას ღაპაღუპით ჩამოედინა ცრემლები და სიტყვა შეუწყდა გულამომჯდარს. ზოგიერთ სკოლის ბიჭებსაც ცრემლებით თვალები აგვემღვრა და სულგანაბულები ველოდით სოსანას სიტყვას. ჩაფიქრებული ციკა კოხტად ებჯინა თავის კავს და იმასაც სოსანასაკენა ჰქონდა მომართული ყურთასმენა. მხოლოდ გულაღმა მწოლიარე ნუღნუღა კი ისევ გულარხეინად ხვრინავდა ტკბილს ძილში. ბოლოს მწარედ ამოიოხრა სოსანამ, ხელით მოიხოცა ცრემლები და დაიწყო:

ვანიკო ეგეთი ღვთის ნათლული ყმაწვილი იყო. მაგრამ ახლა ვნახოთ, რა კაცია და ვისი შვილი თითონ ვანიკოს მამა და ან რათ ეძახიან ყველანი ღვთისნიერს აბრამს. ააანგე! გაიხედეთ, ჩვენი ყარაღაჩის კალოებისაკენ, როგო ყალხზე შემდგარ ვეშაპებივით მოჩანან ჭუეთის მთიდამ ჩვენი დიდებული თამარმეფის ციხეები, იქ ამ სამოციოდე წლის წინად დიდი ტყე ყოფილა. იმ დროს აბრამის მამა თევდორე ქევხათ ჰყოლია ჩვენ სოფელს და კალოებიდამ დიამბეგთან გაუგზავნიათ თუქურმიშაში. ქევხას ორმოცი თუმანი სოფლის ფული მიჰქონებია დიამბეგთან და, მიახლოებულა თუ არა თამარმეფის ციხეებს, თავზე ყაჩაღები დასცემიან, ქევხა მოუკლავთ, გაუძარცვამთ და გადაქაჯულან. ბევრი უცია თავპირში და ბევრი ცრემლი დაუღვრია ქევხის ჯალაბს თებროს, მაგრამ რაღას უშველიდა საცოდავი. ქევხას რვა ცხრა წლის ვაჟიშვილი აბრიკო დაჰრჩომია, და რადგანაც ქევხა საწყალი და სოფლის სასარგებლო კაცი ყოფილა, ამისათვის სოფელს თავის ხარჯზე გამოუზრდია დაობლებული აბრიკო თელავის სკოლაში. აბრიკოს დახატულად უსწავლია წიგნი, ქცეულა კაცურ კაცად და ბოლოს, როცა ქევხობა გადავარდნილა, სოფლის მამასახლისობა მიუციათ იმისთვის. აი ეხლა სწორედ თოთხმეტი წელიწადი უსრულდება, რაც აბრია ჩვენში მამასახლისად იმყოფება, მაგრამ ერთი რიგიანი ადამიანიც ვერ გამოვა და ვერ იტყვის იმის ცუდს: არ ყოფილა ზოგსავით მოქრთამე და ადამიანის შეუბრალებელი იუდა, არა ყოფილა ლოთი და თავის მოვალეობაზე გულაცრუებული, არა ყოფილა წინდაუხედავი აბუეტი და კაცის უღვთოდ დამსჯელი მოსამართლე, არა ყოფილა პირმოთნე ქლესა და იმისი სწორე მიუფერებელი სამართლისაგან ხო დღესაც ეშინიათ უსამართლოებს. აი, რისთვის

ეძახიან ღვთისნიერ აბრამს, აი, რისთვის სცემენ პატივს და უყვართ ეგრე ღმერთივით.

კაი სულმართალი და უწყინარი მამა ჰყოლია აბრამს, მადლიანი, გონებაგამჭრიახე და გავლენიანი კაცია თითონაც და კარგი ჰყვანდა ვანიკოც! მამა ნახე, დედა ნახე, შვილი იგრე გამონახეო, ტყუილად კი არ უთქვამ ჩვენს მამა-პაპას.

ეხლა ვნახოთ, რა დაემართათ ქევხის მკვლელ ყაჩაღებს ჭუეთის ტყეში. ყაჩაღები სამნი ყოფილან: არბოშიკელი ქართველი, სიღნაღელი სომეხი და ჭარელი ლეკი. ქევხის სიკვდილის მეორე დილას სომეხს უთქვამ თავის ამხანაგ-ყაჩაღებსათვის: მე ღვინის სასყიდლად წავალ თუქურმიშას და თქვენ ხორცი მოხარშეთ სადილისთვინო. სომეხი რო ღვინისათვის წასულა, ლეკს ქართველი შეუგულიანებია: მოდი, თუ ჭკუასა ხარ, სომეხი მოვკლათ და ჩვენ ორთ გავიყოთ ფულებიო, თორე ის იგეთია, რო დღეს თუ ხვალ გვიღალატებს და დაგვაჭერინებსო. კარგიო, უთქვამ ქართველს, ეგ მეც ჭკვაში მომდისო. მე ხორცს მოვხარშავ ლამაზად, შენ ყარაბინა დაამზადე და სომეხს მოსვლის უმალვე მზე დაუბნელეო. და როცა სომეხს საიქიოს გუდანაბადს ავაღებინებთ და გავისტუმრებთ ჯოჯოხეთისაკენ, მაშინ ერთი ლოთიანად დავსხდეთ, ლხინი გავაჩაღოთ და ქუდი ჭერსა ვკრათო.

გატენა ურჯულომ ყარაბინა, მოხარშა უღმერთომ ხორცი, მოიტანა ცოდვიჭამია სომხების თოხუმმა ღვინო და დადვა თუ არა ტიკჭორა მიწაზე, ის იყო კიდეც ყარაბინამ მეხივით დაიჭექა და იქვე ტიკჭორასთან სული გაანთხევინა. აბა, რას არ უნდა მოელოდეს კაცი კაცისაგან! ბოლოს, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, გადააგდეს სომეხი ღრანტეში, ამოაწყვეს მოხარშული ხორცი ტაბკურაზე, მიუსხდნენ წითელ ნუნუას და იგეთი დრო გაატარეს, რო აბა რაღა გითხრათ! იგრე დაიბროწლეს ი წითელი ჭაჭანაურით ლოყები და იგრე გამოწრუტეს სამ თუნგიანი ტიკჭორა, რო ცვარიც აღარ გაუშვეს.

მაგრამ დახეთ ღვთის განგებას! გაიარა თუ არა პატაოდენმა ხანმა, ლეკმა და ქართველმა ფეხები იფშხლიკეს, ისარნაკრავივით მიწას დაასქდნენ და მორთეს ერთი საშინელი ვაივაგლახიანი ღრიალი: გვიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი, დაგვებუგა გულ-მუცელიო. ხმაურობაზე ვიღაცა მონადირე მიზდგომოდათ, მაგრამ ვერც არა იმას ეშველა, და იქვე შხამნაჭამ ბუზებივით ამოხოცილიყვნენ. რა იყო ამათი ამოჟლეტის მიზეზი, ჯერ ვერ გაიგეს. და ბოლოს კი გამოქვეყნდა, რო გაიძვერა სომეხს ერთი პეშვი დარიშხანა ჩაეყარა ტიკჭორაში და ეთქვა: მე თავს მოვიმართლებ, ღვინოს პირთანაც არ მივიტან და როცა ჩემი ამხანაგები ჩაძაღლდებიან, მაშინ ფულები სუ მე დამრჩებაო. ის კი რა იცოდა, თუ ამხანაგები უწინ იმას ჩააძაღლებდნენ.

აი რა ბოლო მოზდევს ავკაცობას! ღმერთი უღმერთობას არავის აალებს, არა! თუ აქ არა, იქ გადაახდევინებს, სადაც ჭირიც დაუსრულებელია და ლხინიც. ნუ იქ ავს, ნურც ავისა გეშინიანო, თესე და კეთილს მოიმკიო. ავი კაცის ბოლო ჯოჯოხეთია და კეთილი სულისა კი იქ სიხარულიანი სამოთხეა და აქ პატივით მოხსენებაა. აი ესაც თქვენი ვანიკოს პაპის აქია. ისწავლეთ და ქვეყნის სასარგებლო კაცები გამოდით, რო თქვენც პატივსა გცემდნენ და თქვენ შვილებსაც. ეხლა კი ჩემს გზას გავუდგე, ის მირჩევნია. წასვლა სჯობს წამავლისა, არ დახანება ხანისაო.

სოსანამ ხვნეშით მოიკიდა გუდურა და გასწია სახლისაკენ. ციკამაც აშალა თხები და გაირეკა საძოვრისაკენ სიმღერით:

მჭადი ვჭამო, მჭადი მომკლავს,
არა ვჭამო _ შიმშილიო.
ომში წავალ, ტყვია მომკლავს,
უკან დავრჩე _ სირცხვილიო!

ეს იყო კიდეც კაკლის კინწეროს ყვავი მოაჯდა ჩხავილით. ნუღნუღამ თვალები გამოაჭყიტა. ბედგახუნებული ბელადივით მიგვიძღოდა ვენახისაკენ, ჩვენ ქონდრის ლაშქარივით მივდევდით უკან და თან ლექსს მივიმღეროდით.

თექვსმეტმა წელმა გაირბინა ჩემი ამხანაგი ვანიკოს სიკვდილის დღიდამ. ქვეყანაზე ბევრს რასმე უცვალა ფერი ამ ხნის განმავლობაში მოღალატე წუთისოფელმა და არც მე დამტოვა უცვლელად. მუდმივმა სწავლამ, მოუსვენარის გულის მწარედ მღელვარებამ, ფიქრმა, ჯაფამ და სიღარიბემ _ შავი თმა ვერცხლის ფერის თმებით ამიჭრელეს უდროვოდ და მოცინარე სახე სამუდამოდ შემიმწუხარნაღვლიანეს. მაგრამ მე მაინც არასოდეს ვემდური ჩემს ბედს და ყოველთვის მზათა ვარ სწავლა-ჯაფისათვის ყოველნაირი გაჭირება და მწუხარება ავიტანო. ნათქვამია: სიბერემდის კაცს სწავლა სჭირდებაო; უჯაფოდ არარა გარიგდებაო; კაცი უჭკო ბრძენი ვერ გახდებაო. ცხონებული მამაჩემი მეტყოდა ხოლმე პატარაობაში: «შენს სიცოცხლეში არ უღალატო სწავლა-ცოდნას და არ დაივიწყო, ჩემო კარგო შვილიკო, რომ ერთი ჭკუით მდიდარი ადამიანი მთელის ქვეყნის უსარგებლო მდიდრებსა სჯობიაო: უსარგებლო მდიდრები ჭიებივით სწყდებიან და ქარწყლდებიან და ღვთისნიერი ჭკვიანები კი ორთავ სოფლად იხსენებიანო!» საწყალი დედაჩემი კი ყოველთვის ამას მეხვეწება: «ნუ იწყალებ, შვილო, თვალებს მაგდენ წერა-კითხვაში, აგრემც დედა წამლად დაგედება». რას იზამთ, დედის გული ჩვილია, და ისევ მრავალს ჭირს და ლხინში გამოცდილ მამის სიტყვას უნდა დავუჯერო.

ღმერთო! რა ერთი იტირა იმ დღეს საბრალო დედაჩემმა, როდესაც დიდი ხნის უნახავმა სანთელივით ჩამომდნარი მიხილა, შორს ქვეყნიდამ მოსული. შვიდი წელიწადი შორს რუსეთში ვიყავ სასწავლებლად და ჩემი საწყალი დედა და სახლ-კარი არც ერთხელ არ მენახა ამ ხნის განმავლობაში. ბევრჯელ დამიღიღინია რუსეთში ნაღვლიანად:

მეცა მყავს სატრფო გულისა,
დღესაც ვცოცხალვარ მისითა,
მაგრამ შორს მყოფი მის ცეცხლით
ვიწვი ღამით და დღისითა.
წავალ და ვნახავ სამშობლოს
გაიავარდფერებულსა,
იქ მე გულს გავიზაფხულებ,
გულს სევდით დაზამთრებულსა.

აი ეს ტკბილი იმედი მასულდგმულებდა უცხოეთში, და მართლაც შემიბრალა იესო წამებულმა და ამისრულა საწადელი: დილის მზე ახლად ამოდიოდა მედიდურად გალაჟვარდებულ კავკასიონის მთიდამ და საამურად ალაპლაპებდა თავისის ცხოველმყოფელის ოქროს სხივებით ჩემ სამშობლოს ათასფრად აყვავებულს მინდორ-ველს, როდესაც მე ჩვენს სახლს მივუახლოვდი, რუსეთიდან მოსული. დიდის ხნის უნახავი სამშობლო ქვეყნის ნახვით მიმკვდარებული გული უცბად გამიცოცხლდა და დილის ვარდივით გადამეშალა სიხარულით.

ყრმობიდგანვე ჩემს სულთან განუყრელად შეთვისტომებულ მთა-ტყე-ველის დანახვამ ტირიფივით ამათრთოლა, წკანწკარა წყაროსავით ჩამომადინა თვალებიდამ სიხარულის ცრემლები და ცაში ვფრინავდი, ტკბილაღტაცებულის ნეტარებით დამთვრალი.

შევდგი თუ არა ჩვენს ეზოში ფეხი, მაშინვე ჩვენი ძაღლი გრიშკა გამოექანა ჩემსკენ, გაანჩხლებული. ძაღლს ალერსი დავუწყე: «გრიშკა, გრიშკა! ჩემო გრიშკო, ნუთუ ვეღარ მცნობ-მეთქი». გრიშკამ იმწამსვე მიცნო ხმაზე და ზედ გულის პირზე შემომაფრინდა სიხარულიანის წკმუტუნით. ამ დროს დედაჩემი და ჩემი რვა წლის და იამზე მორბოდნენ ჩემსკენ სიხარულით თავდავიწყებულნი. «შვილო»! _ შემომძახა გულამომჯდარმა მშობელმა. _ დედავ! შევძახე მეც თვალცრემლიანმა და გადავეხვიენით ერთმანეთს ქვითინით. ჩემი პაწაწა და იამზე კი იდგა ჩვენს ახლოს იასავით მორცხვად თავდახრილი და მარგალიტივით ცრემლები ჩამოსდიოდა მშვენიერ სახეზე, თითქოს იმ ცრემლებით ეს უნდოდა ეთქვა ჩემთვის: მე ისევ ძუძუთა ბალღი ვიყავ, როცა შენ სამშობლო მხარე დასტოვე და შორს რუსეთში გაემგზავრე სასწავლებლად. შენ ჩემი ერთადერთი საყვარელი ღვიძლი ძმა ხარ მთელს ცასა და ქვეყანას შუა, მაგრამ მე კი ეხლა გხედავ მზიან ქვეყანაში, მიხარიან და ვტირი! ოჰ, ჩემო გულის საყვარელო ძმაო! სად იყავ აქამდის, რათ დაგვანატრულე შენი ნახვა და რატომ არ მოხველ შენს ქვეყანაში? მთელი შვიდი წელიწადი დედა სულ შენს ლოდინში იყო, შენზე ნაღვლობდა, ტიროდა და მატირებდაო.

ბოლოს ავიყვანე ხელში ჩემი დახატული შვიდი წლის უნახავი და იამზე, სიყვარულით ჩავიკარ გულში და მივედით სამნივე ჩვენის საწყალის ქოხის დერეფანში. ნახევარ საათის განმავლობაში მთლად გაივსო ჩვენი ეზო ჩვენის მეზობლებით, სოფლელებით და ნათესავებით. ყველას უხაროდა ჩემი ნახვა. ყველანი მესიყვარულებოდნენ ტკბილის სიტყვებით. ყველა მხიარულის სახით ულოცავდა დედაჩემს ჩემს მშვიდობიანად სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენც, მე და დედაჩემი, ყველას გულითად მადლობას ვუხდიდით და ყველას დედაშვილურად ვესიყვარულებოდი ნამტირალის თვალებით.

ჩემს რუსეთში ყოფნის დროს ბევრის თავი გაეხმო და დაემიწებინა უწყალო სიკვდილს. ვეღარა ვნახე ვეღარც ღვთისნიერი, კაცთმოყვარე აბრამი, ვეღარც ზენოს გულის საყვარელი საბა; ვეღარც ღვთის ეკალი ნარუსალი და ვეღარც ბევრნი სხვანი. ისინი გაუმაძღარ სიკვდილს ჩაენთქა საუკუნოდ. ვანიკოს დედა _ მართა ღრმა მოხუცებულიყო. ნარუსალის ნაცოლარი თეონა გათხოვილიყო და იმისი შვილი დიონე ისევ სემინარიაში სწავლობდა აბრამის ხარჯზე. აქამდე ცხრაჯერაც მოკვდებოდა ვანიკოს დედა, დიონე რომ არ დაჰრჩომოდა სანუგეშებლადაო, _ მეუბნებოდნენ მეზობლები. ისე გაგიჟებით უყვარს თურმე ჩვიდმეტი წლის დახატული ჭაბუკი დიონე მოხუცს მართას, რო ხანდახან რაღაცნაირად გაშეშმიშდება ხოლმე და ტირილით ჯავრობს: თქვენ ჩემს შვილს ვანიკოს სახელს რად უცვლით და დიონეს რათ უძახითო, მაგრამ მალე გადაუვლის ხოლმე ეს უცნაური სულის ავადმყოფობაო. არდადეგების დროს, როცა დიონე ქალაქიდამ სახლში ბრუნდება, მოხუცი სულ იმის მოვლა-ალერსშიაო; მიიკრავს ხოლმე გულში და თვალცრემლიანი უამბობს ვანიკოს პაპისა და მამის წარსულ ცხოვრებას, ვანიკოს თავგადასავალს, ნარუსალის დანგრეულის ოჯახის ამბავს და ათასს რაგინდარასაო. ერთ დილას თითონ დედაჩემს შეესწრო თვალი: დერეფნის ტახტზე ჩამომჯდარს მართას შვილობილი დიონე გულში მიეკრა სიყვარულით,

ვანიკოს სიკვდილის მიზეზს უამბობდა დაწვრილებით. თუ როგორ გადაანარჩუნა ვანიკომ ძუძუთა დიონე, და დიონე გულსაკლავად ქვითინებდა მდუღარე ცრემლითაო.

თითონ დიონესაც ძალიან ჰყვარებია დედობილი მართა: ღვიძლს დედა თეონას კი თვალითაც აღარა ნახულობსო და იფიცავს: აღარც ვინახულებ ჩემს სიცოცხლეშიო, იმისთვის, რომ მეორე ქმარი არ უნდა შეერთოვო და უფრო კი იმიტომ, რომ ვანიკოს სიკვდილის თავდაპირველი მიზეზიც ის არის, ზენოსიც და საბასიცაო: საწყალი ზენო რო საბასათვის მიეცა, მაშინ აღარც ქოხი დაეწვებოდა და აღარც ზენო, აღარც საბა, აღარც ღვთისნიერი აბრამი და აღარც საცოდავი მამაჩემი არ დაიხოცებოდნენო.

მეტად ჭკვიერი ყმაწვილია თურმე დიონე და ძალიანაც ჰყვარებია მთელს ჩვენს სოფელს. «მშვენიერი ქართულ-რუსულის წიგნების ბიბლიოთეკა აქვსო, მეუბნებოდა დედაჩემი, როცა დიონეს ამბავს ვკითხავდი. ყოველს ზაფხულს, როდესაც კი შინ იმყოფება, ხან ჭკვიანურ წიგნებს უკითხავს ხალხს, ხან სოფლი-სოფლად მოგზაურობს ფეხით და ხალხის ყოფა-ცხოვრებას აკვირდება, ხან უცოდინარებს ათასნაირ დარიგებას აძლევს და ეწევა სიტყვით თუ საქმით, ხან ხალხში ნახულ-გაგონილს სწერავს თავისთვის, ხან მოხუცებულებს ემუდარება და ძველის დროის ამბებს, არაკებს და ლექსებს აამბობინებს საგაზეთოდ და ამგვარად სხვებსაც ასწავლის და თვითონაც სწავლობს ჩვენის ქვეყნის ძველისა და ახლის ავ-კარგს ჩვენსავე ქვეყნის საბედნიეროდაო: ღმერთმა დიდი დღე მისცეს. შვილო, ეხლავე ემჩნევა, ქვეყნის სასარგებლო და სახელოვანი კაცი გამოვა დიონეო, დაუმატა ბოლოს დედაჩემმა.

ამ სასიამოვნო ამბის შეტყობის მეორე დღეს, ჩვენს მოხელეებისაგან რაღაცაზე გულმოსული კიკოლა საბრალოშვილი ამაყად უყვიროდა სოფლის ყრილობაში ჭამიაშვილებს: დაიცა, დაიცა! ერთი ღვთის მადლით მალე გაათავოს სემინარია დიონემ და მაშინ გიჩვენებთ თქვენს თამაშს, როცა ნაჰწავლი მამასახლისი გვეყოლებაო. «ვერ მოგართვესო, _ უპასუხებდნენ ჭამიაშვილები, _ დიონე ღვდლად ეკურთხებაო. არაო, —ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდამ ჭამიაშვილებს საბრალოშვილის მომხრეები. _ იმას უნდა მივცეთ მამასახლისობა, იმას! რო დედაბუდიანად ამოაგდოს ავი ადამიანის სახსენებელიო. ჯერ ბიჭი იგრევ ჩვიდმეტის წლის ბალღია და იგრე ღმერთივით უყვარს სიმართლე და ჭირივით ეჯავრება უსამართლო ადამიანი და როცა დაკაცდება და სოფლის მოთავე მამასახლისად გვეყოლება, მაშინ ხო უკეთესი იქნებაო.

რუსეთში ყოფნის დროს, სხვა სწავლასთან, მიწა-წყლის მოვლის ცოდნაც შევიძინე. სახლში მოსვლისთანავე ჩემის დედულ-მამულის მუშაობას მივყავ ხელი და რიგიანად შევიმუშავე და გავაახლე ჩემი პატარა ვენახები და სახნავ-სათესი. ო ღმერთო! რამდენი შრომისა და ჯაფის ოფლი ჩაუღვრია საწყალს დედაჩემს ამ ჩვენს მამულში მე და ჩემის პაწაწა დის გამოსაზრდელად. მე რომ ჭკვიერი, ღვთისნიერი, გამრჯე და გამჭრიახე დედა არა მყოლოდა, დავრჩებოდი უსწავლელი ტეტია და ყველა უსამართლოსაგან აბუჩად აგდებული, უბედური. ჩემის ხელის გულზედაც რომ ერბოკვერცხი მოვუწვა დედას, მაინც ვერ გადავიხდი იმის ამაგს. დღესაც-კი არ იგონებს ჩვენს ხვეწნა-მუდარას ბევრის ჯაფისაგან გატეხილი საბრალო დედაჩემი და შრომობს ყოველ ცისმარე დღეს; არა, შვილო, გული არ გამიძლებს და ვერ ვიცოცხლებ, თუ არ ვიშრომეო, მეტყვის ხოლმე ალერსიანის სიყვარულით. ჩვენს შინავენახებში რომ ადამიანი შევიდეს, გამოსვლა აღარ მოუნდება:

დედიჩემის შრომა-ოფლით მწვანედ გაღაღანებული ბოსტანი, იმისივე ხელით კეკლუცად ჩამწკრივებული ხეხილები, ვაზის საამური ხეივნები და იმათს ყვავილოვანს ჩრდილებში მწივანა გველივით მოლივლივე ანკარა წყარო მკვდარსაც კი გააცოცხლებს და გულსა და სულს დაუშაქრავს სიამოვნებით.

საშინელს მდგომარეობაში ვიყავ ერთს კვირა დღეს: გული სასიკვდილოდ მიშფოთდა რაღაცაზედ და უწყალოდ მტანჯვდა და მახრჩობდა გულზე შემოწოლილი შხამგესლიანი სევდა ბოღმისა. მივდიოდი ქალაქ გარედ სასაფლაოებზე გულმოკლული, ძილნაკრთობი, წარბშეკრული, მოღრუბლული და იქ ვიქარწყლებდი შავს ნაღველს. საფლავის ქვების დანახვის უმალვე მაგონდებოდა ჩვენი წუთიერი სიცოცხლე და უწყალო სიკვდილი და იმ წამსვე გადამეყრებოდა ხოლმე გულიდამ სევდის ღრუბელი. ასევე მოვიქეც იმ დღეს: ავდექ და გავწივე ჩვენის სოფლის სასაფლაოებისაკენ გულის წუხილის დასაამებლად, მაგრამ გზაში უფრო უარესი დამემართა: გულს შავი ნისლი მოაწვა, შავი სევდისა ზღვისანი, შავად მეჩვენა ქვეყანა და ბნელად სხივნი მზისანი. ეხ! საწუთროვ, მავნე, ავო, ჯოჯოხეთო, გამტანჯავო! ოხ, წყეულო სულო ჩემო, ვერ გასწავლე დაწყნარება, ო, რათ ხარ გულო მგრძნობიერი, ვჭაღარავდები. ნეტავ შენ, ვინც, შენ არა დროს არა ჰთეთრდები!

გაიარა ცოტა ხანმა და მთის კორწოხზე ვიდექ საფლავებთან. იქ, საფლავების შუაგულში ეკლესიაა აშენებული, რომელიც დიდებულად გადასცქერის ცამდე მიბჯენილს კავკასიონის გალილისფერებულს მთებს და ალაზნის მწვანე ხავსივით მობიბინე ათასფეროვანს მინდორ-ველს. ჩამავალი მზე ერთი შუბის ტარზეღა იდგა და იმისი მრავალცისკროვანი ოქროს სხივები გულუხვად აბნევდნენ ოქროს მტვერს დახატულს ქვეყანაზე. დიდხანს გადავსცქეროდი აქეთ-იქით მდუმარე მთის წვერიდამ სამოთხესავით დასურათხატებულს ჩემი სამშობლოს ჭალამთიანს მინდორ-ველს და ახლად გამოდარებულს გულს ვიტკბობდი მისი საამური სანახავებით. ბოლოს ჩამოვჯექ ერთის საფლავის ქვაზედ დაფიქრებული, დავაცქერდი ჩემ წინ მეორე საფლავის ქვას და შემდეგი ამოვიკითხე

მეც მქონდა ქვეყნად ერთი დრო,
გული ცეცხლივით ღვივოდა,
და ჩემსა ენა-კალამსა
მარგალიტები სცვიოდა.
მართალი ვიყავ უფალთან,
ჩემზე არავინ ჩიოდა;
მოვკვდი და ყველას შევბრალდი,
ცასაც კი ცრემლი სდიოდა.
ვანიკო მერქვა სახელად,
დედ-მამა მყვანდა ღვთიანი.
თოთხმეტის წლისას მესტუმრა
სიკვდილი ომახიანი.
არც შენ შეგრჩება, მკითხველო,
სიცოცხლე მშვიდობიანი:
მოჰკვდები, დაგიბნელდება
ცა და ქვეყანა მზიანი.
ნუ წაიწყმენდავ წუთისთვის

სულს ღვთისგან მომადლებულსა,
ნუ დაუმონებ გონებას
გულისთქმას გაავებულსა.
გაიკითხავდე, უშველდე
გლახაკს და გაჭირვებულსა.
აქ მადლი თესე, იმქვყნად
მოიმკი აყვავებულსა.

«ღმერთო ჩემო! და ეს ხომ ჩემის ნაამხანაგარის ვანიკოს საფლავია-მეთქი», სიმწრით წამოვიძახე წაკითხვის უმალვე, და ღრმად შემომკვნესა გულმა ტანჯვით.

ვანიკოს ხსენებამ დაწვრილებით მომაგონა და გადამიშალა თვალწინ მთელი ჩემი წარსული სიყმაწვილე თავისის ათასნაირის თავგადასავალით. ნათლად წარმომიდგა აგრეთვე დახატული და გულკეთილი ვანიკო; გამახსენდა იმისაგანვე თექვსმეტი წლის წინად ნათქვამი ჭკვიანური და გონივრული სიტყვები; გულის სიმწვავემ ტუჩები ამითრთოლა და თვალები სიბრალულის ცრემლით ამევსო. ჯანღივით აშლილმა ფიქრებმა საიდღაც გამიტაცეს და დიდხანს ვიყავ ისე ჩემს საუკუნოდ გაფრენილს პატარა ბიჭობის მოგონებაში გართული. ღმერთო! რა არ მომელანდა თვალწინ ჩემი წარსულის სიყმაწვილისა. ცხადად წარმომიდგა, სხვათა შორის, ის დროც, როცა მე წითელით ავად ვიყავ და ჩემს გვერთ მჯდომარე თვალცრემლიანი დედა ნელტკბილად დამჩუჩუნებდა ალერსით იავნანას ლექსებს.

მომაგონდა ისიც, რომ ჯერაც არა მირგია რა ჩემის ქვეყნისათვის და რაღაც გონების საყვედურმა, გულის სინანულმა და სულის ტანჯვამ დამაუძლურა უცბად ცრემლმორეული და მწუხარების ძილმა მომიპარა და სანახავი მომასიზმრა:

ერთს ცამდე აყუდებულს სალაკლდიანის ლიტაო მწვერვალზე ვიყავ საცოდავად მობუზული და გულგახეთქილი ველოდი: აი ან ეხლა ჩავიღუპები თვალჩაუწვდენელს უფსკრულში და ან ეხლა მეთქი, მაგრამ ამასაც არ დამაჯერა წყეულმა მოჩვენებამ ელდანაკრავს და საზარელობა უფრო გამიორკეცა: ცა და ქვეყანა ჯოჯოხეთის შავბნელმა ღრუბლებმა მოიცვა. საზარელზე საზარელი ელვა და ჭექა-ქუხილი წარღვნას უქადდა ცოდვილს დედამიწას. საშინლად ღმუოდნენ თავზარდაცემულნი სულდგმულნი და ღრეკლდეებისკენ მირბოდნენ დასამალად. შავად ჩამობნელებულმა ცამ უფრო მედგრად მოიქუშა პირი, ამოვარდა ძლიერი ქარიშხლიანი და გულგამეხებული გრიგალიც და ეხლა კი მთანი და კლდენიც დასანგრევად ემზადებოდნენ, ხენი მაღალნი ერთმანეთს ელეწებოდნენ. საზარლობით ძრწოდნენ მხეცნი, შიშით ქრებოდნენ და სიცოცხლესა მოკლე _ მუხთალს ეთხოვებოდნენ. მაგრამ გრიგალმა მთლად გაფანტა შავი ბურუსი, მზე ჩვეულებრივ ღრუბლებიდამ გამოკაშკაშდა, ყველას იმედი მოუბრუნდა, ყველა დაწყნარდა. სხივნი მზისანი ტყე-მინდორ-ველს აცისკროვანებდნენ, ცაში მერცხლები ჭიკჭიკით დანავარდობდნენ და ძირს ნადირნი სიხარულით დაძუნძულობდნენ. შუილ-ქუხილით გადმოსჩქეფდა წყარო გოხნარზე და ვერცხლისფრათ მიგოგავდა მწვანე მინდორზე, ფრინველთ გალობა და ჟღივილი ცასა სწვდებოდა და იქ მხსნელს ღმერთს დიდს მადლობას ეუბნებოდა.

მეც დამიმშვიდდა სული, ტანჯვით გამწარებული, ზეცას მივაპყარ თვალნი ცრემლით დაწყლულებულნი და ღვთის სახელს ვადიდებდი. ის იყო კიდეც უცბად გაიხსნა ლაჟვარდი ცა შუა გულში და ელვის სისწრაფით ჩამოსრიალდა თავქვე თეთრის ბამბის ქულასავით ღრუბლის გუნდი, როელიც სწრაფად შეჩერდა ჩემს პირდაპირ მახლობლად ჰაერში, ღრუბლიდამ ანგელოზივით ჭაბუკმა ამოყო

თავი და, როცა მთლად ამოიძაფა იქიდამ, მოხდენილად გაჩერდა შეკუმშულს ღრუბელზედ. მე გაოცებით შევაჭყიტე თვალები თეთრის ფრთებით გაბრწყინებულს ჭაბუკს და მაშინვე ვიცან, რომ ის ვანიკო იყო. საჩქაროდ გავიწოდე ვანიკოსკენ ხელები და მინდოდა დამეძახა მისი სახელი, მაგრამ ენა დამება მეტის მღელვარებით, ბევრი ვიცოდვილე და ვეღარ გამოვთქვი. დიდხანს ვუცქირე მოწიწებით თეთრად გასპეტაკებულს ღრუბელზე მდგომარე _ ანგელოზად ქცეულს ვანიკოს, კარგა ხანს მიყურა იმანაც თავის ცქრიალა თვალებით, შემდეგ დინჯად გამოიწოდა ჩემსკენ მარჯვენა ხელი და მითხრა ზარივით წკრიალა ხმით:

შენ აგირჩივა გამჩენმა,
შენ მოგცა ენა წყლიანი
და სიტყვა, გულში ჩამწვდომი,
მძლავრი და სამართლიანი,
დრო არი, ძმაო, აიღე
შენი კალამი ფხიანი,
დაჯე და ცრემლით დაწერე
ხალხის სისაწყლე-ზიანი.
მოძმის დარდი და ვარამი
შესჩივლე ხალხსა ღვთიანსა;
გული აუნთე ცოდვითა
გულქვას, რეგვენს და ჭკვიანსა,
წამლად დაედე დაჩაგრულს,
საწყალს და ნამუსიანსა,
სიტყვის შხამ-გესლი შეასვი
უღვთოს და ღალატიანსა.
ურჩივე ერსა ტანჯულსა,
სწავლას მოსჭიდოს ხელია.
სწავლა მადლია უფლისა,
სწავლა კეთილის მქნელია,
სწავლა ცხოვრების ცოდნაა,
სწავლა ჭირისა მკვლელია,
სწავლა ხმალი და ხერხია,
სწავლა ბედკრულთა მხსნელია!
არ დაივიწყო სამოთხე
და ჯოჯოხეთი კრულია;
ძილი დაუფრთხე ქვეყანას,
აუმღელვარე გულია,
და ისე აამეტყველე
ეგ შენი ენა ბრძნულია,
რომ ეშმაკმაც კი ისწავლოს
კეთილი სიყვარულია!
როდესაც გაგყრის სიკვდილი
ამ სოფელს მოკლეხნიანსა,
მრავალნი მოგეგებებით
ცაში ჭკვა-გონებიანსა,

იქ თავზე გვირგვინს დაგადგავთ,
ყვავილებ ვარდებიანსა
და დიდის ამბით აგაფრენთ
უფალთან, სახემზიანსა!
შენი სიკვდილის ამბავი
ქვეყანას მოეფინება,
ყველას გულს აუმდუღარებს,
თვალს ცრემლი მოედინება.
შენი სიტყვების წამკითხავს
ღამეც არ დაეძინება:
ქართველ კაცს შენი ხსენება
არასდროს მოეწყინება.

აქ დაასრულა სიტყვა ვანიკომ და ნელ-ნელა ამაღლდა ფრენით ზეცისაკენ. მის ფერხთქვეშ თეთრად შეკუმშული ღრუბელი ბამბის ქულასავით გაიპენტა ზურმუხტის ცაში და ნიავქარმა მაღალის მთებისაკენ გააქანა ისარივით. მე ამ დროს მუხლმოყრილი ვიყავი ისევ იმ სალაკლდიან ციცაბო მთის კორწოხზე, მოწიწებით მივადევნებდი თვალს ზეცაში სანატრელად მინაფრენს ვანიკოს; ისევ ყურებში მიბჟუოდნენ იმისაგან ნათქვამი სიტყვები. იმედიანის სასოების ჟრუანტელი ელვასავით მირბენდა მთელს სხეულში და დილის ნამით ნამტირალ ბუჩქნარივით მათრთოლებდა თვალცრემლიანს. ამ დროს რაღაც შემეხო ლოყაზე და გამომეღვიძა. «უჰ, ღმერთო ჩემო, რამ დამაძინა-მეთქი», წარმოვსთქვი გულამოსკვნით და ჩვენს ერთგულს ძაღლს გრიშკას გადავეხვიე ალერსით, რომელიც ჩემს გვერდით ესკუპა საფლავის ქვაზე და ისე ნაზად მილოკავდა მარჯვენა ლოყას, რომ თითქოს იმით უნდა ეგულისხმებინა ჩემთვის: ადე, ჩემო, კარგო, რამ ჩაგაძინა, ჩვენი ანგელოზივით მეზობელი ქალი ზეზია ეხლა ჩვენსა იქნება და გაგიჟებით ეწყურება შენი ნახვაო.

მართლაც დრო იყო ადგომისა; აღმოსავლეთის ცის ძირობიდამ საშინელის ვეშაპებივით მოგოგავდნენ მაღლა ცისკენ შავი უზარმაზარი ღრუბლის ბურჯები და რაღაცას უპირებდნენ ახლად შებინდებულს დედამიწას. დიაღ, დრო იყო შინ წასვლისა, მაგრამ მე ისევ სიზმარში ნანახი ვანიკო მელანდებოდა თვალწინ, ისევ იმის ნათქვამს სიტყვებში ვიყავ გართული და გამძლავრებული. ფიქრები წამოდგომის ნებას არ მაძლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო, დავძლიე ფიქრით გაშმაგებულს ოცნებას, მხნედ წამოვდექ საფლავის ქვიდამ და გავწივე სახლისაკენ შემდეგის ფიქრით ფრთებშესხმულმა:

არა! არ მინდა არც ეშმაკების შემსყიდველი სიმდიდრე, არც წყალწასაღები დიდი ხარისხი და არც წუთიერი მოსვენება წუთისოფელში. ხალხში ჩავდგები, ხალხის სულისა და გულის ავკარგს შევისწავლი საფუძვლიანად, ჩვენის ძველის და ახლის მდგომარეობის მიხედულობით და ხალხისათვის თავს დავდებ! მეყო, მეყო ამდენს ხანს ცხრა ზღვასა და მთას იქით ყოფნა უცხო ხალხში, სადაც,

არც სულსა სული თვისად მიაჩნის,
არც გულსა გულის პასუხი ესმის.

სხვაც არა იყოს რა, სული, გრძნობა და გონება დამიუძლურა დიდის ქალაქების წამხდარმა ჰაერმა და მათში მცხოვრებელი ხალხის გველობამ. ო, ჩემო

უძვირფასესო სამშობლო! ამას იქით შენს ია-ვარდებით ნაქარგს გულ-მკერდზე მოვისვენებ დაღალული და შენთან დავიტკბობ ჩემის მრავალტანჯულის სიცოცხლის დანარჩომს წამებს. მთელს ქვეყნად მიღირს ჩემი საწყალი ქოხმახი, დიდრონის მთებით, მდინარეებით და აყვავებულის ჭალა-მინდვრებით გარემოცული!

შვიდი წელიწადი შორს ქვეყანაში ვიყავ გადაკარგული, მაგრამ ჩემი სული და გული ისევ საქართველოს გალაჟვარდებულს ცაში ტრიალებდა დღე და ღამე და მარადის თავს დასცქეროდა ცრემლმორეული თავის საყვარელს ქვეყანას, თავის მშობელ დედას და მოძმე თვისტომებს. ო, რა ბედნიერი ვიქნები, როდესაც ჩემს საწყალ მოძმეებს გვერდით ამოვუდგები შრომაში. როდესაც ძირფესვიანად შევისწავლი იმათის ყოფაცხოვრების ავ კარგს, ჭკუა ხასიათის ზნე-ჩვეულებას და გავიგებ, რა უჭირს და რად უჭირს ხალხს, რა ატირებს და რად ატირებს, რა ახარებს და რად ახარებს, რა სძაგს და რადა სძაგს, რა უყვარს და რად უყვარს. დიახ, ხალხში ჩავდგები და გავხდები მისის ჭირის გამომსახველი, მოძმეებს თავს შევსწირავ, სხვაც მე მომბაძავს მნახველი. მოვკვდები, მომიგონებენ, იცოცხლებს ჩემი სახელი!...

მეორე დილას ჩვენს შინავენახში შებურულ ვაზებს ვფურჩნიდი, რომ ყურძენს მზის თვალი დაენახა და ფარსაგად მომწიფებულიყო.

ვმუშაობდი მარტოკა და თან პოეტის სიტყვებს ვღიღინებდი: «მე გოგია მისთვის მიყვარს, რომ ძმაა და მეგობარი, და მისთვის მსურს მისი ხილვა, მასთან ხშირად საუბარი». ვღიღინებდი, მაგრამ ერთსა და იმავე დროს ხან ვანიკო მელანდებოდა და იმისაგან ნათქვამი სიტყვები მიბჟუოდა ყურებში, ხან ჩვენი ნაზი და მშვენიერი მეზობელი ქალწული ზეზია მეხატებოდა გონებაში და რაღაცა გამოუთქმელი სიამოვნება მათრთოლებდა ჭანდარივით.

მე ისევ რუსეთში ვიყავ, როცა ზეზიამ გიმნაზია გაათავა ოქროს მედლით და პეტერბურგში აპირებდა მოსვლას კურსებზე, მაგრამ «დედა არ მიშვებსო», მწერდა გულნაღვლიანიად. როდესაც რუსეთიდგან მოვედი და დაახლოვებით გავიცან ზეზია, სწორედ გამაოცა იმისმა გონივრულმა ცხოვრებამ. ის, როგორც დღე ღამისა-გან, ისე ირჩეოდა იმ ქარაფშუტა ქალებისაგან, რომლებიც სასწავლებლის გათავების შემდეგ მარტო კუკივით კოპწიაობასა, დოვლათიან საქმროს ძებნასა და ქვეყნის ჭორიკანობაში ატარებენ თავიანთ უსარგებლო სიცოცხლეს. ოთხიოდე წელიწადში სათვალჩინოდ შეესწავლა ზეზიას სამშობლოს ისტორია და ლიტერატურა, კარგად იცნობდა აგრეთვე ყველა მსოფლიო გენიოსს და საუცხოვო ბიბლიოთეკა ჰქონდა ქართულ-რუსულის წიგნებისა. დედა შეძლებული ჰყავდა და არასოდეს არ უჭერდა ფულს წიგნებისათვის, ჩემის სულისა და გულის უპირველესი მოთხოვნილება წიგნებიაო, მწერდა სხვათა შორის ზეზია, როცა იმისაგან ოცდაათი თუმანი ერთად მომივიდა რუსეთში და მთხოვდა ამ ფულით ესა და ეს წიგნები მიყიდეთ და ისინიც, რომლების სყიდვასაც მირჩევდით თქვენს უკანასკნელს წერილშიო.

მშვენივრად ჰქონდა ზეზიას შესწავლილი ძველი და ახალი კლასიკა და იმათი სახელოვანი კრიტიკოსები. ზეზია ზიზღით უყურებდა ქარაფშუტა უფერულს რომანებს და უსიცოცხლო ფუქსავატს მწერლობას. იგი შარბათივით ეწაფებოდა იმ ღვთაებრივს პოეზიას და მეცნიერულს ბეჭდვითს სიტყვას, რაც კი კაცთა სულისა და ცხოვრების ცოდნა-გაუმჯობესებას შეეხებოდა. რიგიან განვითარებასთან თავისი წილი ნიჭიც ებადა ზეზიას. ცხოვრების თვითეულ საგანზე თავისებური

სჯა და შეხედულობა ჰქონდა. არასოდეს არ ემონებოდა ყურმოჭრილ ყმასავით სხვის აზრს, ათასი დიდი გენიოსის ნათქვამიც რომ ყოფილიყო, თუკი ჭკუაში არ მოსდიოდა. ხანდახან, როცა კი ლაპარაკს ჩამოვაგდებდით რამეზე, ისე გონივრულად ააფილოსოფოსებდა ხოლმე თავის ნაზად მოუბარ ენას და ისე ბრძნულად სჯიდა ქვეყნის საქმეს, რომ ვოცდებოდი, ჭკუის დავთრები მეკარგებოდა და ვეღარ ვახერხებდი შესაფერს პასუხს. ზეზია ლექსებსაც სწერდა თავისთვის და ერთხელ სიცილს ვეღარ ვიმაგრებდი, როცა იმის მრავალფერის სიტყვებით მოქარგულს რვეულში შემდეგი ამოვიკითხე:

ჩემი მუზა ღატაკი დავწვი, დავანელეო,
მერე დავჯექ, დავწერე: ჩავამაჩხანელეო;
ტკბილის ქართულის ენით, გული ავიღელეო!
მტერს თვალი დავუყენე, ბედი დავუბნელეო!

«ზეზიკო, ვუთხარ ერთხელ: თქვენ ისე ზედმიწევნით იცნობთ ჩვენს ხალხს, ისე მშვენივრად იცით მაღალკილოიანი ღვიძლი ენა და ისე ჰარმონიულად გაქვთ გული და გონება ერთმანეთს შეწყობილ განვითარებული, რომ საგულისხმიერო რამ ორიგინალურის დაწერა შეგიძლიანთ-მეთქი». ჯერ ხმა არ გამცა ზეზიამ; ოდნავ წარბშეკრული შეფიქრიანდა და ბოლოს: «არაო, მითხრა გადაჭრით: მე, გარდა თარგმანისა წერა არ შემიძლიან. დავწერ, მაგრამ რა გამოვა, თქვენის თქმისა არ იყოს: მე ისევ სიტყვასიტყვით მახსოვს თქვენი ნათქვამი, სადაც თქვენ ამბობთ ერთ ადგილას თქვენს ხელნაწერს კრიტიკულს წერილებში: ჩვენი დღევანდელი მწერლობა ზევზევით მოგდებული ქაფია ცხოვრების ზღვისა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ცარიელი ყბედობაა ქარაფშუტა ენისაო. დიდის ნიჭისა და მოსაზრების პატრონი უნდა იყოს მწერალი. დიდი ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოციალური და ლიტერატურული ცოდნა უნდა ჰქონდეს შეძენილი, დიდის გრძნობის სიბრძნისმეტყველი ალღო, დიდი გამოცდილება, ღრმად თავის ერის ცნობა, ესთეტიკური განვითარება და სულის ძლიერება უნდა ახლდეს იარაღად, და შორს, კაცთა გულის სიღრმეში, მზესავით გამსჭვრეტელი გონების გამჭრიახე თვალი და მეცნიერულად განვითარებული კრიტიკული მსჯელობა უნდა შესწევდეს, რომ ქვეყნის ჭირისა და ლხინის ავკარგსა და მიზეზს ნათლად ჰხედავდეს მარადმღელვარე ცხოვრების შავს მორევში, როდესაც კი ის კალამს იღებს ხელში რომელისამე აზრის განსახორციელებლადაო. თორემ რა გამოვა იქიდამ, ერთი მითხარით, დიდების წყურვილით გატაცებულმა მასხარა მაიმუნმაც რომ ყველასაგან დაბრიყვებულს კალამს ხელი წამოავლოს და წერას მოჰყვეს? ის, რომ «მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან», _ ეტყვიანო. და მაშ რაღად გინდათ, რომ მეც გავმაიმუნდეო, _ და სიცოცხლიანად გადიკისკისა ზეზიამ ამ სიტყვებზე.

მე დროიანად ვეღარ ვუპასუხე რა, რადგანაც ჩემის სიტყვებით მევე პირში ჩალა გამომავლო, და ბოლოს თვითონვე დაიწყო ზეზიამ: «თქვენ კარგად იცით ჩემის წერილებიდგან, რომ მე, ეს სამი-ოთხი წელიწადია, როცა კი თავისუფალი დრო მომეპოვება, რუსულიდგან ქართულად გადმოთარგმნაში ვვარჯიშობ, მაგრამ დღესაც კი არ შემიძლიან მზად შექმნილის რიგიანის ენით გადმოქართულება და, აბა, მე ორიგინალურის თავი ვინ მომცა. მწერლობა მხოლოდ იმას შეჰფერის, ვისი ყოვლის მხრით განვითარებული გული და გონება ულეველი ზღვა არის ქვეყნის ჭირისა და ლხინისა და ენა მათი ძლიერად და ჰარმონიულად გამომხატველი,

უამათოდ კი მწერალი ჩირადაც არა ღირს და არა ვღირვარო.» «ჰო, კარგით, კარგით! მაგრეც ნუ იმცირებთ თავს მეტის თავაზიანობით. მე კარგად ვიცი, მაგით რის თქმაც გინდათ: ვითომ ენაც საუცხოოდ იცით, წერაც ჩინებულად შეგიძლიანთ, მაგრამ თქვენ ისეთი ზრდილობიანი ქალი ხართ, რომ სხვასავით ტრაბახი გეჯავრებათ. თქვენ ვერ მომატუებთ-მეთქი». ზეზიას შავთვალებიანი და თეთრად მინაზებული ლოყები ვარდისფერ ატლასივით აულაპლაპდა ამ სიტიყვებზე და დარცხვენით მითხრა: «ცილს ნუ მწამებთო».

მართლაც რომ ცილსა ვწამებდი. ბევრჯელ წაუკითხავს ჩემთვის ზეზიას თავის მშვენიერის ენით ნათარგმნი საუცხოვო შინაარსიანი პატარ-პატარა მოთხრობები და ბევრჯელ მიხვეწნია: გაუგზავნეთ გაზეთს «ივერიას»-მეთქი, მაგრამ ვერას გზით ვერ დამიყოლიებია, «რა მეჩქარება, აჩქარებით საქმე წამხდარა და მოთმინებით კი ბევრი რამ კარგი გაკეთებულა ქვეყანაზეო. ჯერ კიდევ კარგად შევისწავლი და შევისულხორცებ დედა ენას და მაშინო, «თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა», თვით ჩვენი ღვთაებრივი შოთა ამბობდა ამას მეთორმეტე საუკუნეშიო».

ყველა ამ მოსაწონ თვისებასთან ზეზიას ბევრი სხვა კაი თვისებაც მოეპოება. ღმერთო! რას არა სჩადის იმისი მადლიანი ხელი და გამჭრიახე გონება: ყველას კადრულობს და აკეთებს თავის ოჯახისთვის, ღარიბების ქალ-ვაჟებს უსასყიდლოდ ასწავლის წერა-კითხვას, სალიტერატურო საღამოებსა და პატარ-პატარა წარმოდგენებს ჰმართავს საქველმოქმედოდ, სადაც კი ავადმყოფი გაჩნდება სოფელში, გულშემატკივარი ზეზია იქ იბადება და ათასნაირ დარიგებას აძლევს უცოდინარებს, რის გამოც ჩვენი მფარველი დაურქმევიათ სოფლელებს, სამშობლო ქვეყნის მოძრაობას, პროგრესს და ლიტერატურას გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და კიდევ იმდენს დროს პოულობს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსასვლელადაც ამზადებს გულ-დადებით თავის მტრედივით უმანკო გონებას.

«ბედნიერი ქალია ზეზია», ვფიქრობდი, როცა ჩვენი შინავენახის შვინდის ძირას ანკარა, მოჩხრიალე წყაროსთან ჩამოვჯექ დასასვენებლად სიცხისაგან ატკეცილი: «ღმერთს იმისათვის მიუნიჭებია ყოველივე კეთილი: მადლიანი და მაღალაზროვანი გონება, ანგელოზივით უმანკო გული, აზრის ძლიერად გამომხატველი ენა, მთის თეთრ ვარდივით მინაზებული სახე, შავმაყვალივით ჟუჟუნა თვალები, წერწეტის ტანის სრულქმნილი სიკეკლუცე და კაცის გულის მომხიბლავი ნაზი, ქალწულებრივი ხასიათი და ზრდილობიანი და თავაზიანი ყოფაქცევაც», _ ასე ვამბობდი ჩემს გუნებაში. გულში ყოვლის სიკეთით აღვსილი ზეზიას ძლიერი სიყვარული მეპარებოდა ნელ-ნელა და საითღაც მიაფრენდა ნეტარებით დამთვრალს გონებას. მაგრამ ისევ საჩქაროდ ეკვეცებოდა ფრთები ჩემს ტკბილს აღტაცებას, როცა ელვასავით გამირბენდა ხოლმე თავში: «იქნება სხვა უყვარს!» ერთსა და იმავე დროს ვსტკბებოდი კიდეც ტკბილის ოცნებით და საშინლადაც ვიტანჯებოდი მწარე, შხამგესლიანის ეჭვისაგან. ამასობაში დედა ჩამოვიდა სახლიდგან, მოკრიფა ბოსტანში ქორფა კიტრები სადილისათვის, ჩააწყო ჩვენს მოჩანჩქარე წყაროში გასაციებლად, მომიჯდა გვერდით ფიცარსკამზე და მკითხა: «რადა ხარ, შვილო, დაღონებულიო? « «რამ დამაღონა, დედა-მეთქი», და იმ წამსვე ძალად თავი მოვიმხიარულე, რადგანაც საშინლად სწუხდა დედა, როცა კი დაღონებულს მნახავდა, მაშინვე თვალები უცრემლიანდებოდა და გულამოჯდომით მეუბნებოდა: რა გაწუხებს, შვილო, რატო არ მეტყვი, აგრემც დედა წამლად დაგედებაო.

_ დედი, იამზე სადღაა? _ ვკითხე.

_ შინ არი, შვილო, ისა და ჩვენი გოგო მალუცი სადილს გვიმზადებენ. დღეს იამზეს ოსტატი ზეზია და იმისი დედა თეკლე ჩვენსა იქნებიან სადილად. იცი, ჩემო შვილიკო, რა უნდა გითხრა? თურმე ზეზიას დიდი ხანია გულში აქვს შენი სიყვარული და იმის დედა თეკლასაც ძალიან უნდა შენი დასიძება.

_ მერე? _ ისე მოსხლეტით და გულცივად წარმოვთქვი ეს სიტყვა, რომ მინდოდა დედას არ შეემცნივნა ჩემთვის, რა ალიაქოთი მოახდინა ჩემს სულსა და გულში იმისმა ნათქვამმა.

_ მერე რა, შვილო, კარგი მარწყვივით ქალი და კარგი ოჯახი. თეკლეს იმის მეტი ვინღა აბადია, ქმარი აღარა ჰყავს და შვილი, სულ შენ დაგიმტკიცებს თავის საცხოვრებელს. მე რაღა მომკლავს მაშინ, გენაცვალე, როცა შენს გვირგვინსა ვნახავ და შენს შვილს მოვესწრობი!

_ არა, დედი, რა დროს ჩემი ცოლია... და მეორეც ეს, ტყუილი იქნება: მე ზეზიას საამისოს ვერას ვაცნევ, რომ მე მას ვუყვარდე.

_ რას ამბობ, შვილო, იმ დღეს იამზეს უთქვამ ზეზიასათვის: ჩემი ძმა ამ დღეებში ბიძიასთან აპირებს ქართლში წასვლასაო, და თურმე მას აქეთ ზეზიკოს თვალზე ცრემლი არ შემშრალა: «იქ შეირთავს ვისმეო». აქამდის მეც არა ვიცოდი რა, მაგრამ დღეს დილას თითონ თეკლე გამომიტყდა და წვრილად მიამბო ყველა: თუ როგორ უყვარხარ ანგელოზივით დახატულს ზეზიას და რაფრივ იტანჯება შენთვის დღე და ღამე.

_ ნუ დაუჯერებ, დედი, ნუ. ეგ თითონ თეკლეს მოგონილი ეშმაკობა იქნება, თორემ რატომ მე ვერას ვატყობ ზეზიას?

_ რას ამბობ, შვილო, ნუ ხარ ე დაუჯერებელი თომა?.. შენ რა უნდა შეატყო, გენაცვალე, იგეთ ანგელოზივით მორცხვს ქალს. ერთხელ მეც ვიყავ ქალი და მე უფრო კარგად ვიცი ქალის გული. ხუთი წელიწადია გულიდგან ამოუღებლად მიყვარდა ცხონებული მამაშენი, მაგრამ დედაც კი ვერ მაცნევდა და იმასაც კი ვერ ვუმხელდი სირცხვილისაგან.

_ არა, დედი, არ შევირთავ ცოლს... ეხლანდელი ქალები მეტად ძნელი გამოსაცნობები არიან. წინად სამოთხის ანგელოზებად მოეჩვენებიან ხოლმე კაცს და ბოლოს კი, ჯვარის წერის შემდეგ...

_ ნუ! ნუ! მაგას ნუ იტყვი, შვილო, ზეზიაზე და ღმერთს ნუ აწყენინებ, დედა გენაცვალოს! ზეზია ანგელოზია, ციდამ ჩამოფრენილი ანგელოზი!

_ ეხლა ასეთია, მაგრამ, ვინ იცის, შემდეგში რა ავის ხასიათის ქალი დადგება, და მაშინ ხომ ვეღარც ჩემს საქმეს გავაკეთებ და სიცოცხლეც ჩამშხამდება საუკუნოდ? ნუ, დედი, ნუ მირჩევ ცოლის შერთვას. მე ისევ ის მირჩევნია, ჩემთვის ვიცხოვრო, როგორც მიცხოვრია.

_ არა, შვილო, უწინამც დღე გამიქრეს, სიცოცხლის ჩასაშხამებლად კი არ გეუბნები, მინდა, რომ შენი ბედნიერება ვნახო, მინდა, რო ანგელოზივით ზეზიას ნაზმა ალერსმა და სიყვარულმა გული სიხარულით აგივსოს და აღარა გნახო დაღონებულიო, _ და ქვითინით გადამეხვია დედა ამ სიტყვებზე, ბოლოს მოიბრუნა გული და დამიწყო:

_ მითხარ, მითხარ, შვილო, გენაცვალე, მითხარ, რო დახატულს ზეზიას შეირთავ, შენის გვირგვინის ნახვით გამახარებ, სანამ პირში სული მიდგა, და აღარ ჩამაყოლებ საფლავში შენს დარდსა და ბოროტს.

_ კარგი, დედი, ნუ იცი ეს დაჟინება. ზეზია მეც მომწონს, ერთი-ორი დღე მაინც მადროვე, მოვიფიქრო.

_ მოიფიქრე, დედა გენაცვალოს, მოიფიქრე. ოჰ, რო იცოდე, შვილო, როგო შემიყვარდა ეხლა უფრო დახატული ზეზია! ჩემის საყვარელის შვილის ვარდისკონა მეუღლე იქნება ამას იქით! ეხლა კი წავალ, მივხედავ სახლ-კარს, და როცა კარგა გაცივდეს კიტრები, წამოიღე, შვილო, და წამოდი შენც.

წავიდა დედა და დავრჩი მარტო. გაფაციცებით ვიგონებდი იმ წამებს, როცა მე და ზეზიას ერთად გვილაპარაკნია. ყოველს იმის ნათქვამს, ყოველს იმის სიტყვის კილოსა და სახის გამომეტყველებას ათასგვარად ვზომავდი და ვწონიდი ჩემს გონებაში. ამით მინდოდა გამეგო: მართლა ვუყვარდი თუ არა. დაბოლოს ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ზეზიას გაგიჟებით უნდა ვყვარებოდი. «პირველი, ესა, რომ ისეც თეთრი იასავით მინაზებული ზეზია, უფრო მიილია, რაც მე რუსეთიდგან მოვედი, ვფიქრობდი; მეორეც ესა, რომ როცა კი დამინახავს ხოლმე, რაღაცა ემართება და ხან ენაც კი ებმება მეტის გულის მღელვარებისაგან, მესამეც ესა, რომ ამას წინად ჩემის პოემის სიტყვები: «შენა ხარ ჩემი ღვთაება, ჩემთვის სამოთხედ შობილი, მე შენთვის ვსტირი დღე და ღამ, შენთვის გულ ლახვარსობილი» _ ჩემსავე ხელნაწერს დრამის პირველ გვერდზე დაეწერა მწვანე მელნით; და მეოთხეც ეს, გუშინ ჩვენი გოგო მალუცი დედას უამბობდა: «იმ დღეს, მთვარიან ღამეში, იგეთის ტკბილსა და მწუხარე ხმით მღეროდა ჩვენის იამზეს ოსტატი ზეზია თავიანთ შემოჭანდრულ აივანზე:

მეც დავილიე შენსავით, მთვარევ,
და ვით სანთელი ვიწვი და ვდნები;
შენ მაინც უთხარ, რომ შემიბრალოს,
მე იმისი ვარ და მისთვის ვკვდები!
ვეღარ გავუძლებ ჭირსა და ნაღველს
მწარე სიცოცხლეს ამისთანასა,
თუ ის გამწირავს, მთვარევ, იცოდე!
გულში დავიცემ ალმას დანასა!

რომ ტირილი მომდიოდაო. ო, სულო ჩემო, დასტკბი, ზეცამ დღეს შემიბრალა, მან ჯოჯოხეთი ნეტარების ზღვარად შემიცვალა! ასე ვდუდუნებდი ჩემთვის და თავდავიწყებული ვცურავდი ფუფუნების ტალღებში ძლიერის სიყვარულის გრძნობით ძლიერად დამთვრალი.

_ ტიტო! ტიტიკო! ტიიტოოო!... _ შემომესმა ჩემის დის იამზეს წკრიალა ხმა და გამომაფხიზლდა. დამინახა იამზემ, მალხაზა ჩიტივით გამოსრიალდა ჩემსკენ, ჩამეკრა გულში და ცელქურის ხტუნვით დამძახოდა ტკბილის ოცნებით გაბრუებულს: რა იქენ აქამდინ! ჰა?! ადე! ადე, ჩქარა! ადე, რა ვქნაა!.. ჰუ! ადე-მეთქი, ადე, წავიდეთ. დედა, ზეზია და ყველანი შენ გელიანო. დავხედე საათს და მესამე სრულდებოდა. მთელს ორს საათს გაერბინა შეუმჩნევლად და ვინ იცის, კიდევ რა დრომდე ვიოცნებებდი, იამზე რომ არ გამოეგზავნათ.

გული აძგერდა ზეზიას ნახვით და გაიშალა, ვით დილის ვარდი. ბევრი ვიმასლაათეთ სადილზე და სადილს უკან ათასს რამერუმეზე, მაგრამ მოყვრობაზე კი განჩავებაც არა ყოფილა. ზეზია თეთრს ბარეჟის კაბაში იყო ამ დღეს და ნაზის ედემის ნაზად დაფეთქილ ყვავილივით შვენოდა. სანატრელად ვსტკბებოდი

მინაზებულის ზეზიას ცქერით და ცაში ვფრინავდი ანეტარებული. ზეზიას ამ დღეს უფრო მორცხვობა და მოწყენილობა ეტყობოდა სახეზე და როცა ჩემს ქართლში წასვლაზე ჩამოვაგდე სიტყვა, მაშინ ხომ ისე უეცრად შეუმწუხრდა დასურათებული სახე, რომ მთელის იმის უმანკო გულის წუხილი იმისსავე შავს მაყვალსავით თვალებში გამოიხატა ცხადად და მე ადვილად ამოვიკითხე: გაძლება ჩემი უშენოდ, ვაჰმე, რა დიდი ძნელიაო. შედარდიანებული ზეზია ხმას აღარ იღებდა და ისე საცოდავად იყო მწარე ნაღვლისაგან გარინდებული, რომ ცოდვით გული მიკვდებოდა.

პირიპირ მიჯდა იგი მზე,
გული ვისთვისაც კვდებოდა,
მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა,
სხვას არას მეუბნებოდა.

ჩაის მერე თეკლე სახლში წავიდა და ზეზო კი ისევ ჩვენსა დარჩა. ზეზიამ რუსთაველი გამოიღო საწიგნობელიდან, გადაფურცლა და ამოიკითხა:

გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან.
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან;
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან!

ზეზიამ კიდევ გადაფურცლა და ამოიკითხა:

დავჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწყობილსა ტანსა წვრილსა, ვით ლერწამსა!

_ «ოხ, ღმერთო! რა მშვენიერი სიტყვებია». და ხელმეორედ გაიმეორა ზეზიამ. ბოლოს გადამეკიდა: თქვენი ახალი მოთხრობა შვილის მკვლელი, წამაკითხეთო. მე ბევრი ვიუარე, რა დროსია მეთქი, მაგრამ არ მომეშვა. რას ვიზამდი, დავიწყე კითხვა და ჯერ ათიოდე გვერდიც არ წამეკითხა, ზეზიას მარგალიტივით ცრემლები ჩამოსდიოდა ზეციურ თვალებითგან; დედას თავის კალთაში ჩასმული იამზე მაგრა მიეკრა გულში და ტუჩები უთრთოდა თვალებიდგან მოგუბებულის მდუღარების ჩამოსაღვრელად.

_ ღმერთო! რა საშინელი ღრუბლები ირევა ცაზე, _ ხმის კანკალით მეუბნებოდა ზეზია ღამის თერთმეტ საათზე, როცა მაღლა გორაზე ავდიოდით და ვუახლოვდებოდით იმათს სახლს.

_ ნუ ხართ, ზეზო, შიშიმქრალა, ნუ! ჰხედავთ, რა მედიდურად და მრისხანედ დასცურავს მთვარე შავს ღრუბლებში თითქოს ღრუბლებს ემუქრება: არ დაიჭექოთ და მშვენიერი ზეზიკო არ შემიშინოთ, თორემ ვუბრძანებ ქარს და ცხრა მთასა და ზღვას იქით გადაგღუპავთო!

ზეზიკომ ხმა არ გამცა და უფრო მაგრა მომეკრა მკლავზე ჩემს მკლავში ხელგაყრილი. აი, ავედით კიდეც გორაზე და გადავხედეთ კავკასიონის გალაჟვარდებულს მთებსა და ალაზნის მწვანე ბიბინა მინდვრებს. ტკბილის ძილით ჩასძინებოდა მთელს სოფელს და ჩამიჩუმიც არსაიდან ისმოდა. მარტო თეკლეს სახლის ფანჯრიდგანღა გამობრჭყვინავდა სანთლის შუქი და გაღმა მთიდგან ჭოტის ხმა ახმაურებდა ღამის ღრმა სიჩუმეს. ზეზიას აზვირთებულ

ზღვასავით უღელავდა ბროლის გულმკერდი და ვაცნევდი რიღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეს იყო კიდეც, საშინლად იელა ცამ, საზარელმა ჭექა-ქუხილმა ძალზე დაიხრიალა ზეცაში და ღრიალ-გუგუნით ხმა მისცა ხმელეთიდგან სამშობლოს მთებმა. ზეზიამ ერთი კი შესწივლა და უსურვაზივით ჩამეკრა გულში ელდანაცემი. ზეზიას ფერი წაუვიდა, თვალები მიებნიდა, მკლავებში არაქათი გამოელია და ისე დარჩა ჩემს გულში ნაზად მოსვენებული. მთვარე ისევ შეუპოვრად დაცურავდა ღრუბლებში და სანატრელად უსხივოსნებდა ზეზიას შუქიანს პირსახეს. ძლიერმა სიყვარულმა გონება მომიხიბლა, გაგიჟებით ჩავიკარ გულში ზეზო და თავდავიწყებით ვკოცნიდი იმის ლამაზ თვალებს, ნაღვლით მიმქრალებს. ბოლოს მოსულიერდა ზეზია, მაგრად მომეკრა მკერდზე, თავი ჩაღუნა ჩემს გულში და ქვითინი ამოუშვა. _ რა გატირებთ, ზეზო, რა? _ ალერსიანად ვეკითხებოდი, მაგრამ ზეზია უფრო ქვითინებდა ჩემს გულში თავჩაღუნული და ტკბილი ნეტარება სულს მიხუთავდა. ამ სანეტარო ყოფაში იყო მაშინ ჩემი სული, გული, გრძნობა და გონება და ისე ამაყობდა განცხრომის ზღვაში, როგორც ამაყობს ხოლმე მეფე თავის ახლად დამონებულ ქვეშევრდომთა შორის.

მაშინ კი დავრწმუნდი, რომ ზეზიას გული მე მეკუთვნოდა, მე მისთვის გავეჩინე ზეცას და ზეზია ჩემთვის მოევლინა დამბადებელს, მაგრამ სცხვენოდა იმასაც ჩემსავით და ვერ მიცხადებდა სიყვარულს. გულის ტკბილმა აღტაცებამ გაბედულობა მომიმატა და გულახდით ვუთხარ პირდაპირ: «ნუ სტირი, ჩემო სიცოცხლის იმედო, ზეზო, ნუ! მე შენ მთელ ქვეყანადაც არ გაგცვლი არავისზე და შენს გარდა არავის შევირთავ არასოდეს! შენ, მარტო შენ უყვარდი, უყვარხარ და ეყვარები ჩემს გულს იქამდის, ვიდრე შიგ ერთი უკანასკნელი ცვარი სისხლი კიდევ მოძრაობს და მიწად არ იქცევა. დღესვე რომ შავმა ბედმა ისარივით ამტყორცნოს ჯოჯოხეთში, მაინც იქაც ბედნიერი ვიქნები შენის მოგონებებით და თვით სამოთხის უფროსობაც რომ შემოეძლიათ ჩემთვის ზეცაში, არც იმას ვინდომებდი, ისევ შენთან ჩამოვფრინდებოდი ამ ქვეყნად და ფიანდაზებად გაგეშლებოდი მიწაზე! ღმერთმა დამიფაროს! იქ რა მინდოდა და იქ რა გამაძლებინებდა უშენოდ, როდესაც «თვალნი თვით შენისა ნახვისათვის მინდა, ენა შენისა მოუბრობისათვის, ყურნი შენთა სიტყვათა სმენისათვის და ხელნი შენისა სამსახურისათვის! დიაღ, ჩემსა თავსა და ტანსა ზედა ხელმწიფე ხარ და ისეთი ხელმწიფობა შენვე გშვენის და გფერობს!» გულაღტაცებით ვეუბნებოდი ამ სიტყვებს ჩემის გონების აღმაფრთოვანებელს ზეზიას, და ზეზია კი უფრო მაგრა მეკვრებოდა გულში, უფრო მწარედ ქვითინებდა და ნაწყვეტნაწყვეტ მეუბნებოდა, «არა მჯერა... მე თქვენთვის ვკვდებოდი და თქვენ კი ერთხელაც არა მკითხეთ... ერთხელაც არ შემიბრალეთ»...

_ ნუ, ჩემო სიცოცხლე, ზეზო, ნუ, ნუ მწამებ ორგულობას:

თუ სხვა ვიცოლო, შენს გარდა,
მზე დამიბნელოს სოფელმა,
ცა რისხვით თავზე დამენგრეს,
ნუ დამიტიროს მშობელმა,
ნურც პირი მიყოს მიწამა,
ნურცა ზღვამ დაუშრობელმა,
ქვეყანა ზიზღით მკრულავდეს;
რა ჰქნაო დაუნდობელმა!

_ უი, თქვენ კი გენაცვალოთ ჩემი თავი! ღმერთმა შეგაბეროთ ერთმანეთს, შვილებო, იცოცხლეთ იქამდის, ვიდრე ცაში მზე ჰბრწყინავდეს, ზღვაზე მთვარის შუქი და ხმელეთზე ნათელი ჭეშმარიტებისაო! _ შემოგვესმა და უცბად გავშორდით მე და ზეზია ერთმანეთს. მივიხედეთ და შაოსანი თეკლე იდგა ჩვენს უკან. ზეზიამ სირცხვილით თავი ჩაღუნა, მეც შემრცხვა, ჭარხალივით წამოვწითლდი და თან ბრაზმორეული ვამბობდი გულში ოდნავ კბილების ღრაჭუნით: «რას დაგვდევს მზვერავი ქაჯივით ეს მოუსვენარი არსაითი! ეს ყველას შემტყობი და გამგები ჯადოქარი! ეს, ეს, ეს!»...

როცა კარგად გამოვშორდი თეკლეს სახლს და მოვიხედე უკან, ზეზია ისევ თავიანთ სახლის დერეფანში იდგა და იქიდან მიყურებდა წამავალს.

მოვედი სახლში სიხარულით ანეტარებული. საკვირველია ადამიანის ცხოვრება: გუშინ სიკვდილი მწყუროდა და დღეს კი ბოლომოუღებელი სიცოცხლე მენატრებოდა. დავწექ, მაგრამ არ დამეძინა. ჩემი გული და სული ისევ ზეზიასთან იყო, ჩემი გონება ისევ იმაზე ჰფიქრობდა და ჩემს თვალებს ისევ იმისი სახე ელანდებოდა ცხოვლად. «მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია; ვინც არა იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!»

ბოლოს ჩამეძინა განთიადის ხანს ისეთის ნეტარების ძილით, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში არა მძინებია ისე ტკბილად და არ გამომიცდია ის ენით გამოუთქმელი გულის აღფრთოვანებული სიხარული, რაც მე ზეზიასაგან თავისის მტანჯველის სიყვარულის გამოცხადების შემდეგ ვიგრძნე და გამოვცადე. ღმერთო ჩემო! ისე ძლიერად შეიპყრო ჩემი გული და გონება ზეზიას ცეცხლივით მგზნებარე სიყვარულმა, რომ ძილშიაც კი მისი უმანკო ანგელოზური სახე მომესიზმრა. სიკვდილამდე არ დამავიწყდება ის სიზმარი. ან კი ვინ დაივიწყებს იმ გვარად ნანახს სიზმარს, გულითაც რომ ეწადოს მისი დავიწყება. აი, თვით ის სიზმარიც:

ღამე იყო. ბნელოდა. მე ერთს ბიბინა მწვანით მოსილს და ცამდე მიბჯენილს მთის კორწოხზე ვიდექ მარტოკა ლიტაო ხესავით და მოუთმენლად ველოდი მთვარის ამოსვლას. შორს, ცხრა მთას იქით, კავკასიონის მთის წვერებთან, ცის ნაპირს ისევ ცეცხლის ალივით ენთებოდა ჩასვენებულის მზის შუქისაგან და საამურად აკაშკაშებდა შებინდებულს დასავლეთს. აგერ ამოგოგდა, როგორც იყო, კალოსოდენა, გაბადრული მთვარე გალილისფერებულის მთის წვერობიდან. შეიცვალა სურათი ქვეყნისა: მთვარემ სანატრელად გაანათა მთლად მიძინებული ქვეყანა კიდით კიდემდე და ნათლად დამანახვა ის, რასაც ბნელაში ვერ ვარჩევდი. იმ უზარმაზარ მთას, რომლის წვერზედაც მე ვიდექ, აღმოსავლეთით შავი ზღვა ედგა, წინ ცის ძირობამდე გადაჭიმული და დასავლეთით თვალუწვდენელი მწვანე-ხავსივით მინდორ-ველი ჰქონდა მობმული, რომელიც ხელის გულივით მოსჩანდა თავისის იკლიბაკლო ჭალა-მინდვრებით, სარკესავით ლაპლაპა მდინარეებით, პირუტყვთა ჯოგებითა და სოფელ-ბაღებით აჭრელებული.

ოქროს სხივებით გაბრწყინებული მთვარე სანატრელად აცისკროვნებდა სამოთხის მცენარეებით მიმოხატულს მთა-ბარს და ველის ყვავილების სურნელებით სულჩადგმული ნელი ნიავი გულის საყვარელივით ყელს მეხვეოდა ნაზად, ნარნარად. იგი ზეციურს ნეტარებას მაგრძნობინებდა და ბიბინით აელვარებდა ალამაზფერად-ფერადებდა მწვანით მოსილს მთაველს თავისის მრავალსახოვანის ედემნერგის ყვავილებით. იქვე ჩემს ახლოს ლურჯი ანკარა მთის წყარო შუილ-ქუხილით მოჩუხჩუხებდა გოხნარიან კლდის ციცაბოდამ, შეუპოვრად ეჯანხალავებოდა გზა-გზა მინარბენი ტინის ბურჯებს და თეთრად

აქაფებულს წინწკლებს ისვროდა აქეთ-იქით გაბრაზებული. შორს, საიდღანაც მწყემსის სალამურის საამური ხმა მოისმოდა: იგი ხან განრისხებული ჭექა-ქუხილით გაჰკიოდა სამოთხის მთა-ველებში ჩახატულს ქვეყანას, ხან წყნარდებოდა, მდუმარდებოდა, მტრედივით ღუღუნებდა, ხანაც კვნესოდა, იტანჯებოდა, ქვითინით გულს იკლავდა, ხან ქარიშხალისაგან აზვირთებულ ზღვასავით შფოთავდა, მღელვარებდა, გრგვინავდა და ბოლოს ისევ სასოწარკვეთილების ცრემლებს ეძლეოდა თავგანწირული. ო, ღმერთო! ვინ იცის, რას შესტიროდა ზეცას უსიხარულოდ და რას სწყევლიდა მოღალატე წუთისოფელში ხმა ცრემლსადენი, ხმა საამური!...

ძირს, ზღვისპირის მინდვრიანზე დატვირთული ურემი მიჭრიალებდა თავქვე და ტკბილად ღუღუნებდა მეურმე. ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო, ბროლისა მკერდსა ვეხვევი, ვეღარ ვიშოვნი ხვალეო. იმავე შარაგზაზე ვიღაც გუდა-ნაბად აკიდებული ცოლ-ქმარი მიჩანჩალებდნენ საითღაც და განრისხებულის ხმით უყვიროდა ქმარი ცოლს:

«მოიჭერ ენა, ეგ ცოდვილი, ბალღამიანი და გესლის მანკით მოშხამული, მწარსიტყვიანი, თორემ გაგგლეჯავ შუაზედა და დაგიბნელებ სამუდამოდ წუთისოფელსა! აი, დაიქცეს თქვენი გაჩენა, თქვენი მოდნები და თქვენი ენა!»... ცოლი ქმარის ჯავრობას აინუნშიაც არ აგდებდა და გულარხეინად მიღიღინებდა: «ვირი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანინაო; მკვდარი ომში როგორ წავა, ვარდო-ნანინაო! « ამ დროს ზღვაზე ხომალდი გამოჩნდა. ხომალდიდამ დოლ-დუდუკის ტკბილი ხმა მოისმოდა და ვიღაც გულწარმტაცის გრძნობით დაჰმღეროდა დუდუკს: «ხანა ვღონდები, ვიცრემლები, გულსევდიანობ, ხან ვიღრიჭები, ვლაზღანდარობ, ენავმზიანობ! ხან ზღვისა ღელვას ვებრძვი, ჯაფით შავს დღეს ვიყენებ და ვემუქრები, გავალ ნაპირს, თვალს დაგიყენებ»... იქვე, შარა გზაზე, ვიღაც შე-თოფიარაღებული მხედარი საიდანღაც ცხენს მიაქროლებდა და გმირულად და ვაჟკაცურად მიიმღეროდა:

“

თუ რო მოვკვდე, ჩემი ხმალი, დედავ, ჩემს შვილს შეუნახე;
მეც მამას გვერდით დამმარხე, მიტირე და მივაგლახე!»

ბოლოს იმავე გზაზე მამა-შვილთ ჩაიარეს. მამა რაღაცას მიელაპარაკებოდა შვილს და შემდეგ ასე არიგებდა: არა დროს აჰყვე ქვეყნისა ჭკვასა: ცრუბრძენთა სიტყვას სხვასა და სხვასა, ვინ იცის, შვილო, შურით და მტრობით ზოგი რას იტყვის და ზოგიც რასა. ნარეკლიანი უვლელიც რომ სავლელ გზად აქცივო, მაინც აგიწინააღმდეგდებიან, მაინც არად ჩაგაგდებენ, მაინც გაგკიცხავენ და შემოგაგინებენ შურის გუდა უნიჭო ბრიყვები და წიკომაკო ქონდრის კაცუნები, იმისთვის რომ უნიჭო ნაცარმტვერს სხვა კი არა გამოუვა რა ხელიდამ, ფარსაგი და უსაფუძვლო ყბედობა-წინააღმდეგობით უნდა გამოიჩინოს თავისი «ცოდნა» და კიტრად ღირებული თავი მოიწონოს თავის უბანში. ყველა შურით დაბრმავებულს ვირეშმაკას ჟანგისაგან შეჭმული თავის თითბერიც კი ხალას ოქროდ მიაჩნია და სხვის წმინდა ოქროს კი თითბერს ეძახის. ასეთი ვირეშმაკა კაცუნები ყოველთვის და ყველგან იმას ცდილობენ, სხვის ღირსეულს «მეს» ფეხი დააჭირონ და მის ნაცვლად თავიანთი უღირსი «მე» დააწინაურონ, მაგრამ სხვის კეთილის გასანადგურებლად გაჩარხული სისაძაგლე თითონვე შეიქმნება ხოლმე ბოლოს სამართლისაგან განადგურებული და მიწასთან გასწორებული. დიაღ, ეს

ყოველთვის ასე ყოფილა, ასე არის და ასევე იქნება: სხვადასხვა თავიდან სხვადასხვა ჭკუა გამოდის, ნამდვილს ხელოვანს ნამდვილი ხელოვანი აფასებს, და ვირი კი თავის დღეშიაც ვერ გაიგებს ხურმა რა ხილია!»

იქვე მუშა ვაჟკაცების გუნდი მძლავრის ლაშქარივით მიგუგუნებდა თავქვე მინდვრისკენ და ზარზეიმით მიიმღეროდა ჩვენის პოეტის მარგალიტებს: «ბიჭო, პური შემოსულა, ღელავს, ბრწყინავს ოქროსფერად, ნამგლებს პირი გავულესოთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად!» იმავე გზაზედ ვიღაც უზარმაზარი რუსულქუდა მიბარბაცებდა მიმოზნექით, ეტყობოდა კუჭში მოჭარბებული პილატეს ცრემლი უდუღდა. მთები გრგვინვით ბანს აძლევდნენ ალაწოდას, როცა ის რიხიან დოღრიალასავით მიყროყინებდა ამ სიტყვებს: «ო, ზეციერო გამჩენო, ჭირი დამატყდა მრავალი: დღე მუდამ ბედსა დავეძებ, ქვეყნიდან ქვეყნად მავალი, მაგრამ არ იქნა, ვერ ვპოვე, ვერ ვნახე მისი ნავალი! ეშმაკთა დაუკეტიათ ცხრა კლიტით ბედის სავალი!» ბოლოს შეშლილივით გადაიხარხარა ალაწოდამ, ტაში დაუკრა, ცეკვა ამოუშვა და თან ზედიზედ გამეორებით მოსთქვამდა, «პაწაწინა ნიგვზიტოტის» ხმაზედ:

«ნუ, ჩემო ბაბალე, ნუ მატყუებ მალ-მალე, თორემ ვეტყვი დედასა, აგვიტეხავს ბნედასა!» ამ სიტყვების შეწყვეტის უმალვე შესწყვიტა თავისი ცეტური ცეკვა, ისკუპა ზღვაში, ჯგაფანი მოადინა მორევში და შიგ ჩაიღუპა საუკუნოდ. მიეფარნენ მიმავალი მგზავრები მთაგრეხილის კალთებს და მისწყდა იმათის ფეხის ხმაც, მხოლოდ ერთი ვიღაცა, ყავარჯნებზე დაბჯენილი გრძელწვერა, აკონკილი დაკონკილი და ხავსმოკიდებული გლახა-მოხუციღა მოლახლახებდა იმავე გზაზე და მწარე, დაოსლებულის ხმით მიღიღინებდა. «ცხოვრება, ძმაო, ომია, თავს რა არ გადამხდომია, მაგრამ მაინცა ვცოცხალვარ, სული არ ამომხდომია», დასასრულს მოხუციც მიმეფარა თვალიდამ და ღრმა სიჩუმემ მოიცვა არემარე.

ამ დროს უნებურად მოვიხედე უკან და ჩემს სიხარულ-გაოცებას საზღვარი აღარა ჰქონდა: ჩემს მახლობლად სამი ალვის ხე იგა მწკრივად და წყნარად შრიალებდნენ ნიავ-ქარისაგან ანათრთოლნი, მათს ქვეშ, ყვავილოვან მწვანეზე, ბროლის ტახტი მოსჩანდა ბაცის იისფერ ატლასის ქვეშაგებით დაფენილი და მოყვავილვარდებული, ტახტზე ჩემი ზეზია იწვა, ვით ანგელოზი, თეთრის სამოსლით თეთრად განსპეტაკებული, და ნაზად ეძინა ნეტარების ძილით. გაბადრული მთვარის ნათელი გულწარმტაცად უცისკროვნებდა ზეზიას მინაზებულს სახეს და ოდნავ საბანგადახდილს ძუძუკოკობიანს ბროლის გულმკერდს. უცბად მოვიხიბლე მისის გულწარმტაცის მშვენებით: რაღაც აღტაცების ძლიერმა გრძნობამ გამიტაცა. გონება დამიკარგა და ღონემიხდილ ავადმყოფივით ჩამაჩოქა მწვანე ბიბინა ველობიანის გულმკერდზე გულშემოყრილი. ბოლოს მოვიბრუნე გული, როგორც იყო, და წამოვდეგ ზეზე, გონმოსული. ისევ სულგანაბული ღამე იყო: მთვარე ისევ თავისებურად კაშკაშებდა გიზგიზა ვარსკვლავებით მოჭედილს კამკამა ცაზედ, ქარიშხალისაგან ნაჯანხალევი ზღვაც ისევე უძრავად იდგა დაწყნარებული თავის ბუდეში, მთვარის სხივებიც ისევე ტურფად ბანაობდნენ ზღვაში იალციალით და ჩემს ზეზიასაც ისევე კეკლუცად და გულწარმტაცად ეძინა მოშრიალე ალვის ხეების ქვეშ ბროლის ტახტზე.

გაშმაგებით მწყუროდა მივკარებოდი ზეზიას და ვარდის კონასავით ჩამეკრა გულში და არც მინდოდა მისთვის მოსვენება დამეფრთხო. თავზე ვადექ ნეტარებით დამთვრალი და გულს ვიტკბობდი დახატულს ბუნებაში დახატულის

ზეზიას ცქერით. თვით ალვის ხენიც კი შესწყვეტდნენ ხოლმე დროგამოშვებით საამო შრიალს და ჩემს გულის საყვარელს დასცქეროდნენ სულგანაბულნი, თითქოს ისინიც ანგელოზივით ზეზოს ცქერით სტკბებოდნენ, იქ პეპელებიც ჩემს ზეზიკოს თავს ევლებოდნენ, იქ იადონნიც საამურის ხმითა ჰგალოდნენ და ჩემსა სატრფოს შეჰხაროდნენ შესტრფიალებდნენ, იქ ციდამ მთვარეც ჩემს ზეზიას აცისკროვნებდა, იქ ზღვის ნიავიც მის გიშრის თმას აბიბინებდა, იქ მოისმოდა წყლის ხმაც, შორის მთით მონადენი და მას ღრიალით ბანს აძლევდნენ მთანი და კლდენი.

«მე ის მიყვარდა გაგიჟებით, _ ამბობდა ძილში ზეზია, _ იმასთან იყო ჩემი გული და გონება განუშორებლივ, იმისთვის ვკვდებოდი და ვიტანჯებოდი ყოველ დღე და ღამე, უიმედო სიყვარულით წამებული; და დღეს კი იმანაც მე მომცა თავისი გული ნაცვლად ჩემის გულისა _ და აღმადგინა მკვდარი ფეხზე! ო, ღმერთო! რა ტკბილი ყოფილა სიცოცხლე და მე კი ეხლა, მხოლოდ ეხლა ვიგრძენი საბრალომ ენით გამოუთქმელი მისი სიტკბოება». ზეზიას ნათქვამმა სიყვარულის ცეცხლი უფრო გამიძლიერა გულში, უფრო ძალზე ამაჟრჟოლა ნეტარებამ და ენას გულის თქმის გამოთქმა მოაწყურა. დატკბა თვალი და გული ზეზიას ცქერით, გაღვთისნიერდა სული მისი ანგელოზურის სიმშვენიერით, გამჭევრმეტყველდა გრძნობის ცეცხლით აღგზნებული ენა და ნამძინარევს ნელის აღტაცებით ვეუბნებოდი ძლიერის სიყვარულით მოხიბლული:

შენა ხარ ჩემი მზე-მთვარე,
ჩემი სიცოცხლე მზიანი,
შენსა მშვენებას ნატრობენ
ნარგიზნი, ვარდნი, იანი.
შენ შეუქმნიხარ ზენარსა
დიდსულოვანი, ჭკვიანი,
ციურის ცეცხლით აღსავსე,
ნაზი და სიტყვაწყლიანი!
ღამითა ცისა მნათობნი
გუნდ-გუნდად იკრიბებიან.
შენ გიცქერიან ციდამა,
მთელს ღამეს შენით სტბებიან,
სამოთხის ანგელოსები
ნანინას გეუბნებიან,
ძილის ვარდ-საკმელს გიკმევენ,
გეტრფიან, თავს გევლებიან.
შენ მომანიჭებ, ზეზიავ,
სიცოცხლეს ნეტარებისას
და შენვე მომცემ სიბრძნესა
სიბრძნეს ძმათათვის სამოყვროდ
მათ გულის განცისკრებისას,
მტერთათვის თავზარ საცემსა,
უწყალოდ აოხრებისას!

ამ დროს საამურად შეიძრა ზეზია და სული გავინაბე. ზეზიამ ნაზად გაახილა თვალები, უცბად წამოიწია ბალიშიდან, კეკლუცად გამოიწოდა ჩემსკენ ბროლის ხელები და ტკბილად შემომტირა სიხარულის ცრემლებით: «შენა ხარ ჩემი სასოება და სიხარული, ჩემი სამოთხე, ყვავილებით მოხატული!» მე მის გვერდით ჩამოვჯექ ატლასის ქვეშაგებზე და გაგიჟებით ჩავიკარ გულში თვალცრემლიანი და ცეცხლივით მგზნებარე ზეზია. გრძნობით სავსე ზეზია წნორის ფურცელივით თრთოდა ჩემს გულში და მისი თეთრად მინაზებული ლოყები ვარდისფერ ატლასივით ენთებოდნენ აჩქროლებულ სისხლისაგან. შემდეგ ნაზად შემომხედა სიყვარულის ცეცხლით თვალებანთებულმა და მითხრა ნეტარებისაგან დასუსტებულის ხმით: «ჰო, ესე მაგრა მომეხვიე შენგან დაგულსა, რომ გული გულსა დაეწაფოს და სული სულსა! გებრალებოდე შენის ცეცხლით ცეცხლმოდებული. აჰა, დალიე სული ჩემი დანატრებული; იგი დაგიტკბობს სისხლის ცრემლით ნამტირალს გულსა, და შენი გული მე მომარჩენს მრავალტანჯულსა. შემდეგ ავდგებით, ერთად გავწევთ უღელს შრომისას, ერთად მხარს მივცემთ წარმატებას ჩვენის ქვეყნისას! ახ!.. ნეტავი მარად ცოცხალი მქნა ასე შენს გულში და ესე ტკბილად სულსა ვლევდე შენს სიყვარულში!»

ზეზიას თვალები მიებნიდა, სიტყვა შეუწყდა და კარგა ხანს იყო მდუმარედ, ჩემს გულზედ ნაზად მოსვენებული. ბოლოს მწარედ ამოიოხრა, ყელზე ხელები შემომხვია მაგრა, ძალზე ჩამეწმახა ფათალოსავით გულში და დაიწყო: «მე შენ დამტანჯე და დამდაგე სიყვაულითა, მაგრამ ამ ქვეყნად შენ მიყვარდი მარტო გულითა, შენზედ ვფიქრობდი, შენ გხედავდი ცხადლივ თუ ძილში და, ხანდახანა გართობილი ფიქრს და დუმილში, მალვით ვსტიროდი, ვით განთიადს ვარდი პობილი, ჩემი ბალიში ცრემლით იყო მთლად დალპობილი. ერთხელ შემესმა, ვითომ ავად გაჰხდი შენ კიდე, გულს ელდა მეცა მე საბრალოს და დავიბნიდე, ბოლოს ქვითინით ხატს წინ ვსთხოვდი შენსა ლხენასა: მთელს ქვეყნასა, ზღვას და ხმელეთს ცას და ზენასა! ძილი და მადა დამეკარგა, გული დნებოდა, უშენოდ ყველა ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა. ჩემთვის მზე აღარ ანათებდა, შენთვის ვკვდებოდი, დღითი დღე ღონე მაკლდებოდა, ვუძლურდებოდი, ვინც კი მნახვიდის, ატირდის და ვენანებოდი, მაგრამ ჩემს ნაღველს არავის არ ვეუბნებოდი. ოდეს შენს სახელს ყურს მოვკრავდი, გავცოცხლდებოდი და შენის ნახვის წყურვილითა გავშმაგდებოდი, და რა გნახავდი, ვიბნეოდი და ვდუნდებოდი, ხან ვყრუვდებოდი, ვწითლდებოდი და ვბლუვდებოდი! ო, ღმერთო ჩემო! რად ვდნებოდი, რისთვის ვკვდებოდი და ჩემს წამებას ჩემს მზეს რად არ გეუბნებოდი!.. ოხ, კარგი, გულო, ნუღა მტანჯავ სინანულითა, აი გვერდთა გყავ შენი მკვლელი, დასტკბი სულითა!»

დადუმდა ზეზია და უფრო მაგრა ჩამეკრა გულში ქვითინით. გულით მინდოდა, გულანატირი ზეზია მენუგეშებია და მეთქვა: კმარა, ნუღა სტირი, ჩემო თვალის ნათელო, გულის სიცოცხლევ და სიხარულო! ჩემი სიყვარულის ლახვრით დაჭრილს შენს ქალწულს გულს ჩემისავე ცრემლით მოვბან იარას და ჩემსავე გულს დავადებ მალამოდ-მეთქი, მაგრამ სულის ძლიერმა ნეტარებამ ენა დამიმუნჯა და სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე. სიბრალულისა და სიყვარულის მდუღარე ცრემლები კი უხვად ჩამომდიოდა თვალთაგან და ჩემს მშვენიერს სატრფოს დილის ნამებივით ეცვარმარგალიტებოდა, მთვარის სხივებით ალაპლაპებული.

ბოლოს მოიბრუნა გული ზეზიამ, ნაზად შემომხედა ნამტირალის თვალებით სიყვარულის ცეცხლით აღგზნებულმა, თმაზე ბროლის თითები გადამისვა

ნარნარად და მითხრა: «ვაი ჩემს თავსა, რათ შეჰქმნილხარ ზაფრანის ფერად, ვარდო გულისავ, გაჩენილო მის ასაძგერად. რამან დაგადნო, ვით სანთელი, სატირლად, მწარედ და ან რამ შეგქმნა, ჩემო კარგო, ასე მწუხარედ? ნუ, ნუღა სტირი სულო ჩემო, განვლილსა ჭირსა, ეს არ შეჰშვენის თავგანწირულს ტანჯვისა გმირსა, გამოიდარე, ვით მზე ცაზე, გახარებითა და აღმასრულე ტკბილ-სიცოცხლის ნეტარებითა. დღეს შარბათს გვასმევს უხილავი ტრფობისა ღმერთა, ცაც კი შეგვნატრის და დაგვხარის ჩვენ ბედნიერთა! მე მოგიბრუნებ, ჩემო ყველავ, სიბრძნეს ციურსა, იმედს, ძალ-ღონეს, ნეტარებას ამ ქვეყნიურსა. ჩემსა სიცოცხლეს შენ განაცვალებ, არ მოგშორდები, შენთან ვიხარებ, შენთან ვიგლოვ, შენთან მოვკვდები!»

ამ დროს ვანიკო ჩამოეშვა ციდგან ფრენითა და ჩემს ზეზიას ვარდი მისცა მოწიწებითა. ის იყო კიდეც დაიჭექა ცამ საზარელად და გამეღვიძა სულით დამტკბარს მე სანატრელად.

1890 წ.

აღზდექ, მწერლობავ

დაჟანგდი, ხმალო, ჩასველდი, თოფო,
წავიდა თქვენი დრო და დღეობა,
აღზდექ, მწერლობავ, და გაგვიწიე
მოსამართლობა, ძმობა, მზეობა.

გაჰქრი, მტერობავ, ჩაძაღლდი, შურო,
დღეს დრო დაგვიდგა განათლებისა,
აღზდექ, მწერლობავ, და ამოფხვერი
ყოველი თესლი ბოროტებისა.

მოკვდი, სისაწყლევ, შორს უმეცრებავ,
თქვენ ჭირად გაჩნდა მეცნიერება,
აღზდექ, მწერლობავ, და მოგვანიჭე
ცოდნა, სიმართლე, ბედნიერება.

ნუ გრგვინავ, ცაო, ნუ სჭექავ, მეხო,
თქვენგან არ ძრწიან სიმართლის მტერნი,
აღზდექ, მწერლობავ, და ამომუსრე
ორ-ფეხა მგელნი და ჭია-მტვერნი!..

დედას

ნუ სტირი, დედავ, ტყვედ-ქმნილო,
ნუ გაგტეხია გულია,
აღზდექ, გასწორდი წელშია,
ვით ალვა, ედემს რგულია,

დალეწე მტრისა ბორკილი,
დუშმანს გაუფრთხე სულია,
და დაიბრუნე დიდება _—
ღალატი დაკარგულია.

მას უალერსე მშობლურად,
ვინც შენი მოყვარულია,
ვინც შენთვის ცრემლებს აწვიმდა,
გულზე ცეცხლმოდებულია,

ვინც შენის გამოხსნისათვის
იყო თავგანწირულია,
ვინც შენთვის საფლავს ჩავიდა
მტრისაგან დატანჯულია;

და მას-კი გული გაუპე,
ვინც მავნე _ ვერაგულია,
ვინც მალვით ძირსა გითხრიდა,
რამ ჯილდოს მონატრულია;

ნუ შეიბალებ იუდას,
გააქრე წყეულ-კრულია,
მის ლეში ძაღლებს გადუგდე,
ეშმაკს ანებე სულია!..

ვედრება

შენ გევედრები, ზენარო,
შენგან მოველი შველასა,
მომეც ძალი და შემლება,
რომ ვანათებდე ბნელასა.

შავ-კუნჭულებში მიმალულთ
მგლებს, გველა-ძუებს, მელასა,
ქვე-მძრომებს თავ-ლაფიანებს
წამოვახტუნდე ყველასა —

და მივუსევდე მწევრებსა
ალმასის ბრჭყალებიანსა,
დაეწეოდნენ, ფატრავდნენ
ნადირსა მავნე-ჩხიანსა,
სეირს უცქერდნენ მნახველნი

გადაშლილ ველობიანსა,
და თან მდევარნი მისძახდნენ:
სიკვდილი ღალატიანსა!..

მესტვირე

საქართველო მოვიარე,
ვადიდე და ვაძლიერე;
ზღვის ოდენა შაირები
სტვირით გავაქვეყნიერე.

დედა-ენაც გავამდიდრე,
კილო გავუმშვენიერე;
გავატკბილე, გავათაფლე,
გავამადლნაყოფიერე;

ტანჯულს გული მოვუშაქრე,
მკვდარი მოვასულიერე;
ჭკვიანს გონი მოვუმატე,
უფრო გავამეცნიერე;

უნუგეშო ვანუგეშე,
უჭკვო მოვაგონიერე;
ვაჟი კაცსა ვაჟკაცობის
წადილი გავუძლიერე;

ლაჩარი გავალომგმირე,
უგრძნო გავაგრძნობიერე;
მრუდს ღალატი შევაზიზღე,
გულქვა გავალმობიერე!

ვირს წიხლი მოვაშლევნე,
ბრიყვი გავაგულხმიერე;
ეშმაკს გული დავუდაღე,
უღვთო მოვაღვთისნიერე;

მტრობა დავწვი, დავანელე,
ძმობა გავაგულძლიერე;
მშვიდობას თაყვანი ვეცი,
კეთილი ვაბედნიერე;

სიყვარული გავამეფე,
მადლი გავასახიერე;
მოძმე მოძმეს შევაყვარე,

გავაკეთილგონიერე;

ერთობა და სიყვარული
გავუმრავალჟამიერე……
ეგრე, სტვირო, ჩემო სტვირო,
უკარ და იღვთისნიერე:

ავი-მავნე შეარცხვინე,
კარგი მოიმადლიერე,
მძინარას ძილი დაუფრთხე,
უქმი გაასაქმიერე!..

ორი სურათი
I

ქარი ჰბერავს, ქარი ღმუის, ზუზუნებს;
ჩვენს ბუხარში ცეცხლი მკვახედ გუგუნებს,
დედა მწვადს სწვავს, «ნანა ვარდოს» დუდუნებს;
ბოლთის ცემით მამა ტკბილად ღუღუნებს;
ბუხრის ძირას ბებია ზის, წუწუნებს;
მის კალთაში კატა ნაზად კრუტუნებს.
II

მოკვდა მამა. ქარი ისევ ზუზუნებს;
ჩვენს ბუხარში წვიმა ჩამოჟუჟუნებს;
დედა ტირის, ბებო ძილში წმუკუნებს;
კატა კნავის, ძაღლსა შიან, წკმუტუნებს;
ჩვენი თამრო წიგნს არ სწავლობს, სლუკუნებს,
ბებია-კი ჯავრობს და უზმუკუნებს.

ნაწყვეტები

... ნუ მეტრფი ქალწულს,
ჭაბუკო

ნუ მეტრფი ქალწულს, ჭაბუკო,
ნუ ამბობ: შემიყვარეო;
ჯერ მიჩვენე რამ გმირობა,
ქვეყანა ანეტარეო,
დაჩაგრულ მოძმეთ უშველე,
სიცოცხლე გაიმწარეო
და მერე ჩემი მშვენება

მალამოდ მოიხმარეო.

ნუ ჰგმინავ, ლომო, ტყვედ-ქმნილო,
ნუ გაგტეხია გულია,
აღზდეგ გასწორდი წელშია,
ვით ალვა ედემს რგულია,
დალეწე მტრისა ბორკილი,
დუშმანს გაუფთხე სულია
და დაიბრუნე დიდება,
ღალატით დაკარგულია.

ნუ იამაყებ, თუნდ იყო
ცხრა-თავა ბაყბაყ დევია,
ნუ იტყვი: ის რას დამაკლებს,
მე ვარო მძლეთა-მძლევია!
გახსოვდეს: კოვზსა პაწიას
დიდი ზღვა დაულევია,
«ალვის ხე, ცამდის ასული
ჭინჭველას წაუქცევია»!

* * *

ოჰ, რად არ მიეც გამჩენო,
კაცს გონი სიბრძნის მფლობელი
და გული სხვისა ჭირისა
თავისს ჭირსავით მგრძნობელი,
შევიბრალებდით ერთმანეთს,
მაშინ ვით და-ძმა მშობელი,
არ ექნებოდა აღარავის
ვაება მოსათხრობელი.